# არსენალი

№ 13 (42). 30 ნოემბერი - 14 დეკემბერი. 2007. „კვირის პალიტრა". სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი. ფასი 1,5 ლარი



1425
2007

## რას აპირებს რუსეთი კოდორში

## გიგანტური ჯავშნოსნები

## ქართული სამხედრო ნაწილები ბაქოსკენ!..

## ფრანგული ფლოტის კარდინალი პრეზიდენტად იქცა

## „ტომიგანი" საქართველოშია...

## ირანის სპეცსამსახურები

„არსენალი" ნოემბრიდან თვეში ორჯერ გამოდის!

ეროვნული ბიბლიოთეკა



რას აპირებს რუსეთი კოდორის ხეობაში... 6



„ქართული სამხედრო ნაწილები ბაქოსკენ!..“ 13



აზერბაიჯანის არმია — ყველაზე მრავალრიცხოვანი რეგიონში 10

„ტომიგანი“ საქართველოში... 54





მსოფლიო ომების ისტორია 30



XXI საუკუნის პარტიზანები 48

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარჩევი


კალეიდოსკოპი

4 უცხოური ამბები

მოსაზრება

6 კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებამ, შესაძლოა, საქართველოს პრობლემები შეუქმნას

ალიანსი

7 NATO-ს დღეები საქართველოში

საინტერესო გვერდი

9 რა შეუძლია ჯავშანჟილეტს

მეზობელთ კარისათ

10 აზერბაიჯანის არმია – ყველაზე მრავალრიცხოვანი რეგიონში

საქართველოს ისტორიიდან

13 ქართული სამხედრო ნაწილები ბაქოსკენ!..

სპეცსამსახურები

17 მსტოვრობის ისტორია საქართველოში

18 ირანის სპეცსამსახურები

პიროვნება

22 დიდი კონკისკადორი

იარაღი

25 ფრანგული ფლოტის კარდინალი პრეზიდენტად იქცა

ომების მსოფლიო ისტორია

30 ქვეითთა როლი შუა საუკუნეებში (გაგრძელება)

ჯავშნოსნები

33 გიგანტური ჯავშნოსნები

ცხოვრების სტილი

38 იოკოძუნას მზერა

ფლოტი

41 „ბერძნული ცეცხლის“ საიდუმლო გამოუცნობი რჩება

44 სპარსეთის ყურე: შესაძლო ომის სცენარი

პროფესიონალები

48 XXI საუკუნის პარტიზანები

კროსვორდი

51 არსენალვორდი

მოვლენა

52 საშინელი დაბომბვის გამოძახილი

„არსენალის“ იარაღის მაღაზია

54 „ტომიგანი“ – „მშრალი კანონის“ მთავარი ატრიბუტი


საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

27903

## რედაქტორის სვეტი

აგერ უკვე ერთი თვეა „არსენალი“ გაორმაგებული ენერგიით ეგებება თავის მკითხველს. საბედნიეროდ, როგორც მოველოდით, მკითხველთა ინტერესი არც „გაორებულ“ „არსენალს“ მოაკლდა და ქვეყანაში არსებული არცთუ სახარბიელო სიტუაციის მიუხედავად, ჟურნალზე სტაბილური მოთხოვნაა.

ქვეყნის ჭირ-ვარამი ჩვენი უბედურებაცაა და, ვიმედოვნებთ, ამ ნომრის მე-6 გვერდზე გამოთქმული (არცთუ უსაფუძვლო) მოსაზრება მოსაზრებადვე დარჩება და რეალურ ცხოვრებაში გაგრძელებას არ პოვებს. თუმცა იმის იმედიც (ესეც საკმაოდ საფუძვლიანი) გვაქვს, რომ ნებისმიერ პროვოკაციაზე, სამხედრო იქნება ეს, თუ პოლიტიკური, საკადრის და რაც მთავარია, ადეკვატურ პასუხს გასცემს ჩვენი ქვეყანა.

გისურვებთ მშვიდობას!

*ირაკლი ალადაშვილი*
*გიორგი ჟორჟოლიანი*

ყურადღება!
ხშირია შემთხვევა, როდესაც ჩვენი მკითხველი სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ასწრებს ჟურნალის ყიდვას პრესის ჯიხურებში. ამიტომ გირჩევთ, გამოიწეროთ „არსენალი“ და მიიღოთ შინ, ყოველი თვის დასაწყისში.
ტელ: 42-43-40

რედაქციის დაუკითხავად მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

ჟურნალ „არსენალის“ ძველი ნომრების შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში

გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება ©
რედაქციის მისამართია: თბილისი, იოსებიძის ქ. №49.
ტელ: 38-37-47
email: arsenali@kvirispalitra.com
ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამერიკული ავიამზიდი ჰონკონგში არ შეუშვეს



22 ნოემბერს ჩინეთის ხელისუფლებამ ამერიკულ ავიამზიდ „კიტი ჰოუკსა“ და მის თანმხლებ ხომალდებს, რომლებსაც განზრახული ჰქონდათ ჩინეთის ქალაქში ეზეიმათ მადლიერების დღე, ჰონკონგის პორტში შესვლა აუკრძალა. ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ვერაფრით ახსნა თავისი ქმედება. აშშ-მა კატეგორიულად მოითხოვა ჩინეთისგან ამ გადაწყვეტილების გადახედვა. *ცნობისათვის: ავიამზიდი „კიტი ჰოუკი“, წყალწყვით 82 ათასი ტონა, წყალში 1961 წელს ჩაუშვეს. მისი მიწერის პორტი იაპონიის ქალაქი იოკოსუკაა. ეს ხომალდი ამ კლასის ერთადერთი არაატომური ავიამზიდია აშშ-ის ფლოტში. სავარაუდოდ, მას უახლოეს მომავალში ჩამოწერენ.* იმავე დღეს, 22 ნოემბერს, ჩინეთმა ავიამზიდსა და მის თანხმლებ ხომალდებს ჰონკონგის პორტში შესვლის უფლება მისცა, თუმც გვიანი იყო, – ავიამზიდის ჯგუფმა კურსი შეცვალა და მიწერის პორტისკენ, იოკოსუკასკენ გაემართა. ზოგიერთი დამკვირვებლის აზრით, ჩინეთის ხელისუფლების ეს ჟესტი, სავარაუდოდ, გამოიწვია აშშ-ის გადაწყვეტილებამ ტაივანისთვის სარაკეტო სისტემების მოდერნიზაციისთვის 940 მლნ დოლარის გამოყოფის თაობაზე. გარდა ამისა, „კიტი ჰოუკის“ ჰონკონგში ოფიციალური ვიზიტის ჩაშლა ერთგვარად პასუხი იყო ჯორჯ ბუშისთვის, რომელმაც რამდენიმე ხნის წინ თეთრ სახლში ტიბეტის ლიდერი დალაი ლამა მიიღო. ცნობილია, რომ ჩინეთის ხელისუფლება დალაი ლამას სეპარატისტად მიიჩნევს.

# რუსი მეზენიტეები კვიპროსელებს დაეხმარებიან





БУК-М

რუსი სამხედრო სპეციალისტები კვიპროსის რესპუბლიკას ჰაერსაწინააალმდეგო თავდაცვის ორგანიზებაში დაეხმარებიან. რუსეთის ქვეითი ჯარების საჯარისო ჰაერსაწინაალმდეგო თავდაცვის წარმომადგენლები ოფიციალური ვიზიტით ეწვივნენ კვიპროსს, რათა კონსულტაციები გაუწიონ ჰაერსაწინაალმდეგო თავდაცვის ორგანიზების საქმეში. კვიპროსის არმიის შეიარაღებაშია რუსული საზენიტო-სარაკეტო სისტემები БУК-М-1 და БУК М 1-2, ასევე ТОР М-1, რომლებიც კვიპროსელებმა საბერძნეთისაგან შვეულმფრენებთან „პუმებთან“ ერთად მიიღეს რუსული კომპლექსების С-300-ების ნაცვლად, რომლებიც კვიპროსმა საბერძნეთს დაუთმო.

# აზერბაიჯანმა იარაღის ექსპორტიორობა გადაწყვიტა

უახლოეს ორ-სამ წელიწადში აზერბაიჯანი საკუთარი წარმოების იარაღის ექსპორტს დაიწყებს. „ამჟამად ჩვენი სახელმწიფო აფართოებს თავის სამხედრო-სამრეწველო პოტენციალს, რათა მომავალში არავისზე არ იყოს დამოკიდებული“, – განაცხადა აზერბაიჯანის მთავრობის ვიცე-პრემიერმა იაგუბ ეიუბოვმა. აზერბაიჯანი აწარმოებს რუსული სამხედრო ტექნიკის ზოგიერთი ნიმუშისთვის საჭირო დეტალებს, კერძოდ, საბრძოლო თვითმფრინავების მოწყობილობებსა და ლაზერულ სამიზნეებს. უახლოეს მომავალში კი დაიწყებს ცეცხლსასროლი იარაღისა და შეიარაღების სხვა სახეობების წარმოებას.



# ირანმა საესკადრო ნაღმოსანი და წყალქვეშა ნავი ააგო

**ყურადღება! „არსენალი“ ნოემბრიდან თვეში ორჯერ გამოდის!**

ირანის სამხედრო-საზღვაო ძალების ადმირალ ჰაბიბ საიიარის განცხადებით, ქვეყნის სამხედრო ფლოტი მიიღებს ირანული წარმოების წყალქვეშა ნავსა და საესკადრო ნაღმოსანს. სიახლის ტექნიკური მახასიათებლებს, ჯერჯერობით, არ ახმაურებენ.

საესკადრო ნაღმოსან „ჯამარანსა“ და სუბმარინა „ჰადირს“ შემაკავებელი ფუნქცია ექნება, თუმცა, როგორც საიიარიმ განაცხადა, „თუკი მტერი შეცდომას დაუშვებს, ისეთ მძლავრ დარტყმას მიიღებს, რომ ფეხზე ველარ წამოდგება“ და დასძინა, რომ აშშ-ის სამხედროთა გადაადგილებას სპარსეთის ყურეში ყურადღებით ადევნებს თვალს ირანის სამხედრო-საზღვაო ძალები. როგორც ირანის ხელისუფლებამ განაცხადა, ახალი წყალქვეშა ნავი ძნელი აღმოსაჩენია, ამასთან, მას შეუძლია ერთდროულად გაუშვას რაკეტები და ტორპედოები. 2006 წლის აგვისტოში, ირანმა სპარსეთის ყურეში გამოცადა ახალი რაკეტა წყალქვეშა ნავისათვის. ექსპერტთა შეფასებით, ამჟამად ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ძალების შეიარაღებაშია სულ ცოტა სამი რუსული წარმოების პროექტ 877 „პალტუსის“ ელექტროდიზელური სუბმარინები.





საიიარის განცხადებას ახალი ცნობა მოჰყვა ირანის სამხედრო-საზღვაო ძალების ავიაციის გამანადგურებლის ომანის ყურეში ჩავარდნის შესახებ. თვითმფრინავი F-4 Phantom II, რომელიც გასული საუკუნის 70-იან წლებში აიგო და ირანს ისლამურ რევოლუციამდე, 1979 წლამდე მიეწოდა. იყო ირანის სამხედრო-საზღვაო ძალების სანაპირო ავიაციის შემადგენლობაში და ასრულებდა სასწავლო ამოცანას. ამჟამად ირანის სამხედრო-საზღვაო ძალების შემადგენლობაშია 60-ზე მეტი გამანადგურებელი F-4D და ასევე რამდენიმე მზვერავი RF-4E. გამართულ „ფანტომთა“ რაოდენობა 35-40 ერთეულს შეადგენს. ამერიკული წარმოების თვითმფრინავების პარკის შენახვა გააძნელა ამერიკულმა სანქციამ, რომელიც კრძალავს ირანში საბრძოლო ტექნიკისათვის სათადარიგო ნაწილების ჩატანას.

# NATO იჯარით აიღებს რუსულ შვეულმფრენებს

NATO-ს დაგეგმილი აქვს რუსული შვეულმფრენების ეკიპაჟებითურთ იჯარით აღება ავღანეთში გამოსაყენებლად. ალიანსი იჯარით აიღებს რუსეთის სამოქალაქო და უკრაინის ზურგის გადაზიდვების ავიაკომპანიების კუთვნილ 20 შვეულმფრენ Ми-17-სა და რამდენიმე მძიმე შვეულმფრენ Ми-26-ს, რათა შეამციროს საკუთარი მანქანების განადგურების რისკი. ამჟამად ალიანსი მოლაპარაკებებს აწარმოებს ავიაკომპანიებთან. NATO მზად არის საიჯარო თანხად გამოყოს ასი მლნ დოლარი წელიწადში, მაშინ, როცა ავიაკომპანიები ერთი აპარატისთვის, სპეციალისტთა ვარაუდით, 100.000 დოლარს მოითხოვენ კვირაში. 2006 წელს ავღანეთში დაზიანდა ან ჩამოვარდა 37 თვითმფრინავი და შვეულმფრენი.



# აკრძალვა ნაწილობრივ მოიხსნა

აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების აკრძალვა გამანადგურებელ F-15-ების ფრენაზე, რომელიც 2007 წლის 2 ნოემბერს მისურის შტატში F-15-ის ავიაკატასტროფის შემდეგ დაწესდა, ნაწილობრივ მოიხსნა. ფრენის უფლება მიეცა უახლესი მოდიფიკაციის გამანადგურებელ F-15E-ებს, რომლებსაც ერაყსა და ავღანეთში იყენებენ. თითოეული F-15E ზედმიწევნით შემოწმდა. დანარჩენებს, F-15-ის უფრო ძველ მოდიფიკაციებს, ეკრძალება ფრენა მანამ, სანამ არ დასრულდება მისურიში ავიაკატასტროფის მიზეზის გამოკვლევა. ავარიის მიზეზად, ჯერჯერობით, სახელდება პლანერის კონსტრუქციის მწყობრიდან გამოსვლა. ამ ტიპის მანქანები შეიარაღებაში 1975 წლიდან შევიდა. გამანადგურებელ F-15-ების ძირითადი ნაწილის საშუალო ასაკი (რომლებიც ახლა მწყობრშია) 23-24 წელს შეადგენს. F-15-ის ფრენის აკრძალვა აშშ-ში 5 ნოემბერს დაწესდა, 6 ნოემბერს აკრძალვა ძალაში შევიდა იაპონიის სამხედრო-საჰაერო ძალების F-15-ებისთვისაც.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებამ, შესაძლოა, საქართველოს პრობლემები შეუქმნას

საქართველოში ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა, კერძოდ, 7 ნოემბერს მშვიდობიანი მიტინგის დარბევამ და ძალის გამოყენებით ტელეკომპანია „იმედის" დახურვამ, უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა საქართველოს იმიჯზე. ეს არ იყო მხოლოდ ქართული დემოკრატიისთვის მიყენებული დარტყმა, ამ ფაქტმა იმედი გაუცრუა ჩვენს დასავლელ პარტნიორებსაც. ვარდების რევოლუცია წარმატებული პროექტი იყო დასავლეთისათვის, მაგრამ მისი წარმატებულობა 7 ნოემბერმა და შემოდგომის მოვლენებმა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. ევროპა საქართველოში მიმდინარე რეფორმებს იწონებდა და მხარს უჭერდა მის ინტეგრაციას ევროსტრუქტურებში, მაგრამ 7 ნოემბრის მოვლენებმა ცხადყო, რომ მხოლოდ ვიზუალური დემოკრატია არ არის საკმარისი დასავლური ლიბერალური ოჯახის სრულუფლებიანი წევრი რომ გახდე.

NATO აღფრთოვანებას ვერ მალავდა იმ რეფორმების გამო, რომლებიც გატარდა ბოლო წლებში საქართველოში და ამ გაზაფხულზე ჩვენ MAP-ის მიღების რეალური კანდიდატი ვიყავით. სამწუხაროდ, ხელისუფლების შეცდომამ საქართველოს არათუ წაართვა ეს შანსი, არამედ ფაქტობრივად, უახლოეს მომავალში NATO-ში გაწევრების გზა მოუჭრა. რაც უნდა დემოკრატიულად წარიმართოს ქვეყანაში პროცესები 2008 წელს და რაც უნდა ვარსკვლავები მოწყვიტოს ჩვენმა ხელისუფლებამ, დასავლეთის ნდობის დაბრუნება ძალზე გაუჭირდება.

რუსეთის ინტერესები სამხრეთ კავკასიაში ყველასათვის ცნობილია: მას შემდეგ, რაც რუსეთმა დამპყრობლური პოლიტიკის გამო დაკარგა შანსი გამხდარიყო ამიერკავკასიის ქვეყნების პარტნიორი და მფარველი, ზეგავლენის ერთადერთ საშუალებად დარჩა მისივე ორგანიზებული კონფლიქტები. რუსეთი ცდილობს, რაც შეიძლება დიდხანს არ დაუშვას NATO-ს საზღვრების გაფართოება სამხრეთით. ამიტომ საქართველოში განვითარებული მოვლენები ის იშვიათი შემთხვევაა, როდესაც რუსეთი მოგებული დარჩა ისე, რომ ფაქტობრივად თითიც არ გაუნძრევია: 1. შეფერხდა საქართველოს NATO-ში ინტეგრაციის პროცესი; 2. საქართველოს, როგორც პოსტსაბჭოური სივრციდან თავდაღწეული დემოკრატიული ქვეყნის, იმიჯიც შეილახა იმ დასავლეთის თვალში, რომელიც ასე ამაყობდა ჩვენი წარმატებით; 3. დასასრულ, რუსეთს ხელსაყრელი მომენტი შეექმნა საიმისოდ, რომ დასავლეთის მფარველობადაკარგულ საქართველოს კიდევ ერთი დარტყმა მიაყენოს. ეს კი მას, როგორც გამოცდილ პროვოკატორს, არ გაუჭირდება.

მხედველობაში გვაქვს ის, რომ რუსეთი აფხაზეთში კონფლიქტს გაამწვავებს. ამის წინა პირობებიც არის: რუსეთი დიდი ხანია ემზადება აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებისათვის, შესაძლოა, არაოფიციალურად, მაგრამ შესაბამის პოლიტიკურ განცხადებებს მაინც გააკეთებს.

როგორც ცნობილია, 10 დეკემბერს გადაწყდება კოსოვოს დამოუკიდებლობის ბედი და მოსალოდნელია, რომ ევროპას ახალი ქვეყანა შეემატება. რუსეთი ამას წინ ვერ აღუდგება, სამაგიეროდ, გამოიყენებს საქართველოს წინააღმდეგ.



ჩვენი აზრით, მოვლენები ასე განვითარდება: დეკემბრის შუა რიცხვებში რუსეთის პოლიტიკოსები დააყენებენ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების საკითხს, რასაც კოდორის მიმართულებით სამხედრო ოპერაცია (რა თქმა უნდა, რუსეთის დაკვეთით) მოჰყვება აფხაზეთის „ქართველებისგან გასათავისუფლებლად". თუკი ამას საქართველოს შეიარაღებული ძალები დაუპირისპირდება, ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ფართომასშტაბიან ომში ჩავერთვებით მაშინ, როდესაც ქვეყანაში საპრეზიდენტო არჩევნების ციებ-ცხელება იქნება. ბუნებრივია, რუსეთი ამ კონფლიქტის პროვოკატორად საქართველოს პრეზიდენტს დაასახელებს იმ მოტივით, სააკაშვილს გამარჯვების შანსი ნაკლებად აქვს და ამიტომ ცდილობს აფხაზეთში ომით არჩევნები გადადოსო. თუკი საქართველოში არჩევნები გადაიდება, ეს კიდევ უფრო გაართულებს ქვეყანაში შიდაპოლიტიკურ ვითარებას და ყველაფერი ეს განვითარდება იმ პირობებში, როცა ქვეყანას პრეზიდენტი არ ეყოლება. რუსეთი იმედოვნებს, რომ საქართველოს დასავლეთი მხარს არ დაუჭერს და შესაძლოა, მიზანსაც მიაღწიოს. ის მსოფლიოს დაანახვებს, რომ იცავს მცირე ერს ქართველთა აგრესიისგან, იმ ერს, რომლის 90% რუსეთის მოქალაქეა. რუსეთმა უკვე დაიწყო აფხაზეთის მომარაგება სამხედრო ტექნიკითა და დაქირავებული ბოევიკებით, რომელთა შენახვა მას საკმაოდ ძვირი უჯდება. ასე რომ, ფულს რუსეთი წყალში არ გადაყრის, ამასთან, საქართველოსთვის საქმის გაფუჭებით პუტინი წინასაარჩევნოდ თავისი მოსახლეობის გულს მოიგებს.



ირაკლი სესიაშვილი
ასოციაცია „სამართალი და თავისუფლების" დირექტორი, უსაფრთხოების პოლიტიკის ექსპერტი

# NATO-ს დღეები საქართველოში

29 ოქტომბრიდან 3 ნოემბრამდე, პირველად საქართველოს ისტორიაში, „NATO-ს დღეები“ გაიმართა. კვირეულის მიზანი იყო მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულიყო სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობდა მოსახლეობაში NATO-ს შესახებ ინფორმაციის გავრცელებას.

„NATO-ს დღეები საქართველოში“ „NATO-ს საინფორმაციო ცენტრის“ ორგანიზებით მოეწყო, თუმცა მასში არასამთავრობო ორგანიზაციებიც მონაწილეობდნენ.




კვირეული 29 ოქტომბერს გაიხსნა ცენტრის სათავო ოფისში. მას ესწრებოდნენ ელჩები, სპეციალურად ამ კვირეულისათვის მოწვეული სტუმრები ბრიუსელიდან, დიპლომატიური კორპუსის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საქართველოს სამინისტროების წარმომადგენლები. „NATO-ს დღეების“ ოფიციალურად გახსნის შესახებ განცხადებები სახელმწიფო მინისტრმა ევროპასა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში გიორგი ბარამიძემ, თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ბათუ ქუთელიამ, NATO-ში ბულგარეთის ელჩმა ლუბომირ ივანოვმა და NATO-ს სახალხო დიპლომატიის სამმართველოს უფროსმა მონიკა ტუფელიმ გააკეთეს.

## აქციები თბილისის ქუჩებში

ოფიციალური გახსნის შემდეგ „NATO-ს დღეებმა“ თბილისის ქუჩებში გადაინაცვლა.

ცენტრის მოხალისე სტუდენტებმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან თავისუფლების მოედნამდე მსვლელობა მოაწყვეს, რომლის დროსაც სტუდენტები გამვლელებს ფლაერებსა და ბუკლეტებს ურიგებდნენ და ესაუბრებოდნენ მათ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შესახებ.

მოხალისეებთან ერთად აქციაში აქტიურად მონაწილეობდნენ ქართველი რაგბისტებიც, რომლებიც ცდილობდნენ თბილისის მოსახლეობისათვის მიეწოდებინათ გზავნილი – „დადე ლელო NATO-სთან ერთად“. მოხალისეებსა და რაგბისტებს ხელში ეჭირათ NATO-ს 26 წევრი სახელმწიფოს პლაკატები და მსვლელობის დროს ცდილობდნენ გამვლელებისათვის აეხსნათ, რატომ არის ჩვენთვის მნიშვნელოვანი ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრობა.

NATO-ს კვირეულში კიდევ ერთი აქცია მოეწყო. „NATO-ს საინფორმაციო ცენტრის“ მოხალისე სტუდენტებმა ვაკის პარკში 26 ხე დარგეს. ასეთი აქცია რამდენიმე მიზეზით იყო განპირობებული. მთავარი ის გახლდათ, რომ მოხალისეებმა კიდევ ერთხელ აუხსნეს დედაქალაქის მოსახლეობას, რომ NATO არ არის მხოლოდ სამხედრო ორგანიზაცია და ის ადამიანების უფლებების, მეცნიერებისა და უსაფრთხოების დაცვის გარდა, გარემოზეც ზრუნავს. ალიანსის 26 წევრი სახელმწიფოს სიმბოლოდ ახალი ხეები სტუდენტებმა აფხაზეთში დაღუპულთა ხსოვნისათვის მიძღვნილ მემორიალურ დაფასთან დარგეს, დასტურად იმისა, რომ მათ აღარ სურთ ქვეყანაში ასეთი მემორიალები იყოს და მათი მიზანია უსაფრთხო და მშვიდ გარემოში ცხოვრება. ყველა დარგული ხის ქვეშ NATO-ს წევრი ქვეყნების დროშები განლაგდა.




## შემდეგი გაჩერება NATO

1-ელი ნოემბრიდან თბილისის ქუჩებში სამარშრუტო ავტობუსებმა დაიწყეს სიარული წარწერით „შემდეგი გაჩერება NATO“. აქციის პრეზენტაციას NATO-ს შტაბბინისა და მთავრობის წარმომადგენლები დაესწრნენ. „NATO-ს საინფორმაციო ცენტრის“ თანამშრომლების განცხადებით, ისინი დარწმუნებული არიან, რომ ჩვენი ქვეყნის შემდეგი გაჩერება NATO იქნება და მოქალაქეებს მოუწოდებენ, ამ იდეას აქტიურად შეუერთდნენ და თავიანთი წვლილი შეიტანონ საქართველოს NATO-ში ინტეგრაციის პროცესში. ავტობუსები დედაქალაქის ქუჩებში კიდევ სამ თვეს იმოძრავებენ, თუმცა ცენტრი ასეთივე აქტიური იქნება, სანამ ქვეყანა დათქმული გაჩერების ადგილამდე მივა.

## ლექცია-სემინარები უმაღლეს სასწავლებლებში

„NATO-ს დღეების“ განმავლობაში „NATO-ს საინფორმაციო ცენტრმა“ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ქართველ სტუდენტობას. 29 ოქტომბრიდან 2 ნოემბრამდე ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში,




საქართველოს უნივერსიტეტში, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოეწყო ლექცია-სემინარები NATO-ს შესახებ, სადაც სიტყვით გამოვიდნენ მოწვეული სტუმრები: გენერალი მენგამი, ბულგარეთის ელჩი NATO-ში ლუბომირ ივანოვი, თავდაცვის მინისტრის მოადგილე ბათუ ქუთელია და სხვ.

სტუდენტებმა დასვეს სხვადასხვა სახის შეკითხვები, მათ შორის აინტერესებდათ, რა არის მთავარი პირობა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველო NATO-ში გაწევრებისათვის, რა საკითხებს მოიცავს ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა (IPAP) და რას გულისხმობს ინტენსიური დიალოგი (ID). გამომსვლელებმა სტუდენტებს აუხსნეს, რატომ არის მნიშვნელოვანი NATO-ს გაფართოების პროცესი და რა ტიპის რეფორმები უნდა გაატაროს საქართველომ იმისათვის, რომ ალიანსის წევრი გახდეს.

## „ბერლინიდან ბერლინამდე"

30 ოქტომბერს, კინოთეატრ „ამირანის" დიდ დარბაზში მოეწყო დოკუმენტური ფილმის „ბერლინიდან ბერლინამდე" ჩვენება, რომელსაც დაესწრნენ თბილისის უმაღლესი სასწავლებლების ლექტორები, პროფესორები, შოუბიზნესის წარმომადგენლები, სტუმრები ბრიუსელიდან, პატრიოტები და სტუდენტები.

ფილმში მოთხრობილია ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის შექმნის წინა პირობები და თავდაპირველი დანიშნულებები, ასევე მისი შემდგომი განვითარება და ტრანსფორმაცია „ცივი ომის" დასრულების შემდეგ. ფილმში „ბერლინიდან ბერლინამდე", რომლის ავტორია გიორგი ცხვიტავა, უნიკალური მასალებია გამოყენებული. კინოთეატრ „ამირანის" მისალებ დარბაზში გამოფენა მოეწყო, სადაც წარმოდგენილ იქნა საქართველოს საშუალო სკოლების მოსწავლეთა ნახატები NATO-ს შესახებ.

გარდა ზემოთ აღნიშნული ღონისძიებებისა, ასევე უნდა გამოვყოთ პროექტი სახელწოდებით „საუბრები NATO-ზე ქვემო ქართლში", რომელიც ამჯერად ქალაქ დმანისს ესტუმრა. პროექტის მიზანი იყო დმანისელი მოსახლეობისა და იქ მცხოვრები ეროვნული უმცირესობების ინფორმირება ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შესახებ.

## გალა-კონცერტი სტადიონზე

„NATO-ს დღეების" დასკვნითი ღონისძიება ყველაზე მასშტაბური გამოდგა. მთელი კვირის მანძილზე საქართველოს მოსახლეობას საშუალება ჰქონდა NATO-ს შესახებ მიეღო ინფორმაცია კომპეტენტური პირებისაგან, ასევე დასწრებოდა გასართობ ღონისძიებებსაც. სწორედ ამგვარი ხასიათის იყო 2 ნოემბერს ჩატარებული გალა-კონცერტი თბილისის მიხეილ მესხის სახელობის (ლოკომოტივის) სტადიონზე, სადაც მიუხედავად ცუდი ამინდისა, მაინც საკმაო რაოდენობის მსმენელი შეიკრიბა, რათა მისალმებოდა საქართველოს ალიანსში ინტეგრაციის სურვილს.

კონცერტი იმპროვიზებული სახის იყო. მასში მონაწილეობდნენ ქართული ესტრადის ხალხისათვის საყვარელი შემსრულებლები. კონცერტის ყოველი მონაწილე წარმოადგენდა სხვადასხვა სახელმწიფოსა და სახელმწიფოთა ჯგუფს. მაგალითად, სკანდინავიის ქვეყნებს: ისლანდიას, ნორვეგიასა და დანიას წარმოადგენდა სალომე კორკოტაშვილი, რომელმაც ისლანდიელი მომღერლის ბიორკის სიმღერა შეასრულა, საფრანგეთს — ნატო მეტონიძე ედიტ პიაფის სიმღერით, იტალიას — აჩიკო ნიჟარაძე, გერმანიას — ეკა კახიანი, ამერიკის შეერთებულ შტატებს — ანანო მჟავია, თურქეთს — ლელა წურწუმია და ა.შ. ყოველი სიმღერის დაწყების წინ სცენაზე ამოდიოდა იმ სახელმწიფოს ეროვნული დროშა, რომელსაც ეძღვნებოდა სიმღერა. სცენის ორივე მხარეს დამონტაჟებული დიდი ეკრანები, რომელზედაც NATO-ს წევრი ქვეყნების ღირსშესანიშნავი ადგილების მიმოხილვა იყო წარმოდგენილი, მაყურებელს აძლევდა საშუალებას NATO-ს ქვეყნებში ემოგზაურა.

მაყურებელს ასევე საშუალება ჰქონდა გასცნობოდა, რომელ წელს გაწევრდნენ ალიანსში წევრი სახელმწიფოები.

გალა-კონცერტის წამყვანები — ხატია შამუგია და ნიკა ლომიძე „ლოკომოტივის" სტადიონზე შეკრებილ ხალხს „NATO-ს საინფორმაციო ცენტრის" ლოზუნგებით ამხნევებდნენ და მოუწოდებდნენ, მეტად ექტიურათ კონცერტის მსვლელობისას და ასევე მეტი ყურადღება გამოეჩინათ საქართველოს NATO-ში ინტეგრაციის პროცესისადმი.

კონცერტს ესწრებოდნენ საქართველოს მინისტრები, თბილისის მერიის წარმომადგენლები, ასევე NATO-ს წევრი ქვეყნების ელჩები და მაღალი რანგის სტუმრები ბრიუსელიდან. წარმოდგენა, რომელმაც თანდათან თეატრალური დადგმის სახე მიიღო, 2 საათს გაგრძელდა. დასასრულ, კონცერტის წამყვანებმა სცენაზე „NATO-ს საინფორმაციო ცენტრის" მოხალისეები მოიწვიეს, რომლებმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს NATO-ს კვირეულის მოწყობაში. მოხალისეებმა თეთრი მტრედები გაუშვეს ცაში. ამით მათ დააფიქსირეს, რომ საქართველოს მთავარი პრიორიტეტი სიმშვიდის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების მიღწევაა, რომ ამ ეტაპზე NATO-ში გაწევრება საქართველოს უმთავრესი მიზანია და ქართველმა საზოგადოებამ უნდა დაანახვოს მსოფლიოს, რომ ალიანსში ინტეგრაცია საქართველოს მთელი მოსახლეობის სურვილია.

„NATO-ს დღეები საქართველოში" გალა-კონცერტით, ხოლო თავად კონცერტი გრანდიოზული ფეიერვერკით დაიხურა.

„საინფორმაციო ცენტრი NATO-ს შესახებ" მომავალშიც განაგრძობს ღონისძიებების ჩატარებას, რაც საქართველოს მოსახლეობის NATO-ს შესახებ ინფორმირებას ისახავს მიზნად.



# რა შეუძლია ჯავშანჟილეტს

**ჭურვისა და ჯავშნის მეტოქეობა ათასწლეულებია, რაც გრძელდება. პირველად იყო ფარი, ისრისა და ხმლის მოსაგერიებლად, მოგვიანებით – რაინდის აღჭურვილობა შუბის საწინააღმდეგოდ... ცეცხლსასროლი იარაღის გამოჩენამ კი „ფარების" (უფრო სწორად, ინდივიდუალური დაცვის) პრობლემა გაამწვავა.**

მეორე მსოფლიო ომის დროს არაერთხელ სცადეს ინდივიდუალური ჯავშანდაცვის საშუალებების შექმნა, მაგრამ ყველა მათგანი იმდენად ვეებერთელა, მოუხერხებელი და ნაკლებეფექტიანი გამოდიოდა, რომ მათზე იმთავითვე თქვეს უარი. პირველი სერიული ჯავშანჟილეტები მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში გამოჩნდა, – ამერიკელი ჯარისკაცები მათ კორეასა და ვიეტნამში ატარებდნენ, მაგრამ ჯავშანჟილეტები ჯარისკაცებს ტყვიებისგან არცთუ ისე საიმედოდ იცავდა, – სტატისტიკის თანახმად, ბრძოლის ველზე დანაკარგის თითქმის 80% ნამსხვრევებისგან იყო გამოწვეული. და თუმცა ჯავშანჟილეტები თანამედროვე საზომით ძალზე არასრულყოფილი იყო, მათ სამჯერ მაინც შეამცირეს ადამიანური დანაკარგი.

## პოლიმერული რევოლუცია

ჯავშანჟილეტების კონსტრუქციაში ნამდვილი რევოლუცია მოხდა გასული საუკუნის 80-იანი წლების დამდეგს, როცა კომპანია „Dupont"-მა გამოუშვა თავისი ცნობილი ქსოვილი კევლარი, რომელიც სიმტკიცის იმავე მახასიათებლების შენარჩუნებით რამდენჯერმე მსუბუქი იყო ჯავშანჟილეტების ტრადიციულ შიგთავსზე. ამას ის მოჰყვა, რომ უცხოელმა მეწარმეებმა უარი თქვეს ჯავშანჟილეტებში ფოლადის ფირფიტების გამოყენებაზე. მაგრამ კევლარი მთლად სრულყოფილი არ იყო, – ის საუცხოოა რბილი გულას მქონე ტყვიების მოსაგერიებლად, მაგრამ იოლად იხვრიტება ფოლადის წვერწამახული ტყვიებით. გარდა ამისა, დასველების შემდეგ 40%-ით მაინც უქვეითდება ტყვიაგამძლე თვისებები. ამიტომ ჟილეტზე კევლარის პაკეტების დამატება ხდება საჭირო. თუ ჟილეტის კონსტრუქციაში არის ფოლადი ან სხვა მყარი ჯავშანელემენტები, კიდევ ერთი პრობლემა იჩენს თავს. მასზე მოხვედრისას მაგარგულიანი ტყვიები იმსხვრევა და წარმოიქმნება მეორადი ნამსხვრევების მძლავრი ნაკადი, რომელიც მებრძოლის კისრის არესა და ხელებს აზიანებს. ამიტომაც თანამედროვე, უმაღლესი ხარისხის დაცვის მქონე ჯავშანჟილეტებში აუცილებლად არის ე.წ. ანტირიკოშეტული ფენები.

პირველი ტყვიაგამძლე ჯავშანჟილეტები, როგორც წესი, „კრამიტისებური" სქემით იყო აწყობილი და კვადრატული ფორმის უამრავი მომცრო ჯავშანელემენტისგან შედგებოდა. ეს კონფიგურაცია საკმაოდ მოქნილი იყო, მაგრამ ძალზე დიდი ნაკლიც ჰქონდა, – მოხვედრისას შეიძლებოდა ტყვია „ქერცლებს" შორის გაჩხერილიყო. ამის ალბათობა რომ შეემცირებინათ, კონსტრუქტორები იძულებული იყვნენ ელემენტების დამაგრებისნაირნაირი ხერხი მოეგონებინათ. ჟილეტების ძირითად მასალად კაპრონი გამოიყენებოდა, მოგვიანებით – კევლარი, ჯავშანელემენტები კი საჯავშნე ფოლადის, ალუმინის ან ტიტანის იყო.

ქერცლოვანი ჯავშანჟილეტი ვეებერთელა, მძიმე და ძვირად ღირებული რამ იყო. მიუხედავად ამისა, მისი ტექნიკური გადაწყვეტა ჯავშანჟილეტების კონსტრუქციაში ერთადერთი იყო 1980 წლამდე.

ჯავშანფირფიტები ჟილეტებისათვის, როგორც წესი, სპეციალური ფოლადისგან კეთდება. ფოლადი საკმაოდ მყარი უნდა იყოს, რომ ტყვიის თერმომტკიცე გულას დარტყმას გაუძლოს, ამასთან, ამავე დროს, საკმაოდ დრეკადიც, წინააღმდეგ შემთხვევაში, გასკდება. ეს მოთხოვნები საკმაოდ წინააღმდეგობრივია და ზოგჯერ კონსტრუქტორი იძულებული ხდება ეშმაკობას მიმართოს, – მაგალითად, გამოიყენოს ჰეტეროგენული ფოლადი, გარედან მყარი, შიგნით კი რბილი (ასეთი სტრუქტურა ფირფიტების მაღალი სიხშირის დენით თერმოდამუშავებით მიიღება). ზოგიერთი უცხოელი მეწარმე არჩევს ბიმეტალის ფირფიტებს (ორი სხვადასხვა ფენისგან).



დაცვის მე-5 კლასის ჟილეტებისათვის, რომელთაც იყენებენ, მაგალითად, სპეცდანიშნულების რაზმების საშტურმო დაჯგუფებებში, არც ფოლადი, არც ტიტანი და არც ალუმინი აღარ გამოდგება, – ჟილეტი მეტად მძიმე და დიდი იქნება. აქ იყენებენ კერამიკას, რომელსაც საფუძვლად უდევს ალუმინის ოქსიდი (კორუნდი), კაჟის კარბიდი (კარბორუნდი) ან ბორის კარბიდი. კერამიკული ფირფიტები საკმაოდ სქელია (ჩვეულებრივ მონობლოკებია), მაგრამ გაცილებით მსუბუქი და მყარია ფოლადზე და შეუძლია დაიცვას ადამიანი მაგარგულიანი ტყვიებისაგან, მათ შორის, ჯავშანგამტანისაგან.

ჯავშანჟილეტების რესურსი, ისევე როგორც დაცვის ეკიპირებისა, შეზღუდულია. არამიდული ქსოვილების „სამსახურის" ხანგრძლივობა სულ ხუთი წელია. გაცილებით დიდხანს ძლებს ფოლადის ფირფიტები – ისინი ტყვიის მოხვედრისას დეფორმირდებიან, მაგრამ დაცვის სათანადო ხარისხს მაინც უზრუნველყოფენ. კერამიკულ ფირფიტებზე ტყვიის 1-3 მოხვედრის შემდეგ მიკრონაპრალები ჩნდება და კიდევ ერთ ტყვიას, რომელიც დაზიანებულ ბლოკს მოხვდება, შეუძლია გახვრიტოს.



# აზერბაიჯანის არმია — ყველაზე მრავალრიცხოვანი რეგიონში

## ბაქოს სამჯერ მეტი საბრძოლო თვითმფრინავი ჰყავს, ვიდრე საქართველოსა და სომხეთს ერთად



1918 წლის 26 ივნისს აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ გამოსცა ბრძანება აზერბაიჯანის რეგულარული არმიის პირველი შენაერთის — ცალკეული აზერბაიჯანული კორპუსის შექმნის შესახებ. 1998 წელს პრეზიდენტმა ჰეიდარ ალიევმა ეს დღე აზერბაიჯანის არმიის დღედ ოფიციალურად გამოაცხადა.

ქვემოთ მოყვანილი ციფრები აზერბაიჯანის არმიის პირადი შემადგენლობისა და შეიარაღების შესახებ სწორედ ის მონაცემებია, რასაც ბაქო ოფიციალურად აწვდის დასავლეთს. თუმც რჩება შთაბეჭდილება, რომ ისევე როგორც ერევანი, ბაქოც ოდნავ ამცირებს რეალურ რაოდენობას. სომხეთი ამას, ძირთადად, მთიანი ყარაბაღის აუღიარებელი რესპუბლიკის ხარჯზე აკეთებს, აზერბაიჯანს კი აქვს საკმარისი ტერიტორია, სადაც შეიძლება შეიარაღების ნაწილის გადანახვა. ბაქოსა და ერევნის ეს პოზიცია გასაგებია, რადგან სამხრეთ კავკასიის ამ რაიონში საბრძოლო მოქმედებების განახლება ყოველ წუთსაა მოსალოდნელი.

ოფიციალურად აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის რაოდენობა 68 ათასს აღწევს, თუმც არსებობს სხვა ინფორმაციაც, რომლის თანახმადაც ეს ციფრი 10-15 ათასით მეტია.

აზერბაიჯანის სახმელეთო ძალების რაოდენობა დაახლოებით 57 ათასია, სამხედრო-საჰაერო და საჰაერო თავდაცვის ძალები 8 ათას კაცს შეადგენს, სამხედრო-საზღვაო ძალებში კი 2,5 ათასზე მეტი კაცი მსახურობს.

აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს ათ წელზე მეტია ხელმძღვანელობს გენერალ-პოლკოვნიკი საფარ აბიევი. იგი 1950 წელს დაიბადა ბაქოში და 1971 წელს დაამთავრა ბაქოს უმაღლესი საერთო-საჯარი-



სო სამეთაურო სასწავლებელი. საბჭოთა კავშირის დაშლის წინ, 1989-92 წ.წ.-ებში, მეთაურობდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ერთ-ერთ შენაერთს. 1993 წელს დაინიშნა აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსად. 1995 წლიდან კი აზერბაიჯანის თავდაცვის მინისტრია. აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალების განკარგულებაშია 261 ტანკი (98 Т-55 და 163 Т-72)* 187 ჯავშანმანქანა, აქედან 64 ჯავშანტრანსპორტიორი (23БТР-60, 24 БТР-70, 11БТР-80, 6 БТР-Д) და 123 ქვეითთა საბრძოლო მანქანაა (20БМД-1, 42 БМП-1, 39 БМП-2, 1 БМП-3, 21 БРМ-1К). საარტილერიო შეიარაღებაში შედის 343 ცალი 100 მმ-ზე მსხვილი კალიბრის ქვემეხი, ჰაუბიცა და ნაღმსატყორცნი. მათ შორისაა 16 ბუქსირებადი 152 მმ კალიბრის ქვემეხი 2А36 Гиацинт-Б, 12 ცალი 2С1 Гвоздика და 25 ერთეული 2С9 Нона-С ტიპის თვითმავალი საარტილერიო დანადგარი, 24 Д-20 და 80 Д-30 ტიპის ჰაუბიცები, 36 ცალი 130 მმ კალიბრის ქვემეხი М-46, 94 ცალი 120 მმ-იანი ნაღმსატყორცნი ПМ-38, 12 ერთეული 9А-52 Смерч-ისა და 44 ცალი БМ-21 Град-ის ტიპის ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემები.

სახმელეთო ძალების შემადგენლობაში შედის ხუთი საარმიო კორპუსი და ცალკეული სამხედრო ნაწილი.

1-ელი საარმიო კორპუსი 13 ათას კაცს ითვლის და მისი შტაბი ევლახშია. კორპუსის შემადგენლობაშია ექვსი მოტომსროლელი ბრიგადა და ერთი ცალკეული საარტილერიო ბატალიონი.

მე-2 საარმიო კორპუსის შტაბი განთავსებულია ქალაქ ლენქორანში. კორპუსის რიცხოვნობა 10700 კაცს აჭარბებს. კორპუსში შედის ხუთი მოტომსროლელი ბრიგადა და ერთი ცალკეული საარტილერიო ბატალიონი.

მე-3 საარმიო კორპუსის შემადგენლობაშია ასევე ხუთი მოტომსროლელი ბრიგადა. კორპუსის საერთო რაოდენობა 10800-ზე მეტია, შტაბი განჯაში მდებარეობს.

მე-4 საარმიო კორპუსის შტაბი ქალაქ მუშვიჰაბადშია. კორპუსის რიცხოვნობა 6400 კაცს არ აღემატება და მის შემადგენლობაში მხოლოდ სამი მოტომსროლელი ბრიგადაა გაერთიანებული.

ყველაზე პატარა მე-5 საარმიო კოპუსია. აქ 5600 სამხედრო მსახურობს. კორპუსის შტაბი ქალაქ ნახჭევანშია. კორპუსის შემადგენლობაში შედის ოთხი მოტომსროლელი ბრიგადა და ერთი ცალკეული საარტილერიო ბატალიონი.

ამ კორპუსის მოტომსროლელი ბრიგადის რიცხოვნობა 1300-ს არ აღემატება, მაშინ როდესაც 1-ელი საარმიო კორპუსის მოტომსროლელ ბრიგადებში, როგორც წესი, დაახლოებით 2100 კაცი მსახურობს, ხოლო









მე-3 საარმიო კორპუსის ბრიგადებში კი 2150-მდე, ცალკეულ საარტილერიო ბატალიონში პირადი შემადგენლობა სტანდარტულია – 330 კაცი.

უშუალოდ თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში შედიან საარტილერიო, რეაქტიული არტილერიის, სასწავლო-საარტილერიო, ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო და კავშირგაბმულობის ბრიგადები, სასწავლო ცენტრი, ტანკისტების მომზადების ცენტრი და საინჟინრო ბრიგადა და ჯავშანსატანკო სარემონტო ქარხანა.

აზერბაიჯანის სამხედრო-საჰაერო ძალების შემადგენლობაში შედის ცალკეული გამანადგურებელი ესკადრილია, გამანადგურებელ-ბომბდამშენთა პოლკი, საავიაციო-სარემონტო ქარხანა და შვეულმფრენების პოლკი.

ცალკეული გამანადგურებელი ესკადრილია განთავსებულია ზეინალაბდინში. იქ 183 საავიაციო სპეციალისტი და პილოტი, 22 ერთეული გამანადგურებელ-გზაგადამჭრელ თვითმფრინავს МиГ-25-ს ემსახურება. ესკადრილიას ასევე ჰყავს 4 ორადგილიანი სასწავლო-საბრძოლო МиГ-25УБ.

გამანადგურებელ-ბომბდამშენთა პოლკი დისლოცირებულია ბიურდამირის სამხედრო აეროდრომზე. პოლკში 242 კაცი მსახურობს. პოლკის შეიარაღებაში იყო 4 გამანადგურებელი МиГ-21, 4 გამანადგურებელ-ბომბდამშენი Су-17, ოთხი ორადგილიანი სასწავლო-საბრძოლო Су-17УБ, ერთი საფრონტო ბომბდამშენი Су-24, 12 მოიერიშე Су-25, 3 ორადგილიანი სასწავლო-საბრძოლო Су-25 УБ. პოლკის განკარგულებაშია სასწავლო თვითმფრინავები – 26 ცალი L-29 „დელფინი“ და 12 ერთეული L-39 „ალბატროსი“.

საავიაციო-სარემონტო ქარხნის ტერიტორიაზე (ასევე ზეინალაბადინში) ეყენა 11 თვითმფრინავი, მათ შორის ერთი МиГ-21, 10 МиГ-25, 2 L-29 და ერთი МиГ-25УБ.

შვეულმფრენების პოლკი ქალაქ გალაშია განთავსებული. პოლკში 600-ზე მეტი სამხედრო მსახურობს. შეიარაღებაში ჰყავთ ორი L-29 „დელფინი“,15 საბრძოლო შვეულმფრენი Ми-24, 13 ერთეული სამხედრო-სატრანსპორტო Ми-8 და 7 ცალი Ми-2.

ამ ჩამონათვალს აუცილებლად უნდა მიემატოს 14 ცალი МиГ-29 ტიპის გამანადგურებელი თვითმფრინავი (მათგან ორი ორადგილიანი სასწავლო-საბრძოლო МиГ-29 УБ-ია), რომლებიც ბაქომ ა.წ. გაზაფხულზე უკრაინიდან ჩამოიტანა.

საერთო ჯამში აზერბაიჯანის სამხედრო ავიაციის საერთო რიცხოვნობა ყველა თვითმფრინავისა და შვეულმფრენის ჩათვლით (გარდა სატრანსპორტო თვითმფრინავებისა) შეადგენს 138 ერთეულს. აქედან საბრძოლო თვითმფრინავები არანაკლებ 76 ცალია (აქ არ შედის L-29 და L-39 ტიპის სასწავლო-საბრძოლო თვითმფრინავები).

ეს კი ნიშნავს, რომ აზერბაიჯანს 3-ჯერ მეტი საბრძოლო თვითმფრინავი ჰყავს, ვიდრე სომხეთსა (15 ცალი Су-25 და ერთი МиГ-25) და საქართველოს ერთად.

აზერბაიჯანის სამხედრო-საზღვაო ძალების მთავარი სამხედრო ბაზა ბაქოს პორტშია. აქ დაახლოებით 2500 მეზღვაური მსახურობს. საბჭოთა კავშირის კასპიის ზღვის ფლოტილიისგან აზერბაიჯანელებს რამდენიმე კატარღა დარჩათ, რომლებსაც მოგვიანებით თურქეთის ნაჩუქარი მცურავი საშუალებაც შემატეს.

დღეისათვის აზერბაიჯანის სამხედრო-საზღვაო ძალების შეიარაღებაში უნდა იყოს 8 საპატრულო კატარღა (მათ შორის სამი 205-ე პროექტისაა), 6 სადესანტო გემი, 5 მტრალავი და 10-მდე დამხმარე მცურავი საშუალება.

აზებაიჯანის შეიარაღებული ძალები სამხრეთ კავკასიის რეგიონში დღეისათვის ყველაზე მრავალრიცხოვანი არმიაა, თუმც რაოდენობა ყოველთვის არ ნიშნავს ხარისხს.

*ირაკლი ალადაშვილი*

**ჩვენი დოსიე:** აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალების ლეიტენანტი თვეში 195-240 აზერბაიჯანულ მანათს იღებს. ეს დაახლოებით 230-300 დოლარია; უფროსი ლეიტენანტის ანაზღაურება 250 დოლარს შეადგენს, მაგრამ თუკი იგი ყარაბაღის ახლოს მსახურობს, ყოველთვიური ანაზღაურება 400 დოლარამდე იზრდება. კაპიტნის ხელფასმა საბრძოლო მოქმედებების ზონაში შეიძლება 550 დოლარსაც მიაღწიოს, ნაკლებსახიფათო ადგილზე სამსახურისთვის 350 დოლარამდე იღებენ. მაიორს სამხედრო ნაწილში 600 დოლარამდე აქვს ხელფასი, ფრონტის ხაზის სიახლოვეს კი 750 დოლარამდე. ჩვენებური ვიცე-პოლკოვნიკის შესატყვისი აზერბაიჯანულ არმიაში პოლკოვნიკ-ლეიტენანტია. მას სახელმწიფო შედარებით უხიფათო ადგილას მსახურობისას მაქსიმუმ 850 დოლარს აძლევს, ფრონტის ხაზთან ახლოს კი 1.100 დოლარამდე. შესაბამისად, პოლკოვნიკის ანაზღაურებაა 950 და 1.350 დოლარი. აზერბაიჯანელი გენერლების მაქსიმალური თვიური ხელფასი შეიძლება 25.000 დოლარს გაუტოლდეს საბრძოლო მოქმედებების რაიონში.





# „ქართული სამხედრო ნაწილები ბაქოსაკენ!“

## საქართველო-აზერბაიჯანის სამხედრო დიპლომატიის ისტორიიდან

**1920 წლის 26 აპრილის ღამეა. საქართველოს მთავრობის თავდაცვის საბჭოში, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობის სახელით, ბაქოდან მოულოდნელად დაშიფრულ დეპეშას იღებენ, რომელშიც ნათქვამია: დაუყოვნებლივ უნდა დაიტვირთოს სამხედრო ეშელონები მსხვილი საარმიო ქვედანაყოფებით, არტილერიით, გადაილახოს აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი და ქართული სამხედრო ნაწილები ბაქოში შევიდნენ. საქართველოს სამხედრო სამინისტრო და შეიარაღებული ძალების შტაბი, წინასწარი გეგმის საფუძველზე, დაუყოვნებლივ შეუდგნენ ბაქოში შესვლის სამზადისს...**

### ერთობლივად საერთო მტრის წინააღმდეგ

მიუხედავად იმისა, რომ კავკასიის ოთხ რესპუბლიკას – საქართველოს, სომხეთს, აზერბაიჯანსა და მთიელთა კავშირს – ერთმანეთთან უთანხმოება ჰქონდათ (ძირითადად, სასაზღვრო-ტერიტორიული საკითხების გამო), გარკვეულწილად მაინც მოხერხდა სამი ქვეყნის სამხედრო ინტეგრაცია მტრებისაგან კოლექტიური თავდაცვის მიზნით. 1919 წლის მაის-ივნისში თბილისში ჩატარებული კავკასიის ქვეყნების I რეგიონული საერთაშორისო კონფერენციის მსვლელობისას ნათლად გამოიკვეთა სომხეთის დესტრუქციული მოქმედება ერთობლივი პოზიციების შემუშავების პროცესში. ერევანი პერმანენტულად ცდილობდა არ დაეშვა აზერბაიჯანთან რაიმე სახის შეთანხმების დადება, თუნდაც ეს მისთვის სასარგებლო ყოფილიყო. თუ იმ დროის მოვლენების დრამატიზმს გავითვალისწინებთ, მეტ-ნაკლებად გასაგები იქნება სომხეთის პოლიტიკური კურსი: აზერბაიჯანი მისი მტერი იყო, აზერბაიჯანის არმია ყარაბაღსა და ზანგეზურში აჯანყებული სომხების წინააღმდეგ იბრძოდა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად. გარდა ამისა, „არარატის რესპუბლიკა“ აზერბაიჯანს თურქეთის პოლიტიკის გამგრძელებლად მიიჩნევდა და შესაბამისად, უნდობლად ეკიდებოდა ბაქოს ყოველგვარ პოლიტიკურ ნაბიჯს.

ეს ის დროა, როცა ჩრდილოეთ კავკასიაში „თეთრი რუსეთის“ მოხალისეთა არმიამ ბოლშევიკებთან ბრძოლაში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. თუ გავიხსენებთ გენერალ ანტონ დენიკინის ლოზუნგს „ერთიანი და განუყოფელი რუსეთის“ აღდგენის თაობაზე, ნათელი გახდება, რა საფრთხე ელოდათ რუსეთის იმპერიისაგან ჩამოცილებულ და სახელმწიფოებრიობა აღდგენილ ერებს. ამ საშიშროებას კარგად აცნობიერებდნენ კავკასიის სახელმწიფოთა კონფერენციაზეც, რომლის მუშაობის მომენტში მოხალისეთა არმიამ უკვე „ჩაყლაპა“ მთიელთა რესპუბლიკა, საქართველოს კი ცოტა უფრო ადრე დიდი მსხვერპლის ფასად წაართვა სოჭის ოლქი. ჯერი აზერბაიჯანზეც მიდგა – „თეთრი გვარდია“ დაღესტნიდან უკვე სასაზღვრო მდინარე სამურს უახლოვდებოდა...



გენერალი კვინიტაძე

ცხადია, ასეთ დროს ბაქო და თბილისი ძალიან იყვნენ დაინტერესებულნი მტრის შემოტევას წინ აღდგომოდნენ. კონფერენციაზე, როცა ეს საკითხი დაისვა, სომხეთმა ნეიტრალური პოზიცია დაიკავა და არ შეუერთდა ერთობლივ დეკლარაციას. ამიტომაც საქართველომ და აზერბაიჯანმა გადაწყვიტეს დაედოთ შეთანხმება სამხედრო ურთიერთდახმარების შესახებ.

ეს საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტი იმდროინდელი რეგიონის მასშტაბით მეტად საინტერესო და უპრეცედენტოა თავისი შინაარსითა და მიზნებით. მეტიც, მისი პრინციპებიდან გამომდინარე, იმ დროისათვის საკმაოდ პროგრესულ ნაბიჯად შეიძლება მივიჩნიოთ: პრინციპში, ეს იყო ერთგვარი სამხედრო ბლოკი, მიმართული რეგიონული უსაფრთხოების დაცვისაკენ. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, თუ გავიხსენებთ, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანს ერთმანეთთან ტერიტორიული საკითხები ჰქონდათ მოსაგვარებელი. დოკუმენტის ნოვატორულ ხასიათზე მეტყველებს ისიც, რომ მხარეები სადავო საკითხებს იარაღით კი არა, მშვიდობიანი გზით – მხოლოდ სამართლებრივი წესით (არბიტრაჟით) გადაწყვეტდნენ და საგარეო პოლიტიკური კურსის გატარებისას სოლიდარულად იმოქმედებდნენ. გარდა ამისა, საყურადღებოა ისიც, რომ საქართველომ და აზერბაიჯანმა, სომხეთის დესტრუქციული ქმედების მიუხედავად, ერევნისადმი ნდობა მაინც არ დაკარგეს და მას „კარი ღია დაუტოვეს“. თუმცა უშედეგოდ: დაშნაკებმა კვლავ თავი შეიკავეს და დოკუმენტის პრინციპები არ გაიზიარეს. აქვე შევნიშნავთ, რომ ამის გამო ქართულ პრესაში საკმაოდ მოიმატა სომხეთისადმი კრიტიკულმა დამოკიდებულებამ.

ქართველმა საზოგადოებამ და პოლიტიკურმა წრეებმა ხელმოწერილი შეთანხმება უაღრესად დადებითად შეაფასეს. როგორც ოპოზიცია აცხადებდა, „ეს დოკუმენტი ერთადერთი კარგი ნაბიჯია, რომელიც კი საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ გადადგა“. ხელშეკრულებისადმი ოპოზიციური პარტიების დადებითი დამოკიდებულება 26 ივნისს გამართულ საქართველოს დამფუძნებელი კრების საგანგებო სხდომაზე, მისი რატიფიკაციის დროსაც გამოვლინდა: რატიფიცირებას მხარი ყველამ ერთხმად დაუჭირა. აი, ამონარიდები დეპუტატთა გამოსვლებიდან:

**ევგენი გეგეჭკორი** (საგარეო საქმეთა მინისტრი): „...საზოგადოდ ადამიანი დაფასდება არა იმით, რასაც ის ლაპარაკობს, არამედ იმით, თუ რას აკეთებს ის. ჩვენი მოღვაწეობა – ეს გახლავთ კეთილმეზობლური გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყობილება ამიერკავკასიაში მობინადრე ერებთან, მათთან სოლიდარული კავშირის დამყარება და ხელიხელჩაკიდებული, საერთო ძალით, საერთო შრომით, მთელი ამიერკავკასიის ერების ბედნიერება და აყვავება... ეს კავშირი არის მიმართული იმ გარეშე ძალების წინააღმდეგ, რომელნიც მოისურვებენ ჩვენი რესპუბლიკის დამხობას. ეს იყო ჩვენი პოლიტიკური და თუ გნებავთ, ზნეობრივი მოვალეობაც, დაგვეცვა აზერბაიჯანთან ერთად ჩვენი დემოკრატია და ინტერესები".

სპირიდონ კედია (ეროვნულ-დემოკრატთა ფრაქცია): „...შემთხვევითი არაა ის გარემოება, რომ საქართველოს მთავრობა და ქართველობა ყოველთვის გამოდიოდა საერთო შემოკრებისა და გაერთიანების წინადადებით. ჩვენი ამგვარი მისია განსაზღვრულია ჩვენი ერის ისტორიის შინაარსით, მისი აწინდელი პოლიტიკური და კულტურული ვითარებით... თვით ეს ხელშეკრულება სავსებით მისაღებია, არც ერთი მუხლის წინააღმდეგ ჩვენ არაფერი არ გვეთქმის. არ გვეთქმის იმიტომ, რომ ყოველი მათგანი თითოეული მხარის დამოუკიდებლობასა და ტერიტორიის მთლიანობის დაცვას ისახავს... ქართველი ხალხის ტრადიციაა, რომ იგი ერთგულად დაიცავს დადებულ პირობას, მიცემულ სიტყვას. იგი დაიცავს მას სისხლით და ხმალით. მე მწამს, რომ მეორე მხრივ, აზერბაიჯანელი ხალხიც, ეს პატიოსანი, მშრომელი და თავის ფიცის ერთგული ხალხიც, ღირსეული აღმსრულებელი იქნება ამ საერთო ხელშეკრულებისა და ყოველი მსხვერპლის საფასურით დაიცავს თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობას... ჩვენ გვწამს, რომ აზერბაიჯანელი ხალხი ჩვენთან ერთად იტყვის: „ან გამარჯვება, ან სიკვდილი!"

თავის მხრივ, აზერბაიჯანის პარლამენტმა ხელშეკრულების რატიფიცირება 27 ივნისს მოახდინა – ასევე ერთხმად, საზეიმო ვითარებაში. ხელშეკრულება უარყოფითად მხოლოდ ბოლშევიკებმა შეაფასეს და მას „არაფრის მაქნისი ფარატინა ქაღალდი" უწოდეს. საინტერესო ფაქტია, რომ პარლამენტის სხდომას ესწრებოდა ბაქოში ვიზიტით მყოფი საქართველოს მიწათმოქმედების მინისტრი ნოე ხომერიკი, საქართველოს ელჩი აზერბაიჯანში ნიკოლოზ ქარცივაძე, მისი მოადგილე გრიგოლ ალშიბაია და საელჩოს სამხედრო ატაშე, პოლკოვნიკი ვასილ კარგარეთელი, რომლებიც დიპლომატიურ ლოჟაში ისხდნენ.

ხელშეკრულების რატიფიცირება, როგორც ეს ტექსტშია აღნიშნული, ბაქოში მოხდა. ამ მიზნით 30 ივნისს აზერბაიჯანში გაემგზავრა საქართველოს სამთავრობო დელეგაცია სამხედრო და შს მინისტრის ნოე რამიშვილისა და რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს წევრის, გენერალ-ლეიტენანტ ილია ოდიშელიძის შემადგენლობით. 2 ივლისს აზერბაიჯანის მინისტრთა საბჭოს შენობაში რატიფიცირებული ხელშეკრულებები გაიცვალა. დოკუმენტების გაცვლის ცერემონიას აზერბაიჯანის მთავრობა სრული შემადგენლობით ესწრებოდა, პრემიერ-მინისტრ ნასიბ-ბეკ უსუბეკოვის ხელმძღვანელობით.

მომდევნო პერიოდში საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის სამხედრო თანამშრომლობა მნიშვნელოვნად გაფართოვდა – გახშირდა გამოცდილების ურთიერთგაზიარება, მოიმატა საქმიანი დელეგაციების სიხშირემ. თბილისში ხშირად ჩამოდიოდა გენერალი სულკევიჩი და მისი მოადგილე მურად გირეი, ასევე გენერლის ჩინით, რომლებიც მოლაპარაკებას აწარმოებდნენ ქართველი ოფიცრების აზერბაიჯანის არმიაში სამსახურისა და სამხედრო-საინჟინრო სფეროში დახმარების, სამხედრო განათლების დარგში გამოცდილების გაზიარებისა და სამხედრო ტექნიკის შესყიდვის თაობაზე – აზერბაიჯანის არმიას ძალზე სჭირდებოდა მძიმე არტილერია, განსაკუთრებით სამთო ქვემეხები.

მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ აზერბაიჯანს არ ჰყავდა კვალიფიციური, პროფესიული სამხედრო კადრები – მეფის რუსეთში მუსლიმანები სამხედრო ბეგარისაგან გათავისუფლებულნი იყვნენ, ამიტომაც აზერბაიჯანის არმიაში ბევრი ქართველი ოფიცერი მსახურობდა. საინტერესო ფაქტია ის, რომ აზერბაიჯანის არმიის გენშტაბის უფროსს თბილისში ყოფნის დროს, 1919 წლის მიწურულს, იუნკერთა სკოლა დაუთვალიერებია და ახალგაზრდა ოფიცრების მომზადების მაღალი დონის გამო აღტაცება გამოუხატავს. ამ ამბიდან სულ მალე იუნკერთა სასწავლებელი ბაქოშიც გაუხსნიათ.

საბედნიეროდ, ისე მიილია 1919 წელი, რომ საქართველო-აზერბაიჯანის სამხედრო შეთანხმების უმთავრესი მუხლი – შეიარაღებული ძალებით დახმარება მესამე სახელმწიფოს თავდასხმის შემთხვევაში – არ ამოქმედებულა. „თეთრი რუსეთის" უმაღლესმა წარმომადგენელმა და მოხალისეთა არმიის სარდალმა ანტონ დენიკინმა, როგორც ჩანს, ანგარიში გაუწია თბილისი-ბაქოს სამხედრო ბლოკს და მათ წინააღმდეგ სამხედრო მოქმედების დაწყება ველარ გაბედა.

## „ბრძანებაა, დაუყოვნებლივ მივაწოდოთ ბაქოს საქართველოს სამხედრო ნაწილები"

დადგა 1920 წელი. ჩრდილოეთ კავკასიიდან მომზირალი მოხალისეთა არმიის მტრული აჩრდილი გაქრა, მაგრამ მისი ადგილი საბჭოთა რუსეთის წითელმა არმიამ დაიკავა. ფაქტობრივად, „წითელი" ლენინის პოლიტიკა „თეთრი" დენიკინის პოლიტიკისაგან ბევრად არ განსხვავდებოდა – საბოლოოდ ერთიც და მეორეც ერთიანი რუსეთის აღდგენისაკენ მიისწრაფოდნენ. ამრიგად, საქართველოსა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობას კვლავ საფრთხე შეექმნა. აპრილის ბოლოს წითელი არმია აზერბაიჯანის საზღვარს – მდინარე სამურს მოადგა – ბოლშევიკებს ბაქოს ნავთობი ჰაერივით ესაჭიროებოდათ.

„1920 წლის აპრილში მე სამხედრო მინისტრმა გრიგოლ ლორთქიფანიძემ გამომიძახა და მითხრა, რომ მთავრობის დავალებით ბაქოში უნდა წავსულიყავი, – იხსენებს გენერალი გიორგი კვინიტაძე, – ჩვენმა მთავრობამ შარშან აზერბაიჯანთან სამხედრო ხელშეკრულება დადო, რომლის თანახმად, მტრის თავდასხმის შემთხვევაში, ერთმანეთს სამხედრო ძალებით უნდა დავხმარებოდით. ახლა, როცა საფრთხე მომატებული იყო, ეს სამხედრო კავშირი კიდევ უფრო მეტად უნდა „გამოცოცხლებულიყო". იმ ხანებში პოლიტიკით მაინცდამაინც დიდად არ ვიყავი დაინტერესებული, მაგრამ ვიცოდი, რომ აზერბაიჯანის პოლიტიკურ წრეებში სამი მიმდინარეობდა შეიმჩნეოდა: ბაქოში ბევრი რუსი ცხოვრობდა და საკმაოდ ძლიერი იყო რუსოფილობა; ასევე მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდნენ თურქეთის მომხრენი; იყვნენ ნაციონალისტებიც, მაგრამ მათი რაოდენობა ცოტა იყო.

20 აპრილს ბაქოში ჩავედით. ჩემთან ერთად იყო გენერალი ქუთათელაძე და გენერალი თაყაიშვილი, რომელმაც რამდენიმე თვის წინ ბაქოს გამაგრებული რაიონი და მდინარე სამურის საფორტიფიკაციო სისტემა დააპროექტა. ბაქოს ვაგზალზე ჩვენ დაგვხვდა საპატიო ყარაული, რომელიც იუნკრების ადგილობრივი სკოლის აღსაზრდელები იყვნენ. იქვე იყო ალი-აღა შიხლინსკი, აზერბაიჯანის სამხედრო მინისტრის მეხმანდაროვის მოადგილე, რადგანაც თვითონ მინისტრი ავად ყოფილა. მე ვეახლე მთავრობის თავმჯდომარეს უსუბეკოვს და მოვახსენე ვიზიტის მიზანი, მინდოდა დამეთვალიერებინა ბაქო-სამურის გამაგრებული რაიონის პოზიციები და აზერბაიჯანის არმიის მომზადების დონე...

დათვალიერებისას თან მახლდნენ ბაქოს სიმაგრის კომენდანტი, გენერალი უსუბოვი და საქართველოს სამხედრო ატაშე, პოლკოვნიკი კარგარეთელი. აღმოჩნდა, რომ აზერბაიჯანის არმია ბოლშევიკურ წითელ არმიასთან საბრძოლველად მზად არ არის. 20-კილომეტრიან სამურის საფორტიფიკაციო სისტემას მხოლოდ ერთი ბატალიონი იცავდა ქართველი ოფიცრის – პოლკოვნიკ თუმანიშვილის მეთაურობით (ბოლშევიკებმა შეიპყრეს და დახვრიტეს).

რამდენიმე დღის შემდეგ სამხედრო მინისტრს, გენერალ სამედ-ბეკ მეხმანდაროვსაც შევხვდი, ჩავატარეთ თათბირი. იგი მთხოვდა განმესაზღვრა ჯარის ის რაოდენობა, რითაც საქართველო აზერბაიჯანს დახმარებას აღმოუჩენდა. მე ვუთხარი, რომ ეს დამოკ-

იდებულია იმაზე, თუ საით მიმართავენ ბოლშევიკები თავიანთ მთავარ დარტყმას და იმაზე, თუ როგორ გეგმას მიიღებს ორმხრივი სამხედრო-სამოკავშირეო საბჭო. შეიძლება მთელი ქართული არმია აზერბაიჯანში შემოვიდეს-მეთქი. თათბირზე შევადგინეთ საერთო გეგმა ბოლშევიკების თავდასხმის შემთხვევაში. გეგმას საფუძვლად დაედო პრინციპი, რომლის თანახმად, აზერბაიჯანის არმიას ისე უნდა ემოქმედა, რომ მტერს არ დაეშალა და მერე ცალ-ცალკე არ გაენადგურებინა. გეგმა, საერთო ჯამში, დამაკმაყოფილებელი იყო. სამწუხაროდ, ჩვენს მოლაპარაკებას რეალური შედეგი არ მოჰყოლია – ბაქოდან ჩემი წამოსვლის შემდეგ, 26 აპრილს, ღამით, ქალაქი მტერმა რამდენიმე საათში უბრძოლველად დაიკავა. სამწუხაროა ისიც, რომ ბოლშევიკებმა ბევრი ქართველი ოფიცერი დახვრიტეს“.

ახლა მოვუსმინოთ იმდროინდელი ამბების კიდევ ერთ მოწმეს – ქართული არმიის შტაბის უფროსს, გენერალ ალექსანდრე ზაქარიაძეს: „26 აპრილს, საღამოს, მოგვდის საქართველო-აზერბაიჯანის გაერთიანებული სამხედრო საბჭოს ტელეგრამა, რომ დაუყოვნებლივ მივაწოდოთ ბაქოს სამხედრო ერთეულები, გათვალისწინებული საერთო თავდაცვის გეგმაში: ქვეითთა სამი ათასეული, ერთი საარტილერიო დივიზიონი (თვრამეტი ქვემეხით) და სათანადო ტექნიკური ნაწილები. ამ შენაერთის მეთაურად დაინიშნა გენერალი სუმბათაშვილი. 28 აპრილს, დილით, ეს ქვედანაყოფები უკვე სამხედრო ეშელონებში ჩატვირთულნი, ბაქოსაკენ გამგზავრებას ელოდნენ. საღამოს 9 საათზე გენერალი სუმბათაშვილი ჩემს კაბინეტში იჯდა და ჩემგან უკანასკნელ ინსტრუქციებს იღებდა, რომ ამ დროს ტელეფონმა დარეკა. მელაპარაკა ბაქოდან ერთი ქართველი ოფიცერი, რომელიც აზერბაიჯანის არმიის მთავარ შტაბში მსახურობდა. მეუბნება: „იყავით ფრთხილად, მეშინია, რომ აქ ჩამოსული ქართული ნაწილები სახიფათო მდგომარეობაში არ ჩაცვივდნენ. აქ საკითხი გათავებულია – ეს-ეს არის პარლამენტმა დაადგინა, რომ ხელისუფლება ბოლშევიკებს გადაეცეს... ბატონ უსუბეკოვის მუსავატური მთავრობა გადადგა და სადღაც მიიმალა, არც გენერალი მეხმანდაროვი ჩანს“. მე ვთხოვე მას დაუყოვნებლივ გაეფრთხილებინა ამის თაობაზე ბაქოში მყოფი გენერალი კვინიტაძე, თუმცა, როგორც შემდეგ გავიგე, გენერალი ქალაქიდან ბოლშევიკების დაკავებამდე გამოსულა.

ეს ყველაფერი მე იმწუთშივე მოვახსენე მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას, რომელმაც დაუყოვნებლივ მოიწვია თავდაცვის საბჭოს სხდომა. საბჭომ დაადგინა, რომ მიმეყვანა ჩვენი შენაერთი აზერბაიჯანის საზღვრამდე და შემეჩერებინა ფოილოს ხიდის მიდამოებში, სანამ მდგომარეობა არ გაირკვეოდა. ასეთი ინსტრუქცია მიიღო ჩემგან გენერალმა სუმბათაშვილმაც“, – წერს ალექსანდრე ზაქარიაძე ემიგრაციაში გამოქვეყნებულ მემუარებში.

30 აპრილს თბილისში დამფუძნებელი კრების საგანგებო სხდომა გაიმართა, მოხსენებით გამოვიდა მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია, რომელმაც დეპუტატებს ბაქოდან მიღებული დახმარების თხოვნები და ამასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის მოქმედებები გააცნო. მან აღნიშნა, რომ საქართველო მზად იყო დასახმარებლად, მოამზადა კიდეც სამხედრო ნაწილები, მაგრამ როგორც გაირკვა, აზერბაიჯანის არმიას მტრისათვის არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევია. „ჩვენი მინისტრების შეკრების დროს გაჩნდა კითხვები: მიიღებს აზერბაიჯანის არმია ბრძოლის მთავარ სიმძიმეს? თუ ეს ასეა, მაშინ ჩვენ ვალდებულნი ვართ დავეხმაროთ არა მხოლოდ ხელშეკრულების ძალით, არამედ მორალურადაც. მაგრამ თუ უცხო არმიას წინააღმდეგობას არავინ უწევს, მაშინ აზერბაიჯანში ქართული ჯარის გაგზავნა ჩვენი მეომრების დაღუპვის ტოლფასი იქნებოდა. ეს დაუყოვნებლივ ვაცნობეთ ბაქოს და შევუდექით იქაური პოლიტიკური ატმოსფეროს გარკვევას. ჩქარა მივიღეთ ცნობა, რომ რუსებს არავინ არ ებრძვის, რკინიგზის ხიდები არ აუფეთქებიათ და არც ლიანდაგებიც არ დაურღვევიათ, ჩვენს მიშველებამდე მათი წინსვლისათვის ხელი რომ შეეშალათ“.

შესაძლოა მკითხველს ასეთი კითხვები დაებადოს: თუ გავითვალისწინებთ საქართველოს პარლამენტში ხსენებული შეთანხმების რატიფიკაციის დროს წარმოთქმულ მგზნებარე სიტყვებს მოძმე აზერბაიჯანის მისამართით, მაშინ რატომ არ დაეხმარა თბილისი ბაქოს? საბჭოთა რუსეთის მე-11 წითელი არმია ხომ სწორედ ის მესამე ძალა იყო, რომელიც განადგურებას უქადდა ორივე სახელმწიფოს? იქნებ სჯობდა მტერი აზერბაიჯანშივე გაგვენადგურებინა? მით უმეტეს, რომ ამის სრული პოლიტიკურ-სამართლებრივი და გნებავთ, მორალური უფლება გვქონდა.

საქმე ის არის, რომ აზერბაიჯანის ხელისუფლებამ, როგორც ამას ნოე ჟორდანია ამბობდა, მართლაც სრული კაპიტულირება მოახდინა ბოლშევიკების წინაშე – პარლამენტმა სპეციალური განცხადებით ძალაუფლება წითლებს ჩააბარა და თვითლიკვიდაცია გამოაცხადა. პრაქტიკულად იგივე გააკეთა მთავრობამაც. აზერბაიჯანის სამხედრო მინისტრი სამედ-ბეკ მეხმანდაროვი თანამდებობიდან გადადგა, არმია სარდლობის გარეშე დარჩა და საბჭოთა რუსეთის სამხედრო ნაწილებისთვის წინააღმდეგობის გაწევა არც უფიქრია. ასეთ სიტუაციაში, როცა ხელშეკრულების მეორე მხარე მტერს საკუთარი ნებით ჩაბარდა, ღირდა კი ქართველი მეომრების საზღვარგარეთ გაგზავნა, აღარარსებული ხელისუფლების დასახმარებლად? სხვათა შორის, იგივე კითხვები მოგვიანებით საქართველოს დამფუძნებელ კრებაზეც დაისვა, თუმცა დეპუტატები მას აღარ ჩაღრმავებიან – ყველაფერი ისედაც ნათელი იყო: აზერბაიჯანის რესპუბლიკამ ვერ გაუძლო მკაცრ გამოცდას, ხელისუფლებაში ძალზე ბევრი აღმოჩნდა ბოლშევიკთა მხარდამჭერი, ასევე საკმაოდ იყვნენ თურქოფილებიც, თურქეთის ხელმძღვანელი მუსტაფა ქემალი კი იმ დროს საბჭოთა რუსეთის ძლიერ გავლენას განიცდიდა...

აზერბაიჯანის ხელისუფლების დასახმარებლად გაგზავნილი ეშელონები, რაღა



თქმა უნდა, ბაქოში არ ჩასულან, ისინი დისლოკაციის ადგილზე გაჩერდნენ, შემდეგ კი, 1920 წლის მაისში, მონაწილეობა მიიღეს სასაზღვრო კონფლიქტში, რომელიც ბოლშევიკებმა მოაწყვეს საქართველოს წინააღმდეგ.

როგორც ვხედავთ, 1919 წელს ხელმოწერილი საქართველო-აზერბაიჯანის სამხედრო შეთანხმების რეალიზება, რეგიონში შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო, ვერ მოხერხდა. თუმცა აქვე ვიტყვით, რომ თვით მისი არსებობის ფაქტი ორი მეზობელი ქვეყნის მეგობრული ურთიერთობის მაგალითს წარმოადგენს.

## 70 წლის შემდეგ: სამხედრო თანამშრომლობა გრძელდება

ზემოთ აღწერილი მოვლენების შემდეგ 70 წელზე მეტმა განვლო. საქართველოსა და აზერბაიჯანის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოთა სამხედრო ურთიერთობამ, ლოგიკური გაგრძელება ჰპოვა პოსტსაბჭოთა პერიოდშიც. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 90-იანი წლების კავკასიის გეოპოლიტიკური ვითარება და შეიარაღებული ძალების მდგომარეობა გარკვეულწილად ჰგავდა იმ ეპოქას, როცა ორი მეზობლის სამხედრო თანამშრომლობა ჩაისახა:

კვლავ თავი იჩინა სასაზღვრო-ტერიტორიულმა პრობლემებმა, სეპარატიზმმა;

საქართველოსა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლად გამოცხადების პირველ ეტაპზე ორივე ქვეყნის არმიები საკმაოდ სუსტნი იყვნენ და ამიტომ ორივემ წააგო ტერიტორიული მთლიანობის დაცვის მიზნით წარმოებული ბრძოლები;

დღეს ორივე სახელმწიფოს ხელისუფლების საშინაო პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და პრიორიტეტული საზრუნავია შეიარაღებული ძალების გაძლიერება;

ასეთ პირობებში, ბუნებრივია, კვლავ დღის წესრიგში დადგებოდა აზერბაიჯან-საქართველოს ერთმანეთთან დაახლოება. რასაკვირველია, ურთიერთობების პრინციპები, საერთაშორისოდ აღიარებულ საფუძვლებს ემყარებოდა: საშინაო საქმეებში ჩაურევლობა, პრობლემათა მშვიდობიანი გადაწყვეტა, ურთიერთდახმარება ეროვნული შეიარაღებული ძალების მშენებლობის პროცესში.

საინტერესოა, რომ უცხოურ ელექტრონულ მედიაში ბოლო წლების მანძილზე გამოჩნდა ცნობები საქართველოსა და აზერბაიჯანის სამხედრო თანამშრომლობის შესახებ. მაგალითად, გასულ წელს სომხური და რუსული წყაროების ინფორმაციით, 2002 წელს საქართველოს აზერბაიჯანისათვის მიუყიდია ექვსი მოიერიშე თვითმფრინავი Су-25. გარდა ამისა, როგორც ორიოდე კვირის წინ სომეხი სამხედრო ანალიტიკოსი ს. მინასიანი წერდა, საქართველო აქტიურად მონაწილეობს აზერბაიჯანის სამხედრო ტექნიკის ზოგიერთი სახეობის მოდერნიზაციაში – თბილისის საავიაციო ქარხანაში რემონტდება აზერბაიჯანის სამხედრო-საჰაერო ძალების მოიერიშე თვითმფრინავები, ხოლო 142-ე ტანკშემკეთებელ ქარხანაში, რომელიც საქართველოს რუსეთის ჯარების გასვლის შემდეგ დარჩა, მიმდინარეობს აზერბაიჯანის ტანკებისა და ქვეითთა ჯავშანმანქანების შეკეთება.

ამას გარდა, სხვადასხვა ეკონომიკურ-ენერგეტიკულ და პოლიტიკურ პროექტებში თანამშრომლობამ განაპირობა საქართველო-აზერბაიჯანის მჭიდრო ურთიერთობები. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ქვეყნების დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე დაწყებული სამხედრო-სტრატეგიული კავშირები კვლავ გრძელდება და ახალი ეპოქის გამოწვევების გათვალისწინებით, ახალ მიმართულებებსა და შინაარსს იძენს.

*სიმონ კილაძე*


**საუკეთესო საჩუქარი**

დაბადების დღისა და სხვა დღესასწაულებისთვის!!!

«მსოფლიო სპორტის» ბიბლიოთეკის I ტომი

**ურუგვაიდან გერმანიამდე**

პირველად – ენციკლოპედიური ხასიათის

პირველად – მსოფლიოს თვრამეტივე ჩემპიონატი ერთად

პირველად – დიდი ფორმატის, 500 გვერდიანი, მთლიანად ფერადი, ლამინირებული მაგარ გარეკანში

**წიგნი, რომელიც სჭირდება ქომაგს**

1930-2006 წლების მსოფლიოს თვრამეტივე ჩემპიონატის ისტორია, მასპინძელი ქვეყნების მოკლე ეკონომიკურ-გეოგრაფიული დახასიათება, შესარჩევი და ფინალური ეტაპების დაწვრილებითი სტატისტიკური მონაცემები, ჟურნალისტური მიმოხილვები და საინტერესო ფაქტები.

გამოყენებულია 1000-ზე მეტი ფერადი ფოტო და ცალკე თავი ეძღვნება ქართველი ფეხბურთელების მონაწილეობას მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპებზე.

თბილისში შეგიძლიათ შეუკვეთოთ სახლში მიტანით,

ტელ: 38-26-73; 42-43-40. (ელვა-სერვისი)

ასევე მოიკითხეთ წიგნის მაღაზიებში



# მსტოვრობის ისტორია საქართველოში

## მსტოვრობა თამარ მეფის ეპოქაში

(გაგრძელება)



სახელმწიფოს მართვის ისეთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი, როგორიც მსტოვართა ქსელია, თამარის მეფობის პირველ პერიოდში (ვგულისხმობთ 1185-1191 წლებს) ძალზე დასუსტებული იყო. თავად განსაჯეთ, 1191 წელს იური რუსის პირველი ამბოხებისთვის მზადება თამარ მეფის მსტოვრებს სამარცხვინოდ გამორჩათ, მაშინ როცა სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა მრავალი თვის მანძილზე მზადდებოდა. ექსორიაქმნილი იური ბოგოლიუბსკი უცხოეთიდან გეგმავდა სამხედრო ამბოხს და სამეფო ტახტის ხელში ჩაგდებას. მას მჭიდრო კავშირი ჰქონდა თავის მომხრეებთან, რომლებიც უცხოეთშიც ხშირად ხვდებოდნენ ქართველთა ყოფილ სიძეს. ამბოხების მომზადების მნიშვნელოვანი ეტაპი იყო იური რუსის შეხვედრა კარნუ-ქალაქში საქართველოდან ჩასულ სამეფო კარის მოხელესთან, კერძოდ, მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალთან (მოადგილესთან). მისი ვინაობა ქართულ ისტორიოგრაფიაში უცნობია. ერთი კია, თამარ მეფის ისტორიკოსი ამ მოღალატეს ასე მოიხსენიებს: „სჯულით ბარბაროზი და ქცევითა ტარტაროზი“. ამის საფუძველზე ქართველი ისტორიკოსები (მაგ. პროფ. შ. მესხია) მიიჩნევდნენ, რომ ის არაქართველი მოხელე უნდა ყოფილიყო. წესით და რიგით, გაძევებული იური ბოგოლიუბსკის კავშირი სამეფო კარის მოხელეებსა და დიდ ფეოდალებთან მეფის მსტოვრების დიდი ყურადღების საგანი უნდა გამხდარიყო. ის ფაქტი, რომ იური რუსს სამხედრო-პოლიტიკური მხარდაჭერა აღუთქვეს და მის მხარეზე გადავიდნენ სამეფო კარის დიდმოხელენი და ძლიერი ფეოდალები, თამარ მეფისთვის სრული მოულოდნელობა იყო. ისტორიკოსის თქმით, „თამარ, ქალაქსა მყოფი, უსახურისა და უზრავისა საქმისა განკვირვებული“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, ტ.2., გვ. 50) ყოფილა. ვინ დაუჭირა მხარი მაშინ სახელმწიფო გადატრიალებას? ამ პირთა ჩამოთვლაც კი საკმარისია იმის დასტურად, რომ იმ დროისათვის თამარ მეფის ხელისუფლება ძალზე სუსტი იყო. ამბოხებას მხარი დაუჭირეს: ვარდან დადიანმა, მსახურთუხუცესმა და ორბეთ-კაენის პატრონმა; გუზან ტაოელმა, პატრონმა კლარჯეთისა და შავშეთისა; ბოცომ, სამცხის სპასალარმა; ივანე-ყვარყვარე ციხისჯვარელმა და სხვებმა.

საყურადღებო ფაქტია, რომ გუზანი და ბოცო რიგითი დიდებულები არ იყვნენ, ისინი საქართველოს მთელ სამხრეთ საზღვრებს აკონტროლებდნენ. მათ ევალებოდათ „მონაპირეობა“, თავიანთი სადაზვერვო დანაყოფებით პირველებს უნდა შეეტყოთ მტრის მოახლოება და თავისი ჯარებით შეტევაც პირველებს მოეგერიებინათ. 1185-1191 წლებში ისინი არაერთხელ შებრძოლებიან მტერს და უკუუგდიათ იგი. აი, ასეთმა გამოცდილმა ფეოდალებმა უღალატეს რატომღაც მეფეს.

ვარდან დადიანმა ისე გადაიბირა მთელი დასავლეთ საქართველო („ყოველი სვანეთი და აფხაზეთი, საეგრიო, გურია, სამოქალაქო, რაჭა, თაკუერი და არგუეთი“) და აფიცა „რუსის გამეფებაზე“, რომ თამარ მეფის მსტოვრებს მცირედი ინფორმაციაც კი არ გააჩნდათ. ეს მით უფრო გასაკვირია, რადგან მოღალატე მსახურთუხუცესს, თუნდაც ტერიტორიული ფაქტორის გამო, სულ მცირე, რამდენიმე თვე მაინც დასჭირდებოდა შეთქმულებთან შესახვედრად და მათ დასაყოლიებლად.

სახელმწიფო გადატრიალება თვეების მანძილზე იგეგმებოდა და მეფის ერთგულმა მსტოვრებმა ამის შესახებ მხოლოდ შეთქმულთა თავდასხმის შემდეგ შეიტყვეს. უნდა აღინიშნოს, რომ იური რუსის პირველმა ამბოხებამ დიდი როლი შეასრულა მეფის ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებაში. ამ პერიოდში შეიმჩნევა მეფის ერთგულ მსტოვართა ქსელის გამოცოცხლება, რამაც განაპირობა კიდეც აჯანყებულთა დამარცხება.

ვარდან დადიანის მეთაურობით აჯანყებულების ლაშქარი სამხრეთიდან — ჯავახეთის, თმოგვის, ახალქალაქისა და თრიალეთის მხრიდან გეგმავდა მეფის ჯარზე თავდასხმას. ეს გეგმა მეფის ერთგული და, როგორც ჩანს, მსტოვრების ერთ-ერთი გამოცდილი ხელმძღვანელის, ზაქარია ვარამის ძის („იგი კაცი ერთგული იყო და ჭაბუკი გამოცდილი“, ქართლის ცხოვრება, ტ.2. გვ. 51) აეშაგებმა შეიტყვეს და თამარს აცნობეს. ამირსპასალარმა გამრეკელმა და მხარგრძელებმა დაასწრეს მოწინააღმდეგეს და ჯავახეთშივე დაუხვდნენ წინ. ამბოხებულები აშკარად მოუმზადებელნი აღმოჩნდნენ. მებრძოლი მხარეები ღამემ გაყარა, მათ მხოლოდ მტკვარი აშორიშორებდა. ამბოხებულები სათათბიროდ შეიკრიბნენ, ჯარის სიმცირის გამო უკან დახევა და ციხესიმაგრეებში გამაგრება გადაწყვიტეს. აქ კიდევ ერთხელ ისახელეს თავი თამარის ერთგულმა მსტოვრებმა და ვარდან დადიანის გეგმა მეფის მხედართმთავრებს სასწრაფოდ ამცნეს. უკან დახეულ აჯანყებულებს მეფის ჯარი დაედევნა და ერთიანად გაანადგურა.

ამ ბრძოლებში მონაწილეობდა გიორგი III-ს „გაზრდილი“ და დაწინაურებელი დიდგვაროვანი ჭიაბერი, რომელსაც თამარის მამამ ორბელთა აჯანყების ჩახშობის შემდეგ, ჯერ კიდევ 1177 წელს, მეჯინიბეთუხუცესობა უბოძა. თამარის გამეფების შემდეგ სამეფო კარზე კიდევ უფრო დაწინაურდა და სახელმწიფოში ჯარის შემდეგ მნიშვნელობით მეორე, არსებითად ასევე სამხედრო — მანდატურთუხუცესის სახელო უბოძეს. ჭიაბერი 1184-1205\6 წლებამდე, ოც წელზე მეტხანს იყო ამ პოსტზე. ისტორიული წყაროების სიმწირე საშუალებას არ გვაძლევს სრულად წარმოვაჩინოთ ამ პერიოდში მსტოვართა ერთიანი ქსელის საქმიანობის დეტალები. თუმცა ერთი კი ცხადია, — 1184-1191 წლებში მანდატურთუხუცესმა ჭიაბერმა, რომელსაც ევალებოდა მსტოვართა ქსელის ხელმძღვანელობა, ვერ შეძლო თამარ მეფის მთავარი პოლიტიკური

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწინააღმდეგის, იური რუსის საქართველოში ჩამოყვანის ერთ-ერთი ინიციატორის, მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის, მიქაელ მირიანის ძის დაჯგუფებასთან დაპირისპირებაში გამარჯვება. ეს მოწმობს, რომ ამ დროისთვის მსტოვართა ქსელი საკმაოდ უნიათო ყოფილა. სამაგიეროდ, ცენტრალური ხელისუფლების მოწინააღმდეგე დიდგვაროვანი აზნაურები აძლიერებდნენ ჯაშუშთა ქსელს. საფიქრებელია, რომ მანდატურთუხუცესის უფლებები მნიშვნელოვნად იყო შეკვეცილი პირველი ვაზირის მიქაელის მიერ. ფაქტობრივად, მხოლოდ ამ ბოროტი გენიის გარდაცვალების შემდეგ, რაც 1191 წლისთვის უნდა მომხდარიყო, დაიწყო ჭიაბერის ხელმძღვანელობით მსტოვართა ერთიანი ქსელის ორგანიზება საქართველოში. ეს პროცესი თამარ მეფის ერთმმართველობის განმტკიცების მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო.

ბასილი ეზოსმოძღვარის თქმით, „დღითი-დღე წარემატებოდეს საქმენი თამარისანი უმჯობესად და უკეთესად ბრძნად და მართლად განგებისათვის“ (ქართლის ცხოვრება, ტ. 2. გვ. 123).

1191 წელს, როცა ქართლში გადმოსულმა მეამბოხეების მეორე ნაწილმა, სახელმწიფო გადატრიალების ერთ-ერთი ხელმძღვანელის, ვარდან დადიანის ლაშქრის დამარცხება შეიტყვეს, უბრძოლველად გაიქცნენ. მოღალატეთა ე.წ. ჯავახეთის ჯგუფმა კი თამარ მეფეს პატიება სთხოვა. თამარის პირველი ისტორიკოსი ამ ფაქტს ასე აღწერს: „ლიხთ-იმერთა დიდებულთა, შემნანებელთა შეცოდებისათა და მოაჯეთა შენდობისათა, ითხოვეს ცხოველნი ხატნი და თვით დედოფალი რუსუდან მათ წინაშე საყოფლად, კათალიკოსი, მანდატურთუხუცესი და სხუანი ეპისკოპოსნი“... (ქართლის ცხოვრება, ტ. 2. გვ. 54). ღალატის მომნანიებელთა მიერ საშუამავლოდ მანდატურთუხუცესი ჭიაბერის და არა დარბაზის რიგის სხვა მოხელის (თუნდაც ამირსპასალარის) დასახელება, ამ სახელის ავტორიტეტის აშკარა გაძლიერებად უნდა მივიჩნიოთ. ამ ვერსიას ამტკიცებს თუნდაც ის ფაქტი, რომ 1193 წელს, როდესაც იური ბოგოლიუბსკიმ მეორედ მოინდომა სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა, მისი დახმარება ვერც ერთმა ქართველმა დიდებულმა ვერ გაბედა, რადგანაც დაუსჯელობის სინდრომი მათში უკვე აღარ მოქმედებდა. ჩვენი აზრით, ეს ფაქტი მსტოვართა ინსტიტუტის თანდათანობით გაძლიერებაზე კიდევ ერთხელ მეტყველებს.

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

# ირანის სპეცსამსახ

*(დასასრული)*

## ირანის სპეცსამსახურების ხელმძღვანელები

ათწლეულების მანძილზე „სავაკი“ ირანის უპირველესი სპეცსამსახური იყო. „არსენალის წინა ნომერში „სავაკის“ შექმნის მოკლე ისტორია გაგაცანით. ამჯერად კი წარმოგიდგენთ ირანის სპეცსამსახურების („სავაკისა“ და ინფორმაციის სამინისტროს) ხელმძღვანელთა გვარებსა და ამ პოსტზე მუშაობის წლებს:

1. თეიმურ ბახტიარი (1958-1961 წ.წ.), გენერალი, ირანის შაჰ მოჰამედ რეზა ფეჰლევის ბრძანებით 1970 წლის 12 აგვისტოს მოკლეს ერაყში;
2. ჰასან ფაქრავანი (1961-1965 წ.წ.), გენერალი, 1979 წლის ისლამური რევოლუციის შემდეგ ახალმა ხელისუფლებამ ჯერ დააპატიმრა, ხოლო შემდეგ რევოლუციური ტრიბუნალის გადაწყვეტილებით იმავე წელს დახვრიტეს;
3. ნემათოლა ნასირი (1965-1978 წლის ნოემბერი), გენერალი, ირანის შაჰის პირადი მეგობარი. ყველაზე დიდხანს ხელმძღვანელობდა „სავაკს“. 1978 წლის ნოემბერში დააპატიმრეს შაჰის ბრძანებით. ახალი ხელისუფლების რევოლუციური ტრიბუნალის გადაწყვეტილებით დახვრიტეს 1979 წელს;
4. ნასერ მოჰადამი (1978 წლის ნოემბერი – 1979 წლის თებერვალი), გენერალი, „სავაკის“ უკანასკნელი შეფი. რევოლუციური ტრიბუნალის გადაწყვეტილებით დახვრიტეს 1979 წელს;
5. ჰოსეინ ფარდუსტი (1979-1984 წ.წ.). გენერალი, ირანის ისლამური რესპუბლიკის ახალი სპეცსამსახურის ინფორმაციისა და ეროვნული უშიშროების სამინისტროს პირველი ხელმძღვანელი. 1984 წელს საბჭოთა კა-გე-ბესთან თანამშრომლობის ბრალდების გამო პოსტიდან გაათავისუფლეს და დააპატიმრეს;
6. მოჰამედ რეიშაჰრი (1984-1989 წ.წ.), მისი ხელმძღვანელობის წლებში საბოლოოდ ჩამოყალიბდა ინფორმაციის სამინისტროს ორგანიზაციული სტრუქტურა და გამოიკვეთა ძირითადი ფუნქციები;
7. ალი ფალაჰიანი (1989-1997 წ.წ.);
8. დორი ნაჯაფაბადი (1997-1998 წ.წ.);
9. ალი იუნესი (1998-2006 წ.წ.);
10. ჰოლიამ-ჰოსეინ მოჰსენი-ეჯეი (2006 წლიდან დღემდე).

## ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსი

შეიქმნა 1979 წლის მაისში, ირანის ისლამური რესპუბლიკის სულიერი ლიდერის აიათოლა ჰომეინის გადაწყვეტილებით. ფაქტობრივად, ეს ორგანიზაცია ირანის ერთ-ერთი უძლიერესი სამხედრო შენაერთია, რომელსაც ძლიერი დაზვერვისა და კონტრდაზვერვის დანაყოფებიც აქვს. მის შემადგენლობაშია:

ა. სახმელეთო ჯარები 400000 მეომრის შემადგენლობით;

ბ. სამხედრო-საზღვაო ძალები 20000 მეომარი;

გ. სამხედრო-საჰაერო ძალები 20000 მეომარი.

ამასთან, ამ ორგანიზაციაში მოქმედებს საგარეო დაზვერვისა და საგარეო სპეცოპერაციების დანაყოფები – ე.წ. კომიტეტები. ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის ამ დანაყოფებს ძლიერი აგენტურული ქსელი აქვთ ლიბანში, ერაყში, სუდანში, პალესტინაში, პაკისტანში, ავღანეთში, სპარსეთის ყურეს ქვეყნებში. განსაკუთრებით გამორჩეულია 125000 გუშაგისგან შემდგარი სწრაფი რეაგირების ელიტური კორპუსი, რომელსაც დიდი გავლენა აქვს ირანის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებაზე.

უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ნავთობისა და ბუნებრივი აირის მსოფლიო ფასების ზრდის შედეგად ირანის სახელმწიფო ბიუჯეტში შესულმა უზარმაზარმა ფინანსურმა რესურსმა საშუალება მისცა ამ ორგანიზაციას მნიშვნელოვნად გაეფართოებინა სადაზვერვო ოპერაციების არეალი. ამჟამად მისი აგენტურა აქტიურად მოქმედებს არა მარტო დასავლეთ ევროპაში (უმთავრესად გერმანიაში, საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთში), არამედ აზიისა და ამერიკის მრავალ ქვეყანაში. გუშაგები მედგრად იბრძოდნენ ერაყ-ირანის ომში, ბოლო წლებში კი „თავი გამოიჩინეს“ „ჰესბოლაჰთან“ კავშირითა და 2007 წელს სპარსეთის ყურეში 15 ბრიტანელი მეზღვაურის დაკავებით, რომლებიც ირანის ხელისუფლებამ ჯერ შპიონაჟში დაადანაშაულა, ხოლო შემდეგ კი გაათავისუფლა. ამ ორგანიზაციის გაძლიერება უყურადღებოდ არ დარჩენია ვაშინგტონს. აშშ-ის სპეცსამსახურების მტკიცებით, ერაყში დაძაბულობის ესკალაციას სწორედ გუშაგები უწყობენ ხელს და მათი შვილობილი ფარული სტრუქტურა ე.წ.



„დანაყოფი 9000“ ერაყელი შიიტი ბოევიკების სპონსორია. ამიტომ 2007 წლის აგვისტოს ბოლოს აშშ-ის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა გუშაგები ტერორისტულ ორგანიზაციებთან გაეთანაბრებინა, რაც მძიმე პოლიტიკური და ფინანსური დარტყმა იქნება მათთვის. ამასთან, აშშ-ის, ზოგიერთი სხვა ქვეყნისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ირანისთვის დაწესებული ეკონომიკური და პოლიტიკური სანქციები უპირველესად ამ ქვეყნის შეიარაღებული ძალებისა და სპეცსამსახურების დასუსტებისკენ არის მიმართული.

## რატომ დაუტკბა რუსეთის კონტრდაზვერვა ირანის სპეცსამსახურებს

1992 – 1998 წლის ბოლომდე რუსეთის ფე-ეს-ბე საკმაოდ აქტიურ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებს ატარებდა ირანის დაზვერვის წინააღმდეგ. 1997 წლის ნოემბერში მათ დააკავეს მოსკოვში ირანის საელჩოს თანამშრომელი რეზა თეიმური, რომელიც რუსეთის მოქალაქისგან სარაკეტო ძრავების ტექნიკურ დოკუმენტაციას ყიდულობდა. იმავე წლის ივნისში რუსეთიდან გააძევეს ირანის სამხედრო დელეგაციის წევრი აზიზ მასუდი, რომელიც რუსეთის მოქალაქისგან სამხედრო ავიაციის თანამედროვე ტექნიკური დოკუმენტაციის მიღებას ცდილობდა.

რამდენიმე თვის შემდეგ ირანულმა სამრეწველო ჯგუფმა (რეალურად კი ირანის დაზვერვის რეზიდენტურამ) „სანამ“ რუსეთის ერთ-ერთ საწარმოში სარაკეტო ძრავების სხვადასხვა კომპონენტის დამზადება აირგადამქაჩი მოწყობილობის დამზადების ხელშეკრულებით შენიღბა. გარდა ამისა, ამ კომპანიის წარმომადგენლები ცდილობდნენ მიეღოთ ინფორმაცია უახლეს სარაკეტო-კოსმოსურ, საავიაციო, ბირთვულ და ლაზერულ ტექნოლოგიებზე, რისთვისაც ფულს არ იშურებდნენ. მათ ძალზე „მეგობრული“ კონტაქტები დაამყარეს რუსეთის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ელიტასთან. ირანის დაზვერვას შორს მიმავალი გეგმები ჰქონდა – სანქტ-პეტერბურგში არსებულ ბალტიის სახელმწიფო ტექნიკურ უნივერსიტეტში მათ „სტუდენტთა“ დიდი დესანტი მიავლინეს. 1998 წლის იანვარში „სანამს“ რუსეთის ტერიტორიაზე საქმიანობა აეკრძალა. ირანის სპეცსამსახურებმა შეძლეს რუსეთის ერთ-ერთ წამყვან ტექნიკურ უმაღლეს სასწავლებელში (ჩვენი ინფორმაციით, მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტში) დიდი ანაზღაურების სანაცვლოდ სპეციალისტთა ჯგუფის გადაბირება. მიზანი უახლესი სარაკეტო ტექნოლოგიების დამუშავება და ირანისთვის გადაცემა იყო.

იმავე წელს ირანის მოქალაქემ ალი მაზიდი მუჰამედმა მოსკოვში დროებით მცხოვრები სამი ტაჯიკის დახმარებით ლეგირებული ფოლადის დიდი პარტია შეიძინა ირანში ფარულად გადატანის მიზნით. სტრატეგიული ტვირთი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე დააკავეს. საინტერესოა, რომ რუსეთის კონტრდაზვერვის განსაკუთრებული აქტიურობა ირანის სპეცსამსახურების წინააღმდეგ 1995-1998 წლებზე მოდის, როდესაც ამ სპეცსამსახურს სტეპაშინი და შემდეგ კოვალიოვი ხელმძღვანელობდნენ.

1998 წლის მეორე ნახევარში ფე-ეს-ბეს დირექტორად პუტინი დაინიშნა. ამ დროიდან კარდინალურად შეიცვალა ფე-ეს-ბეს საქმიანობის პრიორიტეტები, – მთავარი ძალა NATO-ს წევრი ქვეყნის – თურქეთისა და ასევე, საქართველოს წინააღმდეგ იქნა მიმართული. რუსეთის სპეცსამსახურებმა აშკარად შეარბილეს კონტრდაზვერვითი საქმიანობა ირანის დაზვერვის მიმართ, სამაგიეროდ, რამდენჯერმე მოიმატა თურქი მზვერავების და „ტერორისტების“ გამოვლენის ფაქტებმა.

პუტინის პრეზიდენტად გახდომისთანავე, ირანის ბირთვული პროგრამა რუსეთ-ამერიკის პოლიტიკური ვაჭრობის ძირითადი კომპონენტი და ამერიკის შანტაჟირების იარაღი გახდა. რუსეთი ოფიციალურად ეთანხმება ბირთვული იარაღის წარმოების აკრძალვის თაობაზე გაეროს დადგენილებებს, კვერს უკრავს ამერიკას ირანის ბირთვული პოტენციალის გაფართოების საშიშროების შესახებ, სინამდვილეში კი თავად აქეზებს (პოლიტიკური მხარდაჭერითა და ტექნიკური დახმარებით) ირანის ზღვარგასულ ჯიუტობას. რუსეთი ირანის წინააღმდეგ პოლიტიკურ-ეკონომიკური სანქციების შემოღებისა და სამხედრო ოპერაციის კატეგორიული წინააღმდეგია, რადგანაც დღევანდელ გაყინულ კონფლიქტს და საერთაშორისო დაძაბულობას პოლიტიკურ დივიდენდებთან ერთად მოსკოვისთვის უდიდესი ფინანსური მოგებაც მოაქვს – ნავთობსა და ბუნებრივ აირზე მსოფლიო ფასების რეკორდული ზრდის გამო.

## ირანის სპეცრაზმები

სპეციალური დანიშნულების ძალები „კუატა ალ-კუდსი“ – ელიტურ ქვედანაყოფი, შექმნილია 1991 წელს საზღვარგარეთ სპეცოპერაციების ჩატარების მიზნით. მის შემადგენლობაში შედის 15000 მეომარი. ზოგიერთი საინფორმაციო სააგენტოს ცნობით, ის კოორდინაციას უწევს ისლამისტურ და მემარცხენე-რადიკალური ექსტრემისტული ორგანიზაციების საქმიანობას. აქტიურად მონაწილეობს დივერსიული ოპერაციების მომზადებასა და ჩატარებაში ირანის მთავარი მოწინააღმდეგეების (ისრაელი, აშშ, წარსულში ერაყი) ცოცხალი ძალისა და სახელმწიფო დაწესებულებების წინააღმდეგ. ასევე ახორციელებს ირანის ხელისუფლების ოპოზიციის აქტივისტების ლიკვიდაციას საზღვარგარეთ. დასავლეთის სპეცსამსახურების მონაცემებით, 1979-1996 წ.წ. „კუატა ალ-კუდსის“ თანამშრომლებმა საზღვარგარეთ მოკლეს აიათოლას რეჟიმის 70-ზე მეტი მოწინააღმდეგე. ამ აქციებიდან ყველაზე ცნობილი ოპერაციები ირანის ყოფილი პრემიერ-მინისტრ შაპურა ბახტიარის 1991 წლის აგვისტოს პარიზში და ირანის ქურთისტანის დემოკრატიული პარტიის ლიდერის სადეჰ ალ შარაფა-კინდის 1992 წლის სექტემბერში მიუნხენში ლიკვიდაცია იყო.

„კუატა ალ-კუდსში“ მოქმედებს ასევე



თეიმურ ბახტიარი (ზის)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე.წ. სპარსეთის ყურის განყოფილება, რომელიც პასუხისმგებელია დივერსიული ოპერაციების ჩატარებაზე ამ რეგიონში. გარდა ამისა, „კუატა ალ-კუდსის“ ფარული მობილური დანაყოფები იმყოფებიან ერაყში, ლიბანში, სუდანში, გერმანიაში, საფრანგეთსა და კანადაში. დიდი ბრიტანეთის საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, 2007 წლის ივნის-ოქტომბერში ექვსი შეიარაღებული შეტაკება მოხდა „ალ-კუდსის“ მებრძოლებსა და ბრიტანეთის სპეცრაზმებს (SAS) შორის. ბრძოლის პერიმეტრი ირან-ერაყის საზღვარს მოიცავდა. ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციით, ამ შეტაკებების დროს მოკლეს 17 ირანელი სპეცრაზმელი, რომლებიც იარაღისა და ასაფეთქებელი მასალის შეტანას ცდილობდნენ ერაყში.

## ტერორისტები თუ ოპოზიცია

ირანის ატომური ამბიციისა და ამ ქვეყნის ბირთვული პროექტის შესახებ პირველი სარწმუნო ინფორმაცია 2002 წელს ორგანიზაცია „მუჯაჰედინ ჰალკმა“ (ხალხის მოჯაჰედები) გაავრცელა. ეს ორგანიზაცია გასული საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს შეიქმნა ისლამური ფუნდამენტალიზმისა და მემარცხენე იდეოლოგიის ბაზაზე. იბრძოდა ირანის შაჰის რეჟიმის წინააღმდეგ და აქტიურად მონაწილეობდა 1979 წლის რევოლუციაში. შემდეგ გადავიდა ოპოზიციაში და ერაყში სადამ ჰუსეინს შეაფარა თავი. სხვადასხვა წყაროს ინფორმაციით, სადამი ამ ორგანიზაციას იყენებდა ირანში ტერაქტების მოსაწყობად. ეს ორგანიზაცია ირანის ამჟამინდელი ხელისუფლების ოპოზიციონერობას იჩემებს, თუმც ის აშშ-ისა და ევროკავშირის მიერ ტერორისტულ ორგანიზაციად არის გამოცხადებული. 2007 წლის იანვარში ირანის სპეცსამსახურებმა (ირანის ინფორმაციის სამინისტრომ და პარლამენტის (მეჯლისის) უშიშროების სამსახურმა) დააპატიმრეს ირანის პარლამენტის ანალიტიკური ცენტრის ერთ-ერთი ექსპერტი, რომელსაც ბრალად წაუყენეს ჯაშუშობა და ირანის ბირთვული პროგრამის შესახებ საიდუმლო ინფორმაციის „მუჯაჰედინ ჰალკისთვის“ გადაცემა. გაირკვა, რომ ის ხუთ წელზე მეტხანს მუშაობდა ირანის პარლამენტში. ძნელი სათქმელია რამდენად მიუწვდებოდა მას ხელი ატომურ საიდუმლოებებამდე, თუმცა ირანის სპეცსამსახურების ხელმძღვანელობა (უპირველესად კი ინფორმაციის მინისტრი ჰოლიამ-ჰოსეინ მოჰსენი-ეჯეი) დარწმუნებულია მის ბრალეულობაში.

## საიდუმლო შეხვედრა ვენაში

2000 წლის თებერვალში ვენაში მაგატეს შტაბბინაში შემდგარი შეხვედრა დღესაც იდუმალებითაა მოცული. აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს აგენტი, რუსი ფიზიკოსი, ირანელ კოლეგებს შეხვდა. ამერიკელების მიზანი იყო ირანის ბირთვული კვლევების მცდარ თეორიულ გზაზე დაყენება და პროგრამის ჩიხში შეყვანა.

აგენტის ვინაობა დღემდე უცნობია. დადგენილია მხოლოდ ის, რომ საბჭოთა კავშირის დაშლამდე მუშაობდა ატომური კვლევების საიდუმლო ცენტრ „არზამას-16“-ში, შემდეგ გაიქცა აშშ-ში, სადაც თავისი სპეციალობით მუშაობდა. ანაზღაურებაც საკმაოდ კარგი ჰქონდა – 5.000 დოლარი ყოველთვიურად. ამერიკის დაზვერვამ მეტად რთული ოპერაცია (კოდური სახელწოდებით „მერილინ“) ჩაიფიქრა. მათი ვარაუდით, რუსი ფიზიკოსი, როგორც გამოცდილი სპეციალისტი, დააინტერესებდა ირანის სპეცსამსახურებს და ისინი მის გადაბირებას შეეცდებოდნენ. რუსი სპეციალისტი მცირე ყოყმანის შემდეგ უნდა დათანხმებულიყო და სამეცნიერო კვლევების მცდარი გზა უნდა შეეთავაზებინა ირანელი ფიზიკოსებისთვის. ამერიკელთა გათვლებით, ისინი მხოლოდ კვლევის დასასრულს მიხვდებოდნენ თეორიულ შეცდომას, მაგრამ ორი წელი უკვე დაკარგული ექნებოდათ. აბა რა იცოდნენ, რომ რუსმა ფიზიკოსმა წინასწარ გააფრთხილა ირანელები. ბირთვული კვლევის ზოგიერთი ექსპერტის აზრით, ირანელებისთვის გადაცემულმა დოკუმენტაციამ და გაფრთხილებამ საპირისპირო შედეგი გამოიღო – კიდევ უფრო დააჩქარა ბირთვული იარაღის შექმნის პროცესი. არ არის გამორიცხული, „რუსი ფიზიკოსი“ რუსეთის დაზვერვის მიერ 90-იანი წლების დასაწყისში აშშ-ში ფარულად შეგზავნილი აგენტი იყო და ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ოპერაცია მარცხისთვის იმთავითვე იყო განწირული. ასეთი პრეცედენტები ცნობილია. მაგალითად, 2004 წელს ირანის დაზვერვის მიერ აშშ-ის სპეცსამსახურებში ჩანერგილმა აგენტმა ხელში ჩაიგდო ირანში ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს აგენტების მონაცემები და საკმაოდ იოლად გაანეიტრალა ეს ქსელი. ამის შემდეგ, როგორც ამტკიცებენ, ამერიკელებს ირანში რამდენადმე სერიოზული აგენტი აღარ დარჩათ და მხოლოდ სხვა ქვეყნების სპეცსამსახურების იმედზეღა არიან. შესაძლოა, ეს ინფორმაციაც თვით ამერიკელების მიერ გავრცელებულია, რათა მოადუნონ ირანის კონტრდაზვერვის ყურადღება.

## რატომ უფრთხის ირანის ხელისუფლება ციყვებსა და იტალიურ ტანსაცმელს

ამჟამად ირანის მმართველი სულიერი ლიდერი ალი ჰამენეია, რომელიც ირანის ექსპერტთა ასამბლეის თავმჯდომარეა სიცოცხლის ბოლომდე. ფაქტობრივად, ეს ორგანო მართავს ირანს, – აკონტროლებს არმიას, ნიშნავს სასამართლოებისა და სახელმწიფო საინფორმაციო საშუალებების ხელმძღვანელებს და ა.შ. გარდა ამისა, ასამბლეა ირანის უმთავრესი სახელმწიფო ორგანოს – უშიშროების საბჭოს 12 წევრიდან ექვსს ნიშნავს. უშიშროების საბჭოს დანარჩენი 6 წევრის კანდიდატურას წამოაყენებს პარლამენტი, ირანის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით, რომელსაც თავის მხრივ, ასევე ექსპერტთა ასამბლეა ნიშნავს. ასე რომ, ყველა გზა ასამბლეისკენ მიდის. უშიშროების საბჭოს უფლება აქვს გააუქმოს მთავრობისა და პარლამენტის ნებისმიერი დადგენილება, თუ ისინი (მისი შეხედულებით) ეწინააღმდეგება შარიათს. აქედან გამომდინარე, ირანის საგარეო და საშინაო პოლიტიკის ფორმირება მისი სულიერი ლიდერების ხელმძღვანელობით ხდება.

2007 წლის თებერვალში ირანის ინფორმაციის მინისტრმა ჰოლამ-ჰუსეინ მოჰსენეიმ განაცხადა, რომ მის სამსახურს კონტროლზე ჰყავს აყვანილი ას კაცზე მეტი, რომლებიც ირანის საზღვრისპირა რაიონების შესახებ აშშ-სა და ისრაელს გადასცემენ სადაზვერვო ინფორმაციას.

2007 წლის ივლისში ირანის პოლიციის უფროსმა ისმაილ აჰმადი-მუქდამმა სენსაციური და კურიოზული განცხადება გააკეთა. მისი ინფორმაციით, ირანის პოლიციამ ერაყის საზღვართან ახლოს დააკავა... 14 ჯაშუში-ციყვი, რომლებიც თურმე აღჭურვილი იყვნენ უახლესი მოსასმენი აპარატურით. ცხოველების გამოყენება შპიონაჟის მიზნით მანამდეც ცნობილი იყო. მეორე მსოფლიო ომის დროს ინფორმაციის გადასაცემად საფოსტო მტრედებს იყენებდნენ. 1991 წლის დასაწყისში, ერაყ-ქუვეითის ომის დროს, აშშ-ის ჯარები ატმოსფეროს ქიმიური იარაღით მოწამვლის დასადგენად წიწილებს იყენებდნენ, ხოლო ტერიტორიის დასაზვერავად გაწვრთნილ უდაბნოს თაგვებს. ხშირია დელფინებისა და სელაპების გამოყენება წყალქვეშა ნაღმების აღმოსაჩენად. ციყვების გამოყენება ამ მიზნით კი პირველი შემთხვევაა.

ძნელი სათქმელია, რა სადაზვერვო, მით უფრო ფარული მიყურადების, დავალება უნდა შეასრულოს ციყვმა, რომელიც ადამიანის ან სხვა საფრთხის შემჩნევისთანავე ხეზე არბის? ამის შემდეგ ირანის სპეცსამსახურების ფანტაზია კიდევ უფრო შორს წავიდა, – 2007 წლის ოქტომბრის ბოლოს მათ ტანსაცმლის მწარმოებელი იტალიური კომპანია „იუნაიტედ ქოლორს ოფ ბენეტონი“ შპიონაჟში დაადანაშაულეს. ირანელების მტკიცებით, ამ ფირმის მიერ ირანში ექსპორტირებულ შარვლებს, მაისურებსა და სვიტერებს მიმაგრებული აქვს სპეციალური ჩიპი, რომელიც რადიოტალღების საშუალებით გადასცემს სადაზვერვო ინფორმაციას ირანში და მის ფარგლებს გარეთ (სავარაუდოდ, ერაყში) მდებარე მოსასმენ პუნქტებს. ამ დროს თურმე გამოყენებული ყოფილა ერ-ეფ-აი-დი (RFID-Raidio

Frequensy Identification), ანუ რადიოსიხშირის გამომცნობი ტექნოლოგია. ამგვარი ტექნოლოგია მართლაც არსებობს, მას დიდი მაღაზიები და ბუტიკები იყენებენ. გარდა ამისა, ამ ტექნოლოგიით დამზადებული ჩიპები გამოიყენება მოქალაქეების პასპორტებში, ბიბლიოთეკის საშვებში, სამგზავრო ტალონებში და ა.შ. ირანის პარლამენტის ზოგიერთი ფანატიკოსი დეპუტატი უფრო შორს წავიდა და ტანსაცმლის მწარმოებელი დასავლური ფირმა კულტურულ ექსპანსიაში დაადანაშაულა და მათი ქვეყნიდან გაძევება მოითხოვა.

## ირანელი ფიზიკოსი „მოსადს" ემსხვერპლა

2007 წლის 15 იანვარს 44 წლის ასაკში გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა ირანელი ფიზიკოსი არდეშირ ჰასანპური. მისი სიკვდილის შესახებ ინფორმაცია მსოფლიო მასმედიამ 21 იანვარს გაავრცელა. ამის შემდეგ ირანის სახელმწიფო ტელევიზიამაც დაადასტურა ფიზიკოსის გარდაცვალება და მიზეზად აირით მოწამვლა დაასახელა.

ჰასანპური ირანის ატომური ბომბის ერთ-ერთ ავტორად ითვლებოდა. 2003 წელს ის „ისლამური რესპუბლიკის საუკეთესო სამხედრო მეცნიერად" დაასახელეს. 2005 წლიდან კი ელექტრომაგნიტური ტექნოლოგიების სამეცნიერო-კვლევით ცენტრს ხელმძღვანელობდა, ერთი წლის შემდეგ კი ჰასანპურს ირანის ყველაზე პრესტიჟული ჯილდო — ხარაზმის პრემია მიენიჭა. მისმა სიკვდილმა კიდევ უფრო დაძაბა ირანის ბირთვული პროგრამის (საიდანაც უკვე ერთი ნაბიჯია ატომური იარაღის წარმოებამდე) ირგვლივ ატეხილი მრავალწლიანი სკანდალი. საინტერესო ფაქტია, რომ არდეშირ ჰასანპურს მჭიდრო კავშირი ჰქონდა რუს ფიზიკოსებთან და რუსეთის ატომურ კვლევით ცენტრებშიც მრავალჯერ იქნა მივლინებული.

## ირანის სპეცსამსახურები ფერადი რევოლუციების წინააღმდეგ

ირანის ატომური პროექტის ირგვლივ შექმნილი საერთაშორისო დაძაბულობის გამო ამ ქვეყნის სპეცსამსახურები განსაკუთრებით ეჭვიანი გახდნენ. ბოლო დროს გახშირდა ირანელი პოლიტიკოსების, მეცნიერების თუ ბიზნესმენების შპიონაჟში დადანაშაულება და მათი დაპატიმრება.

ირანის სპეცსამსახურებმა 2007 წლის გაზაფხულზე შპიონაჟის ბრალდებით დააკავეს ირანული წარმოშობის რამდენიმე აშშ-ის მოქალაქე. ესენი იყვნენ: ჰალე ესფანდიარი — ვაშინგტონში, ვუდრო ვილსონის სახელობის საერთაშორისო კვლევების ცენტრში წამყვანი თანამშრომელი; კალიფორნიელი ბიზნესმენი ალი შაქერი; აგრეთვე კიან ტაჯბაქში და ფარნაზ აზიმა. მალევე ირანის ტელევიზიამ აჩვენა ფილმი „დემოკრატიის სახელით", რომელიც ძალზე წააგავდა საბჭოთა კა-გე-ბეს მიერ მომზადებულ პროპაგანდისტულ გადაცემას. ამ ვიდეომასალაში ტაჯბაქშმა და ესფანდიარმა აღიარეს ირანში არსებული რეჟიმის წინააღმდეგ თავიანთი საქმიანობა. ფილმში განსაკუთრებით ხაზგასმული იყო აშშ-ის სპეცსამსახურებისა და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების „ძირგამომთხრელი საქმიანობა" მთელ მსოფლიოში. განსაკუთრებული აქცენტი საქართველოში, ყირგიზეთსა და უკრაინაში მომხდარ „ფერად" რევოლუციებზე გაკეთდა. დაპატიმრებული ამერიკელები ჰყვებოდნენ, რომ ამერიკული პოლიტიკური ინსტიტუტების ხელმძღვანელობით უნდა შეექმნათ ე.წ. მეხუთე კოლონა ირანში ხავერდოვანი რევოლუციის მოწყობის მიზნით. ისინი არჩევდნენ ხალხს როგორც ირანში, ისე მის საზღვრებგარეთ მყოფ ირანელებს შორისაც (საზღვარგარეთ შვებულებით ან მეცნიერულ კონფერენციებსა და სემინარებში მონაწილეობის მიღების მიზნით წასულებს).

2007 წლის სექტემბრის ბოლოს ირანის სპეცსამსახურებმა 1 მლრდ რიალის (დაახლოებით 105 ათასი დოლარი) გირაოს გადახდის შემდეგ გაათავისუფლეს კალიფორნიელი ბიზნესმენი, წარმოშობით ირანელი ალი შაქერი, რომელიც შპიონაჟის ბრალდებით მაისში დააკავეს. მასთან ერთად დაკავებული აშშ-ის მოქალაქეები, — კიან ტაჯბაქში, ჰალე ესფანდიარი და ფარნაზ აზიმაც ასევე გირაოს გადახდის შემდეგ, ქვეყნიდან გაუსვლელობის ხელწერილით გაათავისუფლეს.

2007 წლის მაისში ქვეყნის სპეცსამსახურებმა შპიონაჟის ბრალდებით დააკავეს ცნობილი ირანელი დიპლომატი, ყოფილი ირანის ელჩი გერმანიაში ჰოსეინ მუსავიანი. ის 2005 წლამდე ხელმძღვანელობდა ირანის ეროვნული უშიშროების უმაღლესი საბჭოს საგარეო პოლიტიკის კომიტეტს და აქტიურად მონაწილეობდა ირანის ატომური პრობლემის შესახებ გამართულ ევროკავშირი-ირანის მოლაპარაკებებში. ირანის ინფორმაციის მინისტრის (ფაქტობრივად კი ამ ქვეყნის სპეცსამსახურების ხელმძღვანელის) მტკიცებით, მუსავიანი სისტემატურად გადასცემდა ირანის ატომური საიდუმლოების შესახებ ინფორმაციას დიდი ბრიტანეთის სპეცსამსახურებს.

2007 წლის აგვისტოში კი ირანის ინფორმაციის სამინისტრომ დიდი ბრიტანეთი უფრო „დიდ ცოდვაში" დაადანაშაულა. მათი მტკიცებით, თეირანში აღმოჩენილ იქნა მიწისქვეშა გვირაბი, რომელიც დიდი ბრიტანეთის საელჩოდან დედაქალაქის ცენტრალურ ქუჩებს უერთდება და ერთ-ერთი ხალიჩების მაღაზიაში აქვს ჩასასვლელი. ირანელი „ჩეკისტები" დარწმუნებული არიან, რომ ამ გვირაბით


ჰოსეინ მუსავიანი

ბრიტანელები თეირანში ათასობით ჯაშუშისა და მეძავის შემოპარებას გეგმავდნენ.

ამ მოვლენებზე ირანის პრეზიდენტის მაჰმუდ ახმადინეჯადის რეაქცია ძალზე მწვავე იყო, — ის ქვეყნის შიგნით ატომური პროექტის ყველა მოწინააღმდეგეს და დასავლური ცხოვრების მოყვარულს ქვეყნის მოღალატედ გამოცხადებით დაემუქრა.

ირანში მიმდინარე ეს პროცესი ძალზე წააგავს საბჭოთა (30-50-იან წლებში) და ჩინეთის (60-70-იან წლებში) ტრაგიკულ მოვლენებს. ყველას უნდა ახსოვდეს, რომ ბნელ ოთახში შავი კატის ძებნა სიკეთეს არავის მოუტანს.

## საქართველო-ირანის თანამშრომლობის პერსპექტივები

სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე რთულ პოლიტიკურ თამაშებში ირანი აქტიურად მონაწილეობს, თუმცა ცდილობს რუსეთის საგარეო პოლიტიკურ ვექტორს არ დაუპირისპირდეს. ეს განსაკუთრებით საქართველოსთან ურთიერთობაზე აისახება. რუსეთის ხელისუფლება იმდენად რთულ თამაშს თამაშობს ირანის ატომური პრობლემის ირგვლივ, რომ ერთი შეცდომაც შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს არა მარტო კრემლისთვის, არამედ მთელი ახლო აღმოსავლეთის რეგიონისთვის. ჩვენი ქვეყნის ირანთან პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის პიკი 90-იანი წლების შუა პერიოდზე მოდიოდა.

შემდეგ წლებში, სხვადასხვა ობიექტური და სუბიექტური მიზეზის გამო ეს ურთიერთობა დღეისათვის მინიმუმამდეა დაყვანილი. თუ საქართველო-ირანს შორის სამხედრო თანამშრომლობა და მათი სპეცსამსახურების პარტნიორობა შორეული პერსპექტივაა, რა უშლის ხელს ჩვენს ხელისუფლებას უფრო მჭიდრო ეკონომიკური კავშირი დაამყაროს ირანთან? თუ აშშ-ის ადმინისტრაციის სანქციების გვერიდება, ჩვენი მეზობელი სომხეთის მაგალითი გავითვალისწინოთ, რომელიც კარგად იყენებს ირანის ენერგეტიკულ რესურსს, ამ ქვეყნის ბაზარს და შორს მიმავალი პოლიტიკური მიზნები აქვს...

*ბესიკ ალადაშვილი*

ეროვნული ბიბლიოთეკა



ცენტრალური ამერიკის ჯუნგლებში აუტანელი ხვატი იდგა. ორი ქრისტიანი მისიონერი ხუან დე ორბიტა და ბართოლომეო დე ფუნსალიდა და რამდენიმე აბორიგენი თითქოს უსასრულო, ადამიანის ჯერ ფეხდაუდგმელ ტყეში მიიკვლევდნენ გზას. ხეები და ლიანების ხვიარები იმდენად ხშირი იყო, რომ კაცი თავის ცხვირს იქით ვერაფერს ხედავდა. ცის ნაგლეჯიც კი არ ჩანდა. ბერებს არაქათი ჰქონდათ გამოცლილი. უძილობა და გაუმაძღარი მოსკიტები სიქას აცლიდნენ. ყოველი ასი მეტრის გავლის შემდეგ ხან ერთ, ხან მეორე ძნელად დასაძლევ წინააღმდეგობას აწყდებოდნენ – ხან ტბას, ხან ნიანგებით სავსე ჭაობს, უხვნაკადიან მდინარეს ან მანგრის ტევრს. ტყე თითქოს შთანთქმას უპირებდა მგზავრებს, ირგვლივ სულიერის ჭაჭანება არ იყო. ხანდახან თუ გამოჩნდებოდნენ ჭყიპინა მაიმუნების გუნდები...

# დიდი კონკისტადორი

ბერების ტანჯვას მხოლოდ მაშინ მოეღო ბოლო, როცა მაიას ტომის ინდიელების დასახლება ტაიიასალს მიაღწიეს. აქ სული მოითქვეს, დაიბანეს, ტანსაცმელი გაირეცხეს და გააშრეს, ჭრილობები მოიშუშეს. ტომის კასიკმა (ბელადმა) ისინი მთავარ სალოცავში მიიპატიჟა. რაოდენ დიდი იყო ბერების გაოცება, როცა ინდიელთა კერპებს შორის ცხენის სტატუეტი დაინახეს, ცხოველისა, რომელსაც ევროპელების ამ მიწაზე მოსვლამდე ძირეული მოსახლეობა არ იცნობდა! გამოდის, ბერები აქ პირველად არ მოსულან, მანამდე ვიღაცას მოუვლია ეს ტყეები.

კასიკმა უამბო ბერებს, რომ ოდესღაც, 90 წელზე მეტი ხნის წინ, ამ დასახლებას ჩრდილოეთის ბელადი, თეთრკანიანთა და ინდიელების მბრძანებელი ეწვია. მის შავ ულაყს ფეხი უტკენია და მასაც საჩუქრად დაუტოვებია ტომის მაშინდელი ბელადისთვის. ასე შევიდა ცხენი ინდიელთა პანთეონში.

ესპანელმა ბერებმა კარგად იცოდნენ, ვისზეც იყო ლაპარაკი. ამ კაცის სახელი ესპანეთში კანონგარეშე იყო, მისი ნაწარმოებების ბეჭდვა იკრძალებოდა, მისი გვარი კი გაკოტრდა და ისტორიის ფურცლებიდან სამუდამოდ გაქრა. ის, მექსიკის დამპყრობელი, უზარმაზარი კოლონიის დამაარსებელი, მოგზაური და რეფორმატორი, რომელმაც ძალიან ბევრი რამ გააკეთა ესპანური გვირგვინისათვის, დაივიწყეს სამშობლოში. ინდიელებს კი, რომელნიც მან მონობისთვის გაწირა, რომელთა სისხლს მდინარეებად ღვრიდა, ახსოვდათ. ეს კაცი ფერნანდო კორტეს დე მონროი გახლდათ...

## რაინდთა შთამომავალი

კორტესის წარმოშობა საიდუმლოებითაა მოცული. მისი სულიერი მოძღვრის გადმოცემის მიხედვით, ფერნანდო დაახლოებით 1485 წელს დაიბადა ესპანეთის პროვინცია ესტრემადურას ქალაქ მედელინში. თურმე დიდ დამპყრობელს არ უყვარდა თავის წარმოშობაზე ლაპარაკი. ამიტომაც, ისევ და ისევ კორტესის გადმოცემით, მისი ოჯახი თითქოს ღარიბ, მაგრამ კეთილშობილთა გვარს ეკუთვნოდა. თანამედროვეთა მტკიცებით, კონკისტადორს არ უყვარდა, როცა მას „დონ ერნანდოს“ უწოდებდნენ. მიაჩნდა, რომ ავტორიტეტს მემკვიდრეობით ვერ მოიპოვებ, ვერც ტიტულთან ერთად. რასაც მიაღწია, მხოლოდ და მხოლოდ მისივე შრომის ნაყოფი იყო. მიუხედავად ამისა, კონკისტადორის ოჯახზე ამგვარი შეხედულება მცდარია. ესტრემადურაში მონროები გავლენიანი და შეძლებული კლანი იყო. ერნანდოს ბაბუას, ალონსოს, ესპანეთის სამეფო კარზე დიდი თანამდებობა ჰქონდა – ალკანტარის სულიერ-რაინდული ორდენის უზენაესი მაგისტრი გახლდათ. კონკისტადორის მამა კი სამეფო ნოტარიუსი იყო და ხშირად უძღვებოდა მისი უდიდებულესობის საქმეებს. ასე რომ, ერნანდოს კარიერის დასაწყისში პრივილეგირებული ოჯახური გარემო უმაგრებდა ზურგს. მამა საიმედო შუამავალი იყო შვილის საქმეებში და სამეფო კარზე თავისი კავშირებით ეხმარებოდა.

კორტესის ბავშვობა უღრუბლო არ ყოფილა. მეთხუთმეტე საუკუნის ესპანეთი მძიმე დღეში იყო. პირენეს სახელმწიფოები გაუთავებლად ომობდნენ ერთმანეთთან. მონროების ოჯახსაც ხშირი განხეთქილება ჰქონდა სხვა კლანებთან, სამეფო ხელისუფლებასაც კი უჯანყდებოდა. ეს ყველაფერი კარგად ახსოვდა კორტესს და, ალბათ, მოგვიანებით მისი დაპირისპირება სამეფო კართანაც ამით უნდა აიხსნას.

კარიბის ზღვის სამოთხისებურ კუნძულებსა და მათ არანაკლებ იდუმალებით მოცულ მცხოვრებთა შესახებ ამბებით გაბრუებული 14 წლის ერნანი 1499 წელს სალამანკის უნივერსიტეტში იწყებს სწავლას. ორ წელიწადს ისწავლა და ბაკალავრის გამოცდებიც წარმატებით ჩააბარა. შესანიშნავად იცოდა ლათინური, როგორც იმდროინდელი ყველა ერუდიტი, ლექსებს თხზავდა და იურისპრუდენცია ზედმიწევნით შეისწავლა. ეს მომავალში ძალზე გამოადგა: მთელი სიცოცხლე უხდებოდა ლავირება ადმინისტრაციულ მმართველობასთან, მანიპულირებდა იურიდიული პროცედურებით, დიდი სიმარჯვით გამოდიოდა როგორც მოსარჩელედ, ასევე მოპასუხედაც სასამართლო პროცესებზე.

მიუხედავად ამისა, მეცნიერისა და იურისტის კარიერა არ იზიდავდა. 16 წლის ერნანი უფრო სუფთა ჰაერზე ყოფნას არჩევდა, ვიდრე ბიბლიოთეკაში მტვრიანი წიგნების საზოგადოებაში ყურყუტს. იყო ერთი მიზეზიც, რამაც კორტესს ცხოვრების გზა აარჩევინა – 1501 წლის სექტემბერში ინდოეთის გენ-

ერალ-გუბერნატორად (კარიბის ზღვაში რამდენიმე კუნძულის, რომელიც კოლუმბს ზღაპრული ინდოეთის კარიბჭე ეგონა) დაინიშნა კორტესის ბაბუის ყოფილი ხელქვეითი და მამამისის მეგობარი ნიკოლას დე ოვანდო.

ამიტომ 1503 წელს ერნანდო, მართალია, შვილის ავანტიურით უკმაყოფილო, მაგრამ ბედს დამორჩილებული მშობლების თანხმობით კადისიდან გაემგზავრა. გზა კუნძულ ესპანიოლისკენ ჰქონდა (ახლანდელი გაიტი).

## ახალი სამყაროს პირქუში დღეები

მგზავრობა მეტად სახიფათო აღმოჩნდა, არც გემის ეკიპაჟს შორის იყო თანხმობა – შტურმანი და კაპიტანი გაუთავებლად კინკლაობდნენ, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სავაჭრო ფლოტილიის ხომალდები. თითოეულ მათგანს პირველს სურდა მიეღწია ესპანიოლამდე. ამ კონკურენციას ის მოჰყვა, რომ ვიღაც მეზღვაურმა ღამით მალულად გადაჭრა აფრა, რომლის შემდეგ კორტესის ხომალდი ქარის სათამაშოდ იქცა. როგორც იქნა, შტორმებით შელახულმა კარაველამ გაიტის სანაპიროს მიაღწია, თუმცა სანტო-დომინგოდან შორს. წყლისა და საკვების მარაგი ილეოდა და საცაა ეკიპაჟი მგზავრებიანად ან შიმშილის, ან მეზობელი კუნძულების კანიბალების მსხვერპლი შეიქნებოდა. როგორც იქნა, დიდი წვალებით მიაღწიეს სანდო-დომინგოს, სხვა ხომალდებზე გაცილებით გვიან.

1504 წლის 6 აპრილს ერნანდო სანტო-დომინგოს ნავსადგურში გადავიდა და გენერალ-გუბერნატორ ოვანდოს რეზიდენციაში ესტუმრა.

კუნძული, რომელსაც კოლუმბი სამოთხეს უწოდებდა, უკვე სხვანაირი იყო – დამპყრობლებმა აქ ცეცხლითა და მახვილით გაიარეს ოქროს ძიებაში, დაიმონეს ადგილობრივი მოსახლეობა, ურჩები ამოწყვიტეს, სწორედ ისინი, რომლებიც ოდესღაც სიხარულით შეხვდნენ ამერიკის პირველაღმომჩენებს.

ესპანელთა კოლონიების პირველი წლები მეტად მძიმე იყო. ევროპული მცენარეული კულტურები აქ ძნელად იკიდებდა ფეხს. გენერალ-გუბერნატორის ჩამოყვანილი საქონელი კუნძულს მოედო და მუსრს ავლებდა ბაღებსა და ინდიელთა ბოსტნებს, რადგან აქ ღობეს ჯერ კიდევ არ იცნობდნენ. დიზენტერია, მალარია, ციება და მწირი კვება ჟლეტდა კოლონისტებს.

ერნანს, რომელიც აქ ზღაპრული მირაჟების იმედად ჩამოვიდა, ყურები არ ჩამოუყრია და ესპანიოლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაერთო. ადგილობრივი მოსახლეობის გამუდმებულმა აჯანყებებმა სამხედრო ნიჭის გამოვლენის საშუალება მისცა და გენერალ-გუბერნატორის პატივისცემაც დაიმსახურა.

კორტესი ესპანელების უკვე ტრადიციად ქცეულ ტოტალურ ხოცვა-ჟლეტას თავს არიდებდა, ამბოხებულებთან მოლაპარაკებებს მართავდა, თავის სიმართლეში არწმუნებდა, ზოგჯერ ზეწოლასაც იყენებდა, რათა სისხლის ღვრა აეცილებინა თავიდან. კორტესის მშვიდობისმოყვარე პოლიტიკამ ნაყოფი გამოიღო – ინდიელები ახლა იშვიათად ჯანყდებოდნენ. თანდათან ერნანდოს ცხოვრებაც ესპანიოლაში კალაპოტში ჩადგა. მეტიც, ცოტა არ იყოს, თავი მოაბეზრა კიდეც.

1509 წელს სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა, როცა დასავლეთის კოლონიების გენერალ-გუბერნატორი ოვანდოს დიდი ხნის მეტოქე დიეგო კოლუმბი, დიდი ზღვაოსნის ვაჟი და მემკვიდრე გახდა. კორტესი ახალი მმართველის გარემოცვისთვის უცხო იყო და სიკეთეს არ ელოდა მისგან.

დიეგო კოლუმბის ახალ დამპყრობლურ პოლიტიკას, ახალი მიწების დასაპყრობად ჩატარებულ არაგონივრულ ოპერაციებს კორტესი არ ამართლებდა. ბევრ ექსპედიციაზე უარი თქვა და სწორადაც მოიქცა – უმრავლესობა მარცხით სრულდებოდა. მხოლოდ 1511 წელს გარისკა კუბის დასაპყრობ ექსპედიციაში წასვლა. საქმე ის იყო, რომ დიეგო ველასკესს, კოლუმბის კლანის კაცს, ენერგიული თანაშემწე სჭირდებოდა. ველასკესი ესპანეთის ინდოეთის უხუცესი იყო. 1493 წლიდან არ დაუტოვებია ესპანიოლა, უზარმაზარი ქონება დააგროვა და ინდიელთა სისხლიც უხვად დაღვარა. ამ კაცის თანაშემწე გახდა ფერნანდო კორტესი, ოღონდა ჭკუა იხმარა და მის ხაზინდრად დადგა და არა სამხედრო მეთაურად. ოპერაცია წარმატებით ჩატარდა. ინდიელებმა ვერ შეძლეს ზღვაში ერნანის დესანტის განადგურება და დამარცხდნენ. კიდევ სამი წელი დასჭირდათ ესპანელებს, რომ კუბა საბოლოოდ დაესაკუთრებინათ. ამ დროის განმავლობაში კორტესი დაუმეგობრდა, მერე კი დაუპირისპირდა კიდეც ველასკესს. 1513 წელს კოლუმბის თანაშემწეს სრუ-



ლი საფუძველი ჰქონდა ეფიქრა, რომ მის წინააღმდეგ შეთქმულება მზადდებოდა და რომ მას მისი თანაშემწე კორტესი ხელმძღვანელობდა. ასე აღმოჩნდა კორტესი ანსუნსიონ-დე-ბარაკოს ციხეში, ველასკესის რეზიდენციაში. კუნძულის საზოგადოება აღაშფოთა დონ ფერნანდოს ღირსების შეურაცხყოფამ და კონფლიქტი მოგვარდა... მოგვარდა კორტესის იძულებით ქორწინებით კატალინა ხუარესზე, ოდესღაც გავლენიანი, მაგრამ შემდეგ გაღარიბებული კასტილიური გვარის წარმომადგენელზე.

## იდუმალი დასავლეთი ქვეყანა

1515 წელს, სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, მეფე ფერდინანდ არაგონელმა დიეგო კოლუმბი გაიწვია კასტილიაში. მისიონერთა აღშფოთებამ გენერალ-გუბერნატორის სისასტიკით თავისი საქმე გააკეთა. კარდინალმა დე სისნორესმა, კასტილიის რეგენტმა მომავალი იმპერატორის, კარლ V მცირეწლოვნობის დროს, დასავლეთის კოლონიების მმართველობა გეოგრაფიაში არც ისე გათვითცნობიერებულ ბერმონაზონთა კოლეგიას მიანდო. ამით დიეგო ველასკესს ხელ-ფეხი გაეხსნა – კარგა ხანია, ოცნებობდა ამერიკის კონტინენტზე გადასვლაზე. უკვე იცოდა, რომ იუკატანის ნახევარკუნძულზე მაიას მაღალგანვითარებული კულტურა არსებობდა და ახლა იმ მიწების კოლონიზაციას აპირებდა. ამისათვის გაგზავნა 1516-1517 წლებში რამდენიმე ექსპედიცია, რომლებიც მარცხით დასრულდა. მაიამ დიდი წინააღმდეგობა გაუწია გაუვალ ჯუნგლებში მომწყვდეულ კონკისტადორებს. იუკატანისკენ მოგზაურობამ ამ კუნძულის ჩრდილო-დასავლეთით კიდევ ერთი დიდი ცივილიზაციის, აცტეკური კულტურის არსებობა დაადასტურა. სავარაუდოდ, მექსიკის კოლონიზაციის იდეა კორტესს ველასკესმა მიაწოდა. თავად გუბერნატორს ინტრიგების ეშინოდა და კუნძულიდან წასვლას ვერ ბედავდა ამ ავანტიურული ექსპედიციის გამო. არადა მისმა კაპიტნებმა ფეხი წაიტეხეს დაუმორჩილებელ მაიას ტომებთან ბრძოლაში, არც ისეთი ავტორიტეტი და იღბალი ჰქონდათ, როგორიც „დონ ფერნანდოს". ამიტომაც ველასკესი, საზოგადოების ზეწოლით, იძულებული გახდა ექსპედიციის მეთაურად ერნან კორტესი დაენიშნა. კორტესი ამ ექსპედიციით კარდინალ სისნეროსის განკარგულებას არღვევდა, რომელმაც გენერალ-გუბერნატორს სამფლობელოდ მხოლოდ კარიბის ზღვის კუნძულები განუსაზღვრა. ამ აკრძალვის დაძლევაში დიდი როლი ითამაშა კორტესის ალღოიანობამ და იურისპრუდენციის ცოდნამ. ექსპედიციის ოფიციალურ მიზნად სანტა-მარია-დე-ლოს-რემედიოსის (იგულისხმებოდა ნახევარკუნძული იუკატანი) და სანტა-მარია-დე-ლოს-ნიოევესის კუნძულების (ცენტრალური მექსიკა) გამოკვლევა გამოცხადდა. ბერმონაზონთა კოლეგიამ, რომელსაც წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, რომელ მიწებზე იყო ლაპარაკი, კონკისტადორის თხოვნა ხალისით დააკმაყოფილა. ასე რომ, კორტესმა ზღვაში გასვლის ბრძანება გასცა და ვილია-დე-ლა-სანტისიმა-ტრინიდადისკენ აიღო გეზი. აქ იკრიბებოდნენ ექსპედიციის მონაწილენი.

ტრინიდადის ყურეში ერთიმეორის მიყოლებით შედიოდნენ კუბიდან მომავალი გემები. თან საკვების მარაგი და იარაღი მოჰქონდათ, ჩამოჰყავდათ ხალხი და ცხენები. 500 ესპანელზე მეტი და კორტესის მამულიდან 200 ინდიელი მონა შეიკრიბა. ექსპედიციის მეთაურს თან ჰქონდა 10 ბრინჯაოს ზარბაზანი და ოთხი ფალკონიეტი (მსუბუქი იარაღი) და 13 სიათა, რომელთაც უფრო ფსიქოლოგიურ იარაღად მიიჩნევდა. ცხენებსა და დენთს ინდიელები ჯერ არ იცნობდნენ და, ბუნებრივია, ძალზე დაფრთხებოდნენ ამ „მაგიური" საბრძოლო საშუალებებით. მიუხედავად ამისა, მექსიკის დაპყრობაში დიდი როლი ითამაში არა იარაღმა ან ცხენებმა, – თამამად შეიძლება ითქვას, რომ აცტეკური იმპერია ესპანელებმა მახვილით დაისაკუთრეს.

ურიგო არ იქნება აცტეკთა ბრძოლის სპეციფიკა გავიხსენოთ. საქმე ის არის, რომ ცენტრალურ ამერიკაში ომზე წარმოდგენა ძალზე განსხვავდებოდა ევროპაში დამკვიდრებულისაგან. აცტეკები ომობდნენ არა მოწინააღმდეგის გასანადგურებლად, არამედ მათთვის ბრძოლა უფრო რელიგიური რიტუალი იყო და მიზნად ხელჩართულ ბრძოლაში ტყვეების აყვანას ისახავდა. ევროპელები კი, პირიქით, ხელჩართული ბრძოლის ნაცვლად კავალერიასა და ცეცხლსასროლ იარაღს ხმარობდნენ. ამან თავისთავად არარად აქცია ველურთა ომის წარმოების პრინციპები და შედეგიც. რას გააწყობდა ხელკეტით შეიარაღებული, იაგუარის ტყავმოცმული, თეძოზე სარტყელშემოკრული აცტეკი ესპანელ ქვეითთან, რომელიც რკინის აბჯარში იყო შემალული, ხელთ კი დაშნა და გრძელი შუბი ეპყრა? აბორიგენების სუსტი, მოკლე ისრები მომხვდურთა ჯავშანს ვერაფერს აკლებდნენ, მაშინ როცა მათი არბალეტები და ტყვიები ბალახივით ცელავდნენ აცტეკებს...

## წინ – ზღაპრული საგანძურისკენ!

1519 წლის 10 თებერვალს კორტესმა აფრების აშვება ბრძანა და გზას გაუდგა. მალე მისი ფლოტილია ჩრდილოეთის ქარებმა გაფანტა და მხოლოდ იუკატანის დასავლეთ სანაპიროსთან მოიყარეს თავი. მაიას ინდიელებმა, რომლებთანაც კორტესმა მოლაპარაკება სცადა, კატეგორიული უარი თქვეს ყველა წინადადებაზე. მათ კარგად ახსოვდათ ადრინდელი დამპყრობლების სისასტიკე. მიუხედავად ამისა, კორტესს ესპანელ ტყვეთაგან ერთ-ერთი გადასცეს. ამ კაცმა კორტესს მოგვიანებით ფასდაუდებელი სამსახური გაუწია. ჯერონიმო დე აგილარი პირველაღმომჩენთა ხომალდების ერთ-ერთი მეზღვაური იყო, მისი გემი ჩაიძირა და ინდიელებმა აიყვანეს ტყვედ. აგილარმა კარგად იცოდა მაიას ენა, რაც დიდად დაეხმარა კორტესს მაიას ტომებთან ურთიერთობისას. თავად კონკისტადორი იუკატანის ესპანელებით დასახლებას არ აპირებდა. ის აცტეკების იმპერიისკენ მიისწრაფოდა. მიუხედავად ამისა, მაიასთან მაინც მოუწია ბრძოლამ.

1519 წელს კორტესი მონტესუმას, აცტეკური ტომ ნაუასა და მაიას ტომების იმპერატორის, საბრძანებლის შორიახლოს დაბანაკდა და მაშინვე შეუტიეს აბორიგენებმა, რომლებიც მოლაპარაკებას ან გარიგებას მტრებთან არ აპირებდნენ. ინდიელთა 30-ათასიანმა არმიამ შეუტია ესპანელთა პატარა რაზმს. კორტესის ხალხი იძულებული შეიქნა ბრძოლაში ჩაბმულიყო. მომხდურებმა ცხენების წყალობით აჯობეს აბორიგენებს. ამ ცხოველებმა თავზარი დასცეს ინდიელებს. ეგონათ, ღვთაებებს ვებრძვითო.

ელჩობა ელჩობაზე მიდიოდა კორტესთან და მანაც, როგორც იქნა, ტაბასკოს ელჩების კეთილგანწყობა მოიპოვა. ტაბასკო მაიას ტომის ერთ-ერთი ქალაქი იყო. გარდა ოქროს შესანიშნავი ნაკეთობებისა, ვერცხლისა, ნეფრიტისა, ზურმუხტისა და ველური ფრინველების ბუმბულებისა, ელჩები გულწრფელად გაოცდნენ, რომ „თეთრკანიანთა უზენაეს ბელადს" ქალები არ ჰყავდა და ოცი მონა ქალი მიართვეს. ევროპელთათვის ასე უცნაური „მზრუნველობა" ქალების ბედზე იოლად ასახსნელი იყო – აცტეკები და მაია ესპანელებს მომთაბარე, უკულტურო ხალხად თვლიდნენ, რომლებიც ჩრდილოეთიდან იჭრებოდნენ მათ ტერიტორიებზე. ქორწინებების საშუალებით ცდილობდნენ მომხდურებთან მშვიდობის დამყარებას, მოკავშირეობას, რაათა მოგვიანებით თავად დაემონებინათ.

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

# ფრანგული ფლოტის კარდინალი პრეზიდენტად იქცა







წყალში ჩაშვების ცერემონიალი

საზღვაო ძლიერების დემონსტრირების ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო და ეფექტიან საშუალებად კვლავინდებურად ავიამზიდი რჩება. შემთხვევითი არ არის, რომ მეტროპოლიიდან დიდ მანძილებზე სამოქმედოდ ავიამზიდი მასზე განლაგებული მრავალფეროვანი ავიაციით დღემდე შეუცვლელი ხომალდია.

ფრანგული ავიამზიდი R91 „შარლ დე გოლი“ (თავდაპირველი სახელი „რიშელიე“) ახალი თაობის ხომალდია, რომელსაც საფუძველი 1989 წლის 14 აპრილს, ბრესტში, ცნობილი გემთსაშენი ფირმა DCN-ის ვერფზე ჩაეყარა. ხომალდი წყალში 1994 წლის 7 მაისს ჩაუშვეს, მაგრამ სხვადასხვა ტექნიკურმა პრობლემამ მწყობრში შეყვანის დრო შესამჩნევად გააჭიანურა.

ბირთვულ სათბობზე მომუშავე პირველი ევროპული წყალზედა საბრძოლო ხომალდი საფრანგეთის ფლოტს 2001 წლის 18 მაისს გადაეცა. მისი მშენებლობა 2 მილიარდ 680 მილიონი დოლარი, ანუ საწყის ღირებულებაზე 25%-ით მეტი დაჯდა.



ბუქსირს ავიამზიდი პორტიდან გამოჰყავს





„შარლ დე გოლი“ ტულონის დოკებიდან გამოსვლის დროს

„დე გოლის“ სრული წყალწყვა 40600 ტონას, სიგრძე 261,5 მეტრს, სიგანე 64,36 მეტრსა და წყალჯდომი კი 8,5 მეტრს შეადგენს.

ბირთვული სათბობის გამოყენებით ხომალდს განუსაზღვრელ სიშორეზე ხან-გრძლივი დროით ცურვა შეუძლია და რეაქტორებში სათბობის ხელახალი ჩატვირთვა 5-წლიანი ექსპლუატაციის შემდეგ დასჭირდება.

83 ათასი ცხენის ძალის წყლით გაგრილების K 15 ტიპის ორი რეაქტორი 2 ტურბინით სიმძლავრეს 2 წამყვან ხრახნს გადასცემს და ხომალდს მაქსიმალური 27 კვანძით უზრუნველყოფს.

ხომალდის შეიარაღება, ძირითადად, საჰაერო თავდაცვაზეა ორიენტირებული და მასში მთავარი ადგილი ახალი თაო-ბის საჰაერო თავდაცვის სისტემა SAAM-ს უკავია, რომელიც დაბალ სიმაღლეზე მფრი-ნავი ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტების, ფრთოსანი რაკეტების, ოპერატიულ-ტაქ-ტიკური დანიშნულების ბალისტიკური რაკეტების, თვითმფრინავების, შვეულმ-ფრენებისა და უპილოტო საფრენი აპარატე-ბის ჩამოგდებაზეა გათვლილი.

SAAM-ის შემადგენლობაში შედის ვერ-ტიკალური სტარტის ორი სისტემა „Sylver A43“, თითოეული „Aster 15“-ის ტიპის თექვსმეტი რაკეტით.

„Aster 15“-ის ტიპის რაკეტა ხომა-ლდს 1,7-დან 30 კილომეტრამდე დიაპა-ზონში და სიმაღლეში 15 კილომეტრამდე მანძილზე ფარავს.

ახლო მანძილზე საჰაერო თავდაცვას ორი ექვსლულიანი სისტემა „Sadral“-ისა და „Mistral“-ის ტიპის რაკეტები უზრუნველყოფენ.

„Mistral“-ის ტიპის რაკეტები სამ-იზნეებს 300-დან 6000 მეტრამდე მან-ძილზე და 15-დან 4500 მეტრის სიმაღ-ლეზე ანადგურებენ. რაკეტის წონა 18,4 კილოგრამი, ხოლო საბრძოლო ნაწილი დაახლოებით 3 კილოგრამია.

საარტილერიო შეიარაღება წარმოდ-



საჰაერო მართვის თვითმფრინავი „ჰოკაი“ E-2C



გამანადგურებელ-გზაგადამჭრელი „რაფალი“



საჰაერო თავდაცვის სისტემაში შემავალი „Aster 15"-ის ტიპის რაკეტების სასტარტო დანადგარი

მრავალმხრივი დანიშნულების შვეულმფრენი „დოლფინი"

20 მმ-იანი ავტომატური დანადგარი F2

მოიერიშე „სუპერ-ეტანდერი"

გენილია ფირმა „ჟიატ ინდასტრიზის" 20 მმ-იანი F2 ტიპის 8 დანადგარით, რომელიც წუთში 720 გასროლას აკეთებს და სროლის მაქსიმალური სიშორე 8 კილომეტრია.

ავიამზიდის საავიაციო შემადგენლობაში შედის: 20 მოიერიშე „სუპერეტანდერი", 12 „რაფალ მარინი" (გამანადგურებელ-გზაგადამჭრელი F 1 და მოიერიშე F 2), საჰაერო მართვის 3 „ჰოკაი" E-2C, აგრეთვე შვეულმფრენები 3 „სუპერფრელონი" SA 321G და 2 „დოლფინი". საბრძოლო ამოცანებიდან გამომდინარე, საავიაციო ჯგუფის შემადგენლობა შეიძლება სხვა სახითაც იყოს წარმოდგენილი.

ხომალდის ასაფრენ ზოლს ამერიკული წარმოების C-13 ტიპის ორი ორთქლის კატაპულტა აქვს და მისი გამოყენებით 22 ტონამდე მასის მქონე თვითმფრინავების გაშვება ხერხდება. დასაჯდომი ზოლის 3 სამუხრუჭე ჰიდროდინამიკური დანადგარი 22 ტონამდე წონის თვითმფრინავებს აჩერებს. საფრენი აპარატების ანგარებიდან გემბანზე ამოტანას ორი 40 ტონა ტვირთამწეობის მქონე სატვირთო ლიფტი ემსახურება.

ავიამზიდის ეკიპაჟი 1950 კაცს ითვლის, საიდანაც 600 ხომალდის საფრენოსნო შემადგენლობას მიეკუთვნება.

2001 წლიდან „შარლ დე გოლი" ყოველწლიურად სხვადასხვა ოპერაციაში, სწავლებებსა თუ ლაშქრობებში მონაწილეობს. 2001 წლის 21 ნოემბრიდან ინდოეთის ოკეანეში იმყოფებოდა და ავღანეთში თალიბების წინააღმდეგ ჩატარებულ ოპერაციას მხარდაჭერას უკეთებდა. 2002 წლის ივნისში ინდოეთ-პაკისტანის კრიზისის დროს არაბეთის ზღვაში პატრულირებდა.

„შარლ დე გოლი" მონაწილეობდა ერთობლივ სწავლებებში აშშ-ის, საუდის არაბეთის, ინდოეთისა და სხვა ქვეყნების სამხედრო-საზღვაო ძალების ხომალდებთან ერთად.

2002 წლის 30 ოქტომბერს ხომალდიდან, სისტემა SAAM-ის გამოყენებით, პირველად აიღო სტარტი რაკეტა „Aster 15"-მა.

2005 წლის ივლისში ბრიტანეთში სპიდჰედის რეიდზე გრანდიოზული საზღვაო აღლუმი ჩატარდა, რომელიც ტრაფალგარის ბრძოლის მე-200 წლისთავს მიეძღვნა. ფრანგებისთვის ისტორიულად არცთუ სასიამოვნო თარიღისადმი მიძღვნილ აღლუმზე საფრანგეთის ფლოტი ავიამზიდმა „შარლ დე გოლმა" წარმოადგინა.

ნორფოლკის საზღვაო ბაზაზე მარცხნიდან: CVN-69 „დუაიტ ეიზენჰაუერი", CVN-74 „ჰარი ტრუმანი", „შარლ დე გოლი" და CVN-71 „თეოდორ რუზველტი"



*თემურ ჩაჩანიძე*

# Charles de Gaulle





„არსენალი“ ცდილობს სულ უფრო და უფრო საინტერესო იყოს მკითხველისათვის, ამიტომ გთავაზობთ ახალ რუბრიკას, რომელშიც განვიხილავთ ზოგადად ომების ისტორიას კონკრეტული ბრძოლების მაგალითზე, რომლებიც VI-XV სს-ებში გაიმართა. ვინაიდან თემა ძალიან ტევადია, რუბრიკა გაგრძელებებით იბეჭდება. (დასაწყისი იხ. არსენალი №11)

# ქვეითთა როლი შუა საუკუნეებში

## გაგრძელება

ომი არის ფიზიკური, ინტელექტუალური და მორალური ძალების დაპირისპირება, რომლის დროსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება შეიარაღებასა და ბრძოლის ტაქტიკას. თანამედროვე სამხედრო ხელოვნება, რომელიც საკმაოდ განებივრებულია ტექნიკური მიღწევების გამოყენებით, დიდად განსხვავდება მისი განვითარების პირველი საფეხურებისაგან. საბრძოლო ხელოვნების განვითარების საწყის ეტაპზე მთავარი და უმნიშვნელოვანესი როლი ადამიანის ფიზიკურ შესაძლებლობებს ენიჭებოდა. სამხედრო ტაქტიკა სამხედრო ხელოვნების შემადგენელი ნაწილია, რომელიც არმიის თეორიულ და პრაქტიკულ მომზადებას გულისხმობს. საბრძოლო ხელოვნების ისტორიის მანძილზე ის გამუდმებით იცვლებოდა, რასაც ადამიანთა კულტურული თუ ტექნიკური ევოლუცია განაპირობებდა...

შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში განვითარებული მოვლენების შესახებ უფრო თვალსაჩინო წარმოდგენა რომ შეგვქმნოდა, საჭიროდ მივიჩნიეთ მოკლედ მიმოგვეხილა იმ დროის გეოპოლიტიკური პროცესები.

უძველესი დროის ყველა ძლევამოსილ და ამაყ სახელმწიფოს ერთი უკურნებელი სენი სჭირდა, – ბარბაროსთა შემოსევები. ათასწლეულების განმავლობაში ეს ორი სრულიად განსხვავებული სამყარო ერთმანეთის პირისპირ იდგა. კაცობრიობის ისტორიამ ცხადყო, რომ არა მხოლოდ განვითარებული სახელმწიფოები ხდებიან პოლიტიკური პროცესების განმსაზღვრელი, არამედ ბარბაროსებიც, რომლებსაც შეუძლიათ ყირაზე დააყენონ ისტორიული პროცესების განვითარების ჯაჭვი.

დაახლოებით III საუკუნიდან ევროპა ბარბაროსთა შემოსევებმა მოიცვა. რომის ბატონობისას ალპების ჩრდილოეთით არსებული ტერიტორია სამ მრავალრიცხოვან ტომს ეკავა: კელტებს, გერმანელებსა და სლავებს. თითოეული მათგანი კიდევ რამდენიმე განსხვავებულ, შედარებით მცირერიცხოვან ტომს აერთიანებდა (მაგ: გალები კელტების ჯგუფს მიეკუთვნებოდნენ; გოთები, ვანდალები – გერმანელებისას და ა.შ.). კელტები ოდესღაც მთელ ევროპაში – ატლანტიკიდან ბალკანეთის ნახევარკუნძულის ჩათვლით სახლობდნენ. რაც შეეხება გერმანელებს, მათ ჩვ.წ.აღ.-მდე რამდენიმე საუკუნით ადრე დატოვეს შორეული ჩრდილოეთი და რაინის აუზში დაფუძნდნენ. გოთებმა კი ბალტიისპირეთიდან აზოვისა და შავი ზღვის სანაპიროებსაც მიაღწიეს. ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო აზიის სტეპები დატოვეს და ევროპისაკენ დაიძრნენ ჰუნებიც, რომლებმაც დღევანდელი უნგრეთის ტერიტორიაზე დაიდეს ბინა. 375 წელს ისინი თავს დაესხნენ გოთებს და მათი ერთი ნაწილი (ოსტგოთები) თავიანთი გავლენის ქვეშ მოაქციეს, მეორე ნაწილი (ვესტგოთები) კი რომის მფარველობის ქვეშ შევიდა. გოთები გამორჩეული მეომრები იყვნენ, მათი დახმარებით რომს იქნებ კიდევ დიდხანს ეარსება, მაგრამ რომაელი რის რომაელი იქნებოდა, თუკი ბარბაროსს თანასწორად მიიჩნევდა. ამას ის მოჰყვა, რომ 378 წელს ქალაქ ადრიანოპოლის მახლობლად ვესტგოთებმა მთელი რომაული არმია გაანადგურეს. ამის შემდეგ რომზე იერიში ჰუნებმა და ვანდალებმაც მიიტანეს.

რომის იმპერია, რომელიც საუკუნეების მანძილზე შიშის ზარს სცემდა ევროპას, ხმელთაშუა ზღვისპირეთსა თუ მცირე აზიას, პირველყოფილი ტომების თავდასხმის ობიექტი შეიქნა. იმპერიამ ვერ გაუძლო ხანგრძლივ შემოტევებს და 476 წელს დაეცა. დასავლეთ რომის იპერიის დაცემით სრულდება ძველი სამყაროს ისტორია და იწყება ახალი ეპოქა – შუა საუკუნეები.



გოთები

### გვიანი პერიოდის ბიზანტიური არმია

მართალია, ბიზანტიურ არმიაში მხედრობის სტატუსი უფრო მაღალი იყო, ვიდრე ქვეითებისა, მაგრამ ამ უკანასკნელს ღირსეული ადგილი ეკავა საომარ მოქმედებებში. X საუკუნის სამხედრო ისტორია გვაწვდის ცნობას, თუ როგორ ქმნიდნენ ბიზანტიელები ქვეითურ კარეს შუბოსნების მეშვეობით, რომელთაც ზურგს მშვილ-

დონსნები უმაგრებდნენ (ქვეითი ჯარის საბრძოლო წყობა, კვადრატის ან სწორკუთხედის სახისა: იყენებდნენ კავალერიის მოსაგერიებლად). ამ მანევრის შესრულებისას ისინი პერიმეტრიდან გამავალი კავალერიის შეტევასაც ითვალისწინებდნენ, რომლისათვისაც სპეციალურ გასასვლელებს ტოვებდნენ. გასასვლელებს მეშურდულენი და სატყორცნი შუბებით შეიარაღებული მეომრები (ძირითადად, სლავები) იცავდნენ. მსუბუქად შეიარაღებული ქვეითი ჯარისათვის ამ ფუნქციის დაკისრება სავსებით გამართლებულია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ტაქტიკური აუცილებლობის შემთხვევაში მათ შეეძლოთ მყისიერად გაეხსნათ და დაეხურათ გასასვლელები.

ქვეითთა რიგებში შედიოდა მენაულატების ნაწილებიც, რომლებიც მძიმე სატყორცნი შუბებით იყვნენ შეიარაღებული და მოწინააღმდეგეთა კატაფრაქტების მოგერიება ევალებოდათ (საჭურველასხმული მხედრები, რომელთა ბედაურებიც ასეთივე საჭურვლით იყვნენ დაცული). კავალერიისაგან განსხვავებით კატაფრაქტებს, როგორც წესი, არასოდეს უპირისპირებდნენ მშვილდოსანთა და შუბოსანთა რაზმები, რომელთა იარაღი ჯავშანასხმული მეომრების წინაშე უძლური იყო.

როგორც ცნობილია, ბიზანტიურ ქვეით ჯარს უმთავრესად დამცავი ფარის როლი ეკისრებოდა, მაგრამ მას სხვა ფუნქციებიც ჰქონდა. X საუკუნეში შექმნილი ნიკიფორე ურანოსის შრომა „ტაქტიკა“ სამხედრო ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახელმძღვანელო გახლდათ, რომლიდანაც მაგალითად მოვიყვანთ ერთ მონაკვეთს. როგორც ნიკიფორე წერს, იმ დროს, როდესაც შუბოსანთა და მშვილდოსანთა ძირითადი ბირთვი მოწინააღმდეგის ქვეით ჯარს იგერიებს, მენაულატებმა და ხელშუბების მტყორცნელმა რაზმებმა ფლანგებს უნდა შეუტიონ, ოღონდ ისე, რომ მათი რიგები ცენტრში ოდნავ იხრებოდეს. ამ მანევრის მიზანი იყო მათ უკან მდგარი მშვილდოსანთა და შუბოსანთა რაზმების მრავალრიცხოვნობის ილუზიის შექმნა.

„საველე არტილერიას“ იმ დროისათვის ხეირომანგანა — კატაპულტი წარმოადგენდა, რომელიც გიგანტურ ისრებსა და სიფონებს, ანუ აალებადი სითხის შემცველ მილებს ისროდა.

ბიზანტიური ქვეითი ჯარის უმთავრეს დანიშნულებას მაინც თავდაცვა წარმოადგენდა, რადგან შეტევის ფუნქცია, რომლის მიზანი იყო მოწინააღმდეგის რიგების გარღვევა, კავალერიას ეკისრებოდა.




971 წელს დოროსტოლის ბრძოლაში ბიზანტიელ ქვეითებს რამდენიმე დღის მანძილზე რუსებთან ხელჩართული ბრძოლა ჰქონდათ. ცულებით, მშვილდებითა და შუბებით შეიარაღებული ბიზანტიელი ქვეითების გრძელ მწყობრს ზურგს დოროსტოლის ციხე უმაგრებდა. ხანგრძლივი წინააღმდეგობის შემდეგ ბიზანტიელი იმპერატორი (იოანე ციმიხელი) პირადად ჩაუდგა სათავეში კატაფრაქტას, რომელსაც უზარმაზარი სოლის ფორმა ჰქონდა და გაარღვია კიევის თავადის — სვიატოსლავ იგორის ძის ჯარის შეთხელებული რიგები.

X საუკუნის 60-იანი წლებიდან იმპერატორის ჯარი უმეტესწილად დაქირავებული მეომრებისაგან — სკანდინაველებისა და რუსებისაგან შედგებოდა. მათი ნაწილი წარმოადგენდა ვარიაგულ დაცვას, ანუ რაზმებს, რომლებიც ორსახელურიანი ცულებით იბრძოდნენ. ბიზანტიური ქვეითი ჯარის ეს ნაწილები იყვნენ როგორც დამრტყმელი ძალა, ასევე იმპერატორის პირადი დაცვა. 1081 წელს, დურაციოსთან ბრძოლაში, იმპერატორ ალექსი კომნენს მრისხანე რობერტ გვისკარის წინამძღოლობით შემოჭრილი სამხრეთიტალიელი ნორმანების მოგერიებამ მოუწია. ბიზანტიის ვარიაგთა რაზმები მშვილდოსანთა მხარდაჭერით ცენტრის მიმართულებით მოქმედებდნენ. „ალექსი კომნენს გადაწყვეტილი ჰქონდა გვისკარისათვის პირველად მშვილდოსნები დაეპირისპირებინა და ვარიაგების სარდალ ნამპიტს უბრძანა, გაეტარებინა ისინი, ხოლო როდესაც წინ წაიწევდნენ, კვლავ შეეკრათ რიგები“. („ალექსანდრიადა“) ამგვარი ტაქტიკური გაშლის გადაწყვეტილება წარმოადგენს მსროლელთა და შემტევი ძალის გონივრულად გამოყენების ნათელ მაგალითს. ვარიაგების შეტევა წარმატებულად მიმდინარეობდა, მათი მშვილდოსნები აკავებდნენ ნორმანების მხედრობას, ხოლო საბრძოლო ცულებით შეიარაღებული მეომრები ქვეითებს ანადგურებდნენ. მხოლოდ მაშინ, როდესაც შეტევითა და წარმატებით გათამამებული ვარიაგები საჭიროზე მეტად დაწინაურდნენ, მოწინააღმდეგის ქვეითთა მოულოდნელმა გადასროლამ ფლანგებზე არია ისინი და აიძულა, უკან დაეხიათ. ბრძოლის ველი ნორმანებს დარჩათ; ვარიაგები, უმეტესად კი ანგლოსაქსები, თითქმის განადგურდნენ.

## არაბთა დამპყრობლური ომები

VII-XI საუკუნეების მანძილზე ბიზანტიის მთავარ მოწინააღმდეგედ არაბები მიიჩნეოდნენ. თავდაპირველად, მათ იმპერიის აღმოსავლეთი პროვინციები დაიკავეს და ბიზანტიელების უშუალო მეზობლებად იქცნენ. მათ ცხენების საუკეთესო ჯიშები გამოჰყავდათ, რის გამოც ჯერ კიდევ მაშინ გაითქვეს უბადლო მხედრების სახელი. ამასთან, ჰქონდათ ქვეითად ბრძოლის ძალზე დიდი ტრადიცია. არაბები დამპყრობლურ კამპანიებს ხშირად აქლემებზე ამხედრებულნი ატარებდნენ, რაც მათ წარმატებას განაპირობებდა. ამ უპრეტენზიო ცხოველების მეშვეობით ისინი იოლად გადალახავდნენ უდაბნოს, თავს ესხმოდნენ ბიზანტიისა თუ სპარსეთის პროვინციებს, აწიოკებდნენ მათ და ისევ უდაბნოს უბრუნდებოდნენ. მოწინააღმდეგენი კი მათ დადევნებას ვერ ბედავდნენ. როდესაც VII საუკუნეში არაბთა ურდო იტალიაში შეიჭრა, უფრო გვიან კი გალიას, სიცილიასა და იტალიის სამხრეთ რეგიონებს დაესხა თავს, ევროპულმა არმიამ საკუთარ მხრებზე გამოცადა მათი ბრძოლის ტაქტიკის

ეროვნული ბიბლიოთეკა



მთელი სიავე. შეტევას თითქმის ყოველთვის მსუბუქი მხედრობა იწყებდა, რომელიც გადამწყვეტი დარტყმის მიყენების შემდეგ ასპარეზს მძიმე კავალერიას უთმობდა და მას საქმე გამარჯვებამდე მიჰყავდა. იმ შემთხვევაში, თუ მტერი სასტიკ წინააღმდეგობას გაუწევდა მხედრობას, ქვეითი ჯარი შეცვლიდა. ქვეითები მჭიდრო რაზმებად დაყოფილნი იდგნენ, რომელთა შორისაც მანძილი იყო დატოვებული კავალერიის გ[illegible]ავლელად. თითოეულ ასეთ ბლოკში [illegible]დგა მუხლებზე დაშვებული შუბოსანთა რიგი, რომელთაც ფარები და შუბები ჰქონდათ მომარჯვებული. მათ უკან იდგნენ მშვილდოსნები და შურდულის მტყორცნელთა რიგები. მათი შუბები აძლიერებდა მშვილდოსანთა შეტევას, რომელთა ისრები დიდ ზიანს ვერ აყენებდა მტრების შეჯავშნულ მხედრობას. ქვეითთა ამოცანა მტრის კავალერიის მოგერიება იყო, რომელსაც უკან დახევის შემთხვევაში არაბების კავალერია დაედევნებოდა.

ესპანეთის არაბი დიდებულები მჭიდრო კავშირს ინარჩუნებდნენ მაღრიბელ ერთმორწმუნეებთან. ქრისტიანებისაგან რეკონკისტით (პირენეს ნახევარკუნძულის არაბთაგან განმათავისუფლებელი ომები) შევიწროებულმა მაჰმადიანებმა დახმარებისათვის ჩრდილოაფრიკელ ბერბერების ურდოს მიმართეს. ამ ალიანსებმა XI საუკუნის მიწურულს ალმორავიდების მიერ ანდალუზიის დაპყრობა გამოიწვია.

საჰარის ტერიტორიაზე მოსახლე ალმორავიდები ისლამის ფანატიკურად ერთგული მაჰმადიანები იყვნენ. 1086 წელს სალაკესთან ბრძოლაში შავად შემოსილმა ალმორავიდებმა დაფდაფების თანხლებით „საბრძოლო ცეკვა“ გაუმართეს ევროპელებს. თავდაცვით მწყობრში განლაგებულ ქვეითთა ბლოკების საშუალებით მათ შეძლეს ქრისტიან რაინდთა და ესპანელთა მძიმედ შეჭურვილი მხედრობის დამარცხება (მეფე ლეონისა და ალფონს VI კასტილიელის არმიები).

## ჩრდილოეთ ევროპა

ევროპაში, რომის იმპერიის ოფიციალური საზღვრების ჩრდილოეთით, თავდაპირველად კავალერია საგრძნობლად მცირერიცხოვანი და ფუნქციურად უმნიშვნელო იყო. ამის მიუხედავად, მხედარი სოციალურად მაინც მაღალ საფეხურზე იდგა. ჩრდილოეთის ხალხების კავალერიას ჩვეულებად ჰქონდა ბრძოლაში ჩამოქვეითება და ფეხოსანთა რიგებში ბრძოლა, თუკი, რა თქმა უნდა, ხელმძღვანელობა ამ ნაბიჯს ტაქტიკურად გამართლებულად მიიჩნევდა. მაგალითად, 553 წელს მონს-ლაკტარიუსის ბრძოლაში თეიას სარდლობით მოსული გოთები ბიზანტიელებს ქვეითად დაუხვდნენ. ეს ფაქტი ბიზანტიელთა ისტორიოგრაფიაშიც ძალზე შთამბეჭდავად არის აღწერილი, განსაკუთრებით კი „სტრატეგიკონში“, რომელიც ხაზს უსვამს ამ ქერათმიანი გოლიათების ქვეითად ბრძოლის ოსტატობას.

ჩრდილოეთ ევროპის ხალხებს შორის ქვეითად ბრძოლის მდიდარი ტრადიცია ინგლისსა და სკანდინავიაში ჰქონდათ. ვიკინგები, რომლებიც ძალზე ხშირად გადადიოდნენ მათ ტერიტორიებზე და აწიოკებდნენ, პირველ რიგში ცხენების მოპოვებაზე ზრუნავდნენ. ისინი ბედაურებს უმეტესად სწრაფი გადაადგილების საშუალებად იყენებდნენ, რაც შეეხება ბრძოლას, კვლავ ქვეითად შერკინებას ანიჭებდნენ უპირატესობას. ისევე როგორც საფრანგეთში ლაშქრობების დროს, ვიკინგები ინგლისშიც ციხეებს აგებდნენ. მშენებლობისათვის უმეტესად პატარ-პატარა კუნძულებს არჩევდნენ (ასეთი ციხეა, მაგალითად, ტემზაზე აგებული რედინგი).

ციხეები ერთგვარი ფორპოსტები იყო. 871 წელს უელსის მეფე ეტელრედ I-მა და მისმა ძმამ ალფრედმა აუშდაუნის მახლობლად ბრძოლა გაუმართეს დანიელებს (სკანდინავიელებს ხშირად ასეც მოიხსენიებდნენ ხოლმე). დანიელებმა თავიანთი ძალები ორ ნაწილად დაყვეს. ალფრედი (შემდგომში მეფე ალფრედ დიდად წოდებული) არ დაელოდა ძმას და მის გარეშე მიიტანა იერიში მოწინააღმდეგეებზე. თავდაპირველად, ფარებმომარჯვებული მოწინააღმდეგეები ერთმანეთს ისრებით და შურდულებით უმასპინძლდებოდნენ, შემდეგ კი ხელჩართულ ბრძოლაზე გადავიდნენ. თუმცა არსებობს ბევრი ცნობა იმის თაობაზე, რომ ინგლისელები და ვიკინგები მჭიდრო რიგში იბრძოდნენ.

„მალდონის ბრძოლაში“ კი საწინააღმდეგო ცნობაა მოცემული. ამ ძეგლის თანახმად, მოწინააღმდეგეები თავისუფალი მწყობრით იბრძოდნენ, რომლებშიც სარდლები პირადი დაცვის რაზმებთან ერთად ერთმანეთს დაეძებდნენ. აშდაუნის შეტაკებაში გამარჯვება ინგლისელებს დარჩათ, რომლებმაც მტრის ფლანგების აღება შეძლეს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამგვარ ბრძოლებში მეომრები, ძირითადად, ფარს ხმარობდნენ, ძალზე დიდი იყო ჯარისკაცთა დანაკარგი. იმის გამო, რომ ყველა ქვეითად იბრძოდა, უკუქცეულთა დევნა სასტიკ სისხლის ღვრად გადაიქცეოდა ხოლმე.

ვიკინგები და ინგლისელები ისტორიულ წყაროებში წარმოდგენილი არიან სასტიკ, მრისხანე და დაუნდობელ მეომრებად, რომლებიც უფრო სიმამაცით შეიარაღებულნი იბრძოდნენ, ვიდრე საბრძოლო ხელოვნების გათვალისწინებით. მართალია, ტაქტიკის თვალსაზრისით მოიკოჭლებდნენ, მაგრამ რამდენიმე წყაროში გვხვდება მინიშნება ზოგიერთ „ტექნოლოგიურ“ მანევრზე. ვიკინგების ძირითადი იარაღი მშვილდი იყო, რომლითაც მტრებს უკანა რიგებიდან უსწორდებოდნენ. ინტენსიურად იყენებდნენ ბუნებრივ საფარებს: ტყეებს, ჭალებს და სხვ. მათი ტრადიციული მწყობრი — სვაინფაილკინგი, ანუ „ტახის თავი“ საშუალებას აძლევდა ჩამდგარიყვნენ მჭიდრო მწყობრში, რაც ძალზე შედეგიანი იყო მოწინააღმდეგის რიგების გარღვევისას. ბოროსტოლის ბრძოლაში ბიზანტიელებთან შეტაკებისას რუსები ქვეით მეშურდულეთა ზურგის გასამაგრებლად მშვილდოსანთა რაზმებს იყენებდნენ და ბიზანტიელთა მხედრობის მოსაგერიებლად ფლანგებზე იყვნენ განლაგებულნი.

იმ დროს ერთი რაზმი იბრძოდა როგორც ხმელეთზე, ასევე ზღვაზე; აგებდნენ ფორტიფიკაციულ ნაგებობებსაც. ინგლისში დანიელებიცა და ინგლისელებიც სტრატეგიული მანევრირებისათვის ცხენებს იყენებდნენ, დანიელები თავიანთ დრაკარებს ერთგვარ მოძრავ ციხეებად ხმარობდნენ, შეტაკებების შემდეგ თავს დრაკარებს აფარებდნენ.

რომის იმპერიის დაცემის შემდეგ ევროპაში დიდხანს სრული ქაოსი იყო. ბარბაროსთა ტომები გამუდმებით ებრძოდნენ ერთმანეთს გავლენის სფეროების მოპოვებისათვის.

*გაგრძელება იქნება*

# გიგანტური ჯავშნოსნები

მეოცე საუკუნის დასაწყისში, თითქმის ოთხი წლის განმავლობაში ოცნებობდნენ სამხედრო ინჟინრები და კონსტრუქტორები მძლავრ ზემძიმე ტანკების შექმნაზე, მაგრამ სახმელეთო ჩაუძირავ კრეისერებს ბრძოლის ველზე გამოჩენა არ ეწერა, თუმც მათი შექმნის პროცესში არაერთი ჯანსაღი იდეა დაიბადა, რომლებმაც შემდგომ ჩვეულებრივი ზომის ტანკებში პოვა განხორციელება.
ადამიანის ხელით შექმნილი მასშტაბური ქმნილებები ყოველთვის იქცევდა ყურადღებას, იწვევდა აღფრთოვანებას, შიშის ელდით მსჭვალავდა ადამიანებს, ბადებდა თქმულებებსა და ლეგენდებს.

KOLOSSAL-WAGEN



## უძველესი პროექტები

პირველი ცნობილი პროექტი მანქანისა, რომელსაც ტანკი პირობითად შეიძლება ვუწოდოთ, იმთავითვე გიგანტომანიით იყო დაავადებული. 1874 წელს ფრანგმა ინჟინერმა ედუარდ ბრუიენმა წარმოადგინა ყველგანმავალი ჯავშნოსანი მატარებლის პროექტი, რომელიც რკინიგზის ჩაკეტილ წრეში მოძრაობდა (რკინიგზის ლიანდაგები ისევე მოძრაობდნენ, როგორც ტანკის მუხლუხები გორგოლაჭებზე). საომარ მანქანას რვა განყოფილება ჰქონდა, მისი ეკიპაჟი 200 კაცისგან შედგებოდა, შეიარაღებაში კი 16 ზარბაზანი ჰქონდა. ბრუიენის საომარი მანქანა არქივისთვის რომ არ გადაეცათ და დაემონტაჟებინათ, ადგილიდან მაინც ვერ დაძრავდნენ, რადგან მხოლოდ და მხოლოდ 40-ცხენისძალიან ორთქლის ძრავაზე იყო გათვლილი.

## პირველი რკინის „ურჩხულები"

1916 წლის 15 სექტემბერს ბრძოლის ველზე გამოჩნდნენ პირველი ინგლისური ტანკები. იმავე წლის ნოემბერში გერმანიის სამხედრო ხელმძღვანელობამ ტანკების დამუშავების ბრძანება გასცა. მუშაობა 30-ტონიანი A7V ტანკებით დაიწყო, მაგრამ უკვე 1917 წლის გაზაფხულზე საკონსტრუქტორო სამუშაოების ხელმძღვანელ ი. ფოლმერს 150 ტონა მასის მქონე საომარი მანქანების დამუშავება დაევალა. 1918 წელს გერმანიის სამხედრო სამინისტრომ დაამტკიცა პროექტი „K-W" („KOLOSSAL-WAGEN"), მისი აღჭურვილობა მთლიანად იმეორებდა ინგლისური ტანკისას, მუხლუხები გარს უვლიდნენ საომარი მანქანის კორპუსს. შეიარაღებული იყო ოთხი ქვემეხითა და 6-7 ტყვიამფრქვევით, რომლებიც საბორტო ამბრაზურებში იყო განლაგებული. ორიგინალური იყო მანქანის სავალი ნაწილი, ჯავშანეკრანი მუხლუხების ზემოთა ნაწილს ფარავდა, რითაც მაღალი წინაღობის გადალახვას აძნელებდა. თავისი არსით, „კოლოსალი" საარტილერიო ბატარეასა და მეტყვიამფრქვევეთა ოცეულს წარმოადგენდა, რომელიც ერთ მოძრავ სიმაგრეში იყო მოთავსებული, ეკიპაჟის რაოდენობაც (22 მებრძოლი) ტანკისთვის რეკორდული იყო. რკინიგზით მისი ტრანსპორტირებისას მანქანის 15-20 ნაწილად დაშლა იყო გათვალისწინებული.

10 შეკვეთილი ტანკიდან ომის დამთავრებამდე ქარხანამ („რიბე") მხოლოდ ერთის გაკეთება მოასწრო, მეორისა მხოლოდ კორპუსი და ძირითადი აგრეგატები იყო მზად. გერმანიის კაპიტულაციის შემდეგ კი ყველაფერი ჯართად დაიჭრა.

## სახმელეთო კრეისერები

1916 წელს, ბრძოლის ველზე ტანკების გამოჩენის შემდეგ, „თაიმსის" სამხედრო კორესპონდენტი წერდა: შესაძლოა, მალე ვიხილოთ ბრძოლებში სახმელეთო კრეისერებიო. ეს პროგნოზი უსაფუძვლო არ ყოფილა. ჯერ კიდევ 1915 წელს ბრიტანეთი ინჟინერ ჰითერიქტონის სახმელეთო კრეისერის შექმნის გეგმას განიხილავდა. ეს უნდა ყოფილიყო სამბორბლიანი (თითოეული 12 მეტრი დიამეტრის) მანქანა, აღჭურვილი ექვსი 102 მმ-იანი ქვემეხითა და 12 ტყვიამფრქვევით (მასა 1000 ტონა). ეს პროექტი ესკიზის დონეზევე უარყვეს.

გახსენების ღირსია „მექანიზებული ომების" წინასწარმეტყველის, ჯონ ფულერის სიტყვები: „ამ შეჯავშნული მანქანების ფლოტები გამაგრებულ ფორტებს (ციხესიმაგრეებს) შორის იმოძრავებენ და ერთმანეთს საზღვაო ხერხებითა და ილეთებით გაანადგურებენ".

ფრანგული სატანკო ნაწილების შემქმნელ გენერალ ეტიენის აზრით კი (1921 წ), სატანკო შეტევას წინ უნდა გასძღოლოდნენ 50-100 ტონის მქონე გამრღვევი ტანკები. ასეთი ციფრები იმ დროს არავის აფრთხ-



A7V



A7V-ს ჭრილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობდა, რადგან ტანკები მაშინ „სიყმაწვილის“ ხანაში იყვნენ, მიმდინარეობდა ოპტიმალური კონსტრუქციების ტიპებისა და ზომების ძიება.

დიდი დისკუსია გამოიწვია პოლკოვნიკ ველპრის 600-ტონიანი ტანკის პროექტმა. ტანკზე 155 მმ-იანი და 75 მმ-იანი ქვემეხების დამონტაჟება იყო განზრახული. კამათი პრესაში მიმდინარეობდა. პოლკოვნიკი ახალი ტანკის ბრძოლას საზღვაოსახაზო ხომალდების ბრძოლას ადარებდა, რაზეც ოპონენტები პასუხობდნენ, რომ თუ ტანკების საველე არტილერიასთან დაპირისპირებას სახაზო ხომალდის სანაპირო არტილერიასთან ბრძოლას შევადარებთ, მაშინ საველე არტილერიის უპირატესობა აშკარა იქნებაო.

საფრანგეთში გამარჯვებულ პოზიციურ სკოლას ტანკები არა მხოლოდ საზღვაო ბრძოლასთან ანალოგიისა და ღრმა შეტევების თვალსაზრისით აინტერესებდა. ამ სკოლის აზრით, ტანკების მთავარი დანიშნულება მოწინააღმდეგის თავდაცვის მოწინავე ხაზის გარღვევა იყო. საბრძოლო მანქანების დიდი მასაც ამით უნდა ყოფილიყო განპირობებული.

ფირმა FCM-მა ჯერ კიდევ პირველ მსოფლიო ომში მიიღო 300 მძიმე ტანკის 2C-ის შეკვეთა. ომის დასასრულისთვის ეს რაოდენობა ათამდე შემცირდა. 2C-ს კორპუსს მუხლუხები უვლიდა გარს. 75 მმ-იანი ქვემეხი და ტყვიამფრქვევი ცალ-ცალკე კოშკურებზე იყო დამონტაჟებული, რის გამოც საომარი მანქანა ძალზე მაღალი იყო. ჯავშანი გერმანულ 77 მმ-იან საველე ქვემეხზე იყო გათვლილი. ტანკს ჰქონდა ორი კარბიურატორიანი ძრავა (რეპარაციის პირობებით გერმანიისგან წამოღებული) და ელექტროტრანსმისია. მისი სიჩქარე 12კმ/სთ იყო.

1928 წელს ერთი 2C გააუმჯობესეს, ქვემეხი 155 მმ-იანით შეუცვალეს, გაუმაგრეს ჯავშანი და გამოუცვალეს ძრავა. მოდერნიზებული 2C dis-ს მასა 74 ტონას აღწევდა. ასე ჩაეყარა საფუძველი მძიმე კლასის ტანკების ზემოთა ზღვარს – 75-80 ტონა. დაახლოებით ამდენივეს იწონიდა დედამიწის ერთ-ერთი ყველაზე დიდი სულდგმული – ხვლიკი ბრაქიოზავრი. ბრძოლაში 2C-ს გამოცდა მაინც ვერ მოხერხდა, 1940 წელს ფრონტისკენ მიმავალი ეშელონი, რომელზეც 6 ცალი გადარჩენილი 2C ტანკი იყო, გერმანელებმა დაბომბეს.



2C

ჟენევის კონფერენციაზე ფრანგები კომისიას სთავაზობდნენ, 92 ტონაზე მეტი წონის ტანკები თავდასხმის იარაღად ჩაეთვალათ, რადგან იცოდნენ, რომ გერმანიას იმ დროისათვის უკვე დაწყებული ჰქონდა დასავლეთის საზღვარზე „ზიგფრიდის ხაზის“ მშენებლობა და 1938 წელს ფრანგებმა დაიწყეს ზემძიმე ტანკის F1-ის დამუშავება. საკონსტრუქტორო ბიურო FCM-მა და ფირმა FCM-მა დამკვეთებს რამდენიმე ვარიანტი შესთავაზეს. 1940 წლის გაზაფხულზე FCM-მა წარმოადგინა 140-145-ტონიანი მასის მქონე სრულმასშტაბიანი მაკეტი, გრძელლულიანი 90 და 47 მმ-იანი ქვემეხებით, რომლებიც ორ კოშკურაზე იყო დამონტაჟებული. გარდა ამისა, ტანკი აღჭურვილი იყო სამი ტყვიამფრქვევით. ამ საომარ მანქანას 2C-ზე ორჯერ მეტი სისწრაფე, 24 კმ/სთ უნდა ჰქონოდა. მეორე მსოფლიო ომმა პროექტზე მუშაობა ჩაშალა. თავის მხრივ, გერმანია ამ დროს საფრანგეთის მაჟინოს ხაზის გარღვევაზე ოცნებობდა. გენერალი გუდერიანი ჯერ კიდევ 1937 წელს ამბობდა, რომ მაჟინოს ხაზის გასარღვევად საკმარისი იყო 100 მმ-იანი ქვემეხებით აღჭურვილი 75-100-ტონიანი ტანკების მცირე რაოდენობაც კი, მაგრამ გერმანელები უფრო გონივრულად მოიქცნენ, – ყურადღება მანევრირებად საშუალო ტანკებზე გაამახვილეს.



FCM-F1

იაპონელებიც კი, რომელთაც ყოველთვის მსუბუქი საომარი მანქანები მოსწონდათ, ვერ ასცდნენ ზემძიმე ტანკებზე ოცნებას. 1939 წელს იაპონიაში დაამუშავეს სამკოშკურიანი 100 ტონა მასის მქონე ტანკის პროექტი, რომელზეც ერთი 105 მმ-იანი და ორი 47 მმ-იანი ქვემეხი იყო დამონტაჟებული. სავარაუდოდ, მძიმე იაპონური ტანკების მშენებლობა ხის მაკეტებს ვერ გასცდა.

## მთავარსარდლობის რეზერვი

1929 წელს საბჭოთა მექანიზაციისა და მოტორიზაციის სამმართველოში „დიდი ტანკის“, 60-80-ტონიანი კონსტრუქციის დამუშავების ბრძანება გაიცა. JUGE-ს ავტოსატანკო-სადიზელო განყოფილების დამუშავებული 75-80-ტონიანი საიერიშო ტანკის პროექტი უვარგისი გამოდგა.

1932 წელს სამხედრო აკადემიაში განიხილეს 80-ტონიანი საიერიშო ტანკის პროექტი, რომელსაც დიზელის ძრავა, პლანეტური ტრანსმისია და ჰიდროპნევმატური საკიდრები ექნებოდა. ეს ნაკრები ძალზე ეფექტიანი იქნებოდა, მაგრამ მაშინდელ საბჭოთა მრეწველობას საამისო რესურსი არ გააჩნდა.

იმ წლებში ლენინგრადის სატანკო ქარხანა „ბოლშევიკის“ საკონსტრუქტორო ბიუროში გერმანელი ინჟინერი ზ. გროტე მუშაობდა. 1932 წელს მისმა ჯგუფმა წარმოადგინა 70-75 ტონა მასის მქონე ტანკ ТГ-VI-ის პროექტი, რომლის ბაზაზეც დაამუშავეს სამ კოშკურაზე განლაგებული 107, 76 და 45 მმ-იანი ქვემეხებით აღჭურვილი 100-ტონიანი Т-42, რომელიც გარდა ქვემეხებისა, ტყვიამფრქვევებითაც იყო აღჭურვილი, ჰქონდა 2000-ცხენისძალიანი ძრავა, ელექტროტრანსმისია და საყრდენი საგორავების ინდივიდუალური საკიდრები.

ლენინგრადის „სპეცმაშტრესტის“ საცდელ ქარხანაში, ნ.ვ. ბარიკოვისა და პ.ნ. სინჩატოვის ხელმძღვანელობით, დამუშავდა 90-ტონიანი ოთხკოშკურიანი Т-35 ტანკის რამდენიმე ვარიანტი, რომელსაც 12-კაციანი ეკიპაჟი მოემსახურებოდა. მის




1931 წელს ინჟინერმა გროტემ წარმოადგინა 1000-ტონიანი ექვსკოშკურიანი ზეტანკის პროექტი... ზომებზე წარმოდგენის მისაღებად გთავაზობთ მის შედარებას სხვა გიგანტ ტანკებთან

აღჭურვილობაში შედიოდა ოთხი 107 მმ-იანი (ან ერთი 152 მმ-იანი და ორი 107 მმ-იანი) ქვემეხი, ორი 45 მმ-იანი ზარბაზანი, 2-4 ტყვიამფრქვევი და ცეცხლმფრქვეველი. 1200-ცხენისძალიან ძრავას უნდა უზრუნველეყო 24-33 კმ/სთ სიჩქარე.

1933 წლის ივნისში სამეცნიერო ტექნიკურმა კომიტეტმა განიხილა ТГ-МШ-ის, Т-39-ისა და იტალიური ტანკ „ანსალდოს" პროექტები. ბარიკოვსა და სინჩატოვს სთხოვეს, გაეგრძელებინათ პროექტზე მუშაობა, მაგრამ ამ ტანკების წარმოება ხის მაკეტების დონეზე შეჩერდა. ამავე დროს წარმოებაში ჩასაშვებად ამზადებდნენ 50-ტონიან (ბარიკოვის დამუშავებულ) Т-35-სა და Т-42-ს, რომელთა დამუშავებაც უცებ შეწყდა.

ჯერ კიდევ 1931 წელს გროტემ წარმოადგინა 1000-ტონიანი ექვსკოშკურიანი ზეტანკის პროექტი. რამდენიმე ძრავა ერთად 24000 ცხენის ძალას გამოიმუშავებდა და ჰიდრომექანიკური ტრანსმისია 60 კმ/სთ-ის სიჩქარეს განავითარებდა. თითოეული ბორტის მოძრაობას სამი წყება (ექვსი ერთად) მუხლუხი უზრუნველყოფდა. ეს პროექტი უტოპიად ჩათვალეს და, რა თქმა უნდა, მასზე უარი თქვეს. თუმცა კომისია 500-600-ტონიანი ტანკით დაინტერესდა და 1933 წლისთვის კონსტრუქტორ დანჩენკოს ჯგუფმა დაამუშავა 500-ტონიანი ტანკის პროექტი ექვსი ქვემეხით, 12 ტყვიამფრქვევით, სამი ცეცხლმფრქვევლითა და ერთი ნაღმსატყორცნით. ამ ურჩხულს 60-კაციანი ეკიპაჟი უნდა მომსახურებოდა, 6000-ცხენისძალიან ძრავას კი საათში 30 კილომეტრი სიჩქარე უნდა განევითარებინა. ეს მოდელი მართლაც რომ შეესატყვისებოდა სახმელეთო კრეისერის კონცეფციას...

მიუხედავად იმისა, რომ მძიმე ტანკების გამოყენებას თავად საბჭოთა კონსტრუქტორებიც ეჭვით უყურებდნენ, მათ პროექტებზე მუშაობა მაინც მიმდინარეობდა. ერთ-ერთი უკანასკნელი ცდა ზემძიმე ტანკის შექმნისა იყო. ვ.ნ. ცეიცის პროექტით, КВ-5 100 ტონას იწონიდა, 107 მმ-იანი ქვემეხის დასადგმელად კოშკურა მაღალი უნდა ჰქონოდა. მექანიკოს-მძღოლის ადგილი კი




მსროლელ-რადისტის გვერდით იყო გათვალისწინებული, რომელიც ტყვიამფრქვევის კოშკურას ესაზღვრებოდა. 1200-ცხენისძალიანი ძრავას უქონლობის გამო სიმძლავრის შეკრება ორი 600-ცხენისძალიანი დიზელის მოტორის შეწყვილების ხარჯზე გადაწყდა. პროექტზე კონსტრუქტორის ხელმოწერა 1941 წლის 22 აგვისტოთია დათარიღებული. ამ დროს გერმანელები უკვე ლენინგრადს უახლოვდებოდნენ და კიროვის სახელობის ქარხნის ჩელიაბინსკში ევაკუაციის გამო პროექტზე მუშაობა შეჩერდა. შემდეგ ომმა სარდლობა აიძულა, ყურადღება სერიული ტანკების გაუმჯობესებასა და მათი რაოდენობის გაზრდაზე გაემახვილებინა.

საბჭოთა კავშირში ზემძიმე ტანკების განხორციელებულ პროექტებს შორის ყველაზე წარმატებული იყო 68-ტონიანი ИС-7 (იოსებ სტალინი), რთული კონსტრუქციით კი 60-ტონიანი ИС-4 გამოირჩეოდა. ორივე ომის შემდეგ გამოჩნდა შეიარაღებაში.

## გერმანული „თაგვები"

შეიარაღების ისტორიაში ყველაზე მძიმე ტანკი გერმანელებმა შექმნეს. 1942 წლის ივნისში, როცა მძიმე ტანკ „ტიგრზე" მუშაობა თითქმის დამთავრებული იყო, ჰიტლერთან ერთ-ერთი თათბირის დროს წარმოიშვა აზრი, შეექმნათ 128 ან 150 მილიმეტრი კალიბრის ქვემეხის მქონე ტანკი, რომელსაც მაქსიმალურად სქელი ჯავშანი ექნებოდა. „205"-ის პროექტის დამუშავება პროფესორ ფერდინანდ პორშეს მიანდვეს. მუშაობაში ჩართეს ფირმები „კრუპი", „დაიმლერ-ბენცი", „სიმენს-შუკარტი", „შკოდა" და „ალკეტი".

1943 წლის 6 მაისს, ხის მაკეტის დემონსტრაციის შემდეგ, ჰიტლერმა ხელი მოაწერა სამუშაოების დაწყებას. ტანკის შექმნის ერთადერთი საფუძველი კვლავ მისი, როგორც სახმელეთო კრეისერის გამოყენება იყო, — იმარჯვებს ის, ვისაც შორსმსროლელი ქვემეხი და კარგი ჯავშანი აქვს. ტანკს „მაუსი" უწოდეს, რაც ჩვენებურად „თაგვს" ნიშნავს. 1944 წლის იანვარ-მარტში გამოცადეს „მაუსის" პირველი პროტოტიპი — 205/1 კარბიურატორიანი ძრავათი. შემოდგომისთვის მას უკვე კოშკურაც ჰქონდა. ასე რომ, „მაუსი" შეიძლება იმ ერთადერთ ზემძიმე ტანკად ჩაითვალოს, რომელმაც გამოცდა ომში გაიარა და სერიულ წარმოებაში ჩაშვებამდე ერთი ნაბიჯი დააკლდა. 200-240 მილიმეტრის სისქის ჯავშნისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა



ИС-3

ორი 128 და 75-მილიმეტრიანი ქვემეხის მქონე მანქანა წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდა. ნიჭიერმა კონსტრუქტორმა პორშემ „მაუსში“ რამდენიმე ორიგინალურ იდეას შეასხა ხორცი. ფრანგების მსგავსად მან ელექტრომექანიკური ტრანსმისია გამოიყენა, რომელიც გაცილებით მოსახერხებელი იყო. მისი მართვა „ტიგრთან“ შედარებით ძნელი არ იყო. ეკიპაჟი მხოლოდ 5-6 კაცისაგან შედგებოდა. ტანკს ქვემეხის ლულის ღარის გასანიავებელი მოწყობილობა ჰქონდა, მდინარეებისა და წყალსატევების გადალახვა ფსკერის საშუალებით იყო დაგეგმილი, რადგან კოლოსალური წონის გამო ხიდი ნაკლებად თუ გაუძლებდა. ელექტროენერგია და მართვის სიგნალები ფსკერზე მოძრავ მანქანას ელექტროსადენის მეშვეობით გადაეცემოდა, რომელიც ნაპირზე მდგარ მეორე მანქანასთან იქნებოდა მიერთებული. ტყვიამფრქვევების უქონლობის გამო „მაუსი“ ქვეითებს ან სხვა ტანკებს უნდა დაეცვათ. აქედან გამომდინარე, იკვეთება მისი ძირითადი დანიშნულება, — ტანკსაწინააღმდეგო „ციხესიმაგრე“ საველე თავდაცვის გასაძლიერებლად. მიუხედავად იმისა, რომ გაიცა თვეში 10 „მაუსის“ აგების ბრძანება, 1944 წლის დეკემბერში ჰიტლერმა ბრძანება გააუქმა. ვარაუდობენ, რომ სამხედრო მრეწველობის მინისტრმა შპეერმა და გენერალური შტაბის უფროსმა გუდერიანმა, რომელთაც კარგად ესმოდათ ასეთი მანქანის წარმოების არარეალურობა და გიგანტების ბრძოლაში გამოუსადეგარობა, საწადელს მიაღწიეს. მესამე რაიხს კი ექსპერიმენტებისათვის უკვე აღარ ეცალა.

1945 წლის აპრილში, როცა საბჭოთა ჯარები კუმერსდორფის სამხედრო-საცდელ პოლიგონს უახლოვდებოდნენ, ორივე „მაუსის“ ნიმუში აafეთქეს. „მაუსების“ ნარჩენები და სათადარიგო აგრეგატები 1946 წელს მოსკოვის მახლობლად, კუბანკის საცდელ პოლიგონზე ჩაიტანეს და ააწყვეს, გამოიკვლიეს და გამძლეობაშიც გამოცადეს (ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხების ჭურვები ესროლეს). კვლევის შემაჯამებელ ოქმში აღნიშნული იყო რიგი საინტერესო გადაწყვეტები, კონსტრუქციისა და ცალკეული კვანძის მაღალ დონეზე შესრულება.

1943 წელს ვერმახტის სახმელეთო ჯარების სამმართველომ ფირმა „ადლერს“ ტანკ E-100 პროექტის დამუშავება დაავალა. დღეს ის სამხედრო-ისტორიული მუზეუმის ექსპონატია.

ინდექსი „E“ (Entwicklung), ნიშნავდა, რომ პროექტი პერსპექტიულ ჯავშანსატანკო შეიარაღებას მიეკუთვნებოდა. E-100 140 ტონა და 150 ან 170-მილიმეტრიანი ქვემეხით უნდა ყოფილიყო აღჭურვილი, მაგრამ როცა გიგანტების პრიორიტეტი გაუქმდა, „ჰეინკელის“ ქარხანაში მასზე სამუშაოდ მხოლოდ სამი მუშა დატოვეს, რომელთა აწყობილი შასი ინგლისელებს ჩაუვარდათ ხელთ.

1942 წელს, როცა „მაუსზე“ მუშაობა მიმდინარეობდა, კვლავ წამოყო თავი გროტემ. მან დოქტორ გეკერთან ერთად ტანკ P.1000-ის პროექტზე დაიწყო მუშაობა, რომელსაც „ვირთაგვა“ უწოდა. ამ ურჩხულს მასა 1000 ტონა, სიგრძე 35 მეტრი, სიგანე – 14, სიმაღლე კი 11 მეტრი უნდა ჰქონოდა. აღჭურვილი უნდა ყოფილიყო ორი 280-მილიმეტრიანი და ერთი 128-მილიმეტრიანი საზღვაო ქვემეხით. თვითმფრინავების წინააღმდეგ საბრძოლველად ექნებოდა ექვსი-რვა 20-მილიმეტრიანი საზენიტო ავტომატი. „ვირთაგვა“ რამდენიმე საზღვაო სახომალდო ძრავათი იმუშავებდა.

1942 წელს „კრუპის“ ფირმამ მოამზადა P.1500 ტანკის პროექტი, რომელიც 1500 ტონას იწონიდა და 800-მილიმეტრიანი ქვემეხ „დორას“ ერთგვარ პლატფორმას წარმოადგენდა. მის ასამოძრავებლად ფირმა წყალქვეშა ნავის ოთხი ძრავას გამოყენებას აპირებდა. 1943 წელს შეიარაღების მინისტრმა შპეერმა ამ ურჩხულზე მუშაობაც შეაჩერა.

## მოკავშირეთა „კუები“

ინგლისელების საიერიშო ტანკების მშენებლობას მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე შეუდგნენ. მათი აზრით, ამ ტანკების წარმატებით გამოყენება კონტინენტზე „ზიგფრიდის ხაზის“ მსგავსი სიმაგრეების



КВ-5

ეროვნული ბიბლიოთეკა



A-39

წინააღმდეგ იყო შესაძლებელი. 1939 წელს შეიქმნა კომიტეტი, რომელშიც ბრიტანული ტანკმშენებლობის ვეტერანები — ა. სტერნი, ი. დ. ენკური, ე. სუინტონი, გ. რიკარდო და უ. ვილასონი გაერთიანდნენ და 1940 წლის ოქტომბერში შექმნეს ტანკ TOG-1-ისა და TOG-2-ის საცდელი მოდელები. მათი მცდელობა უფრო ძველი კანონების ერთგულების დამტკიცება იყო, ვიდრე სიახლისაკენ სწრაფვა. ტანკის საკიდრები უხეში გამოვიდა, ძველმა კონსტრუქტორებმა მას დაუყენეს კოშკურა 76-მილიმეტრიანი ქვემეხითა და ელექტროამძრავით. ტანკს ჰქონდა ელექტროტრანსმისია, მუხლუხები, ისევე როგორც 2C-ს, მთლიანად გარს უვლიდა კორპუსს. 600-ცხენისძალიანი მოტორი 81 ტონის მასის მქონე ტანკისთვის სუსტი იყო. TOG2-ი სერიულ წარმოებაში ვერ ჩაუშვეს. ახლა ეს საცდელი მოდელი სამეფო სატანკო მუზეუმის ექსპოზიციას ამშვენებს ქალაქ ბოვინქტონში. ჩრდილოეთ აფრიკაში მიმდინარე სატანკო ბრძოლებიდან გამომდინარე, ინგლისელებმა გადაწყვიტეს შეექმნათ საიერიშო ტანკი, რომელიც ცნობილი ტანკსაწინააღმდეგო საშუალებისაგან იქნებოდა დაცული. მისი პროექტის დამუშავების შეკვეთა ფირმა „ნაფილდმა“ მიიღო, რომელსაც მ. ტომსი ხელმძღვანელობდა. მის მიერ შექმნილ ტანკ „ტორტოიზის“ (კუ) ბაზად კონსტრუქტორმა A39 გამოიყენა. „ტორტოიზის“ წონა 80 ტონას შეადგენდა. მექანიკური ტრანსმისია ადგილზე შემობრუნების საშუალებას იძლეოდა, ჰქონდა გრძელლულიანი 95-მილიმეტრიანი ქვემეხი და 225-მილიმეტრიანი ჯავშანი. თავიდან 25 „ტორტოიზი“ შეუკვეთეს, მაგრამ თანდათან მის მიმართ ინტერესი გაქრა. 1948 წლისთვის ორი ცალი „კუ“ გერმანიაში ბრიტანეთის საოკუპაციო ზონაში რკინიგზით გაგზავნეს, ტრანსპორტირების შესაძლებლობის შესამოწმებლად.

ამერიკელებმა 1943 წელს თავიანთ საარტილერიო-ტექნიკურ სამსახურს „საიერიშო ტანკის“ შექმნა დაავალეს. შედეგად, მიიღეს 90 ტონა მასის მქონე T-28, რომელსაც შუბლის ჯავშნის რეკორდული, 305 მილიმეტრი სისქე და 105-მილიმეტრიანი ქვემეხი ჰქონდა. საბრძოლო კომპლექტში შედიოდა ჯავშანგამტარი და ბეტონგამტანი ჭურვები — ამერიკელები გერმანიის „დასავლეთის რკალის“ შტურმს აპირებდნენ. ხუთი T-28 კომპანია „პასიფიკ კარ ენდ ფაუნდრის“ შეუკვეთეს, 1948 წლის მაისში, როცა გერმანიამ კაპიტულაცია გამოაცხადა. იაპონიასთან ომის დამთავრების შემდეგ შეკვეთა ორ მანქანამდე შეამცირეს და 1947 წლამდე ცდიდნენ ამერიკაში. ერთი T-28 პატონის მუზეუმის ექსპონატად გადაიქცა ქალაქ ფორტ-ნოქსში.

შემდეგი საცდელი ამერიკული საიერიშო ტანკის მოდელი 90-ტონიანი T-30 იყო, რომელსაც 155-მილიმეტრიანი ქვემეხი ჰქონდა, მაგრამ ამ დროს ზემძიმე ტანკების დღეები უკვე დათვლილი იყო.

საბოლოოდ ნათელი შეიქნა, რომ ტანკი, რომელიც რკინიგზის პლატფორმაზე ვერ თავსდება, ვერ გადაივლის ხიდს, დღეს კი მძიმე სატრანსპორტო თვითმფრინავშიც ვერ ეტევა, თითქმის უვარგისია. ამის გამოა, რომ თანამედროვე ტანკების მასა 50-60 ტონას არ აღემატება.

**არც ერთ ზემძიმე ტანკს არ უბრძოლია, ეს მიმართულება თავიდანვე განწირული აღმოჩნდა...**



TAG-2

ეროვნული ბიბლიოთეკა



**იაპონელები ბევრი რამით აკვირვებენ მსოფლიოს. ერთ-ერთი ყველაზე საკვირველი, იაპონელთა უსაყვარლესი სპორტი, სუმო გახლავთ. მართლაც გასაოცარია როგორი აღტყინებითა და აზარტით ქომაგობენ ზოგადად მოკრძალებული გაბარიტების იაპონელები გიგანტების ბრძოლას. მართალია ვერავინ (იაპონელთა დაუძინებელი მტერიც კი) იტყვის, იაპონელები ჩია ერიაო (სიჩიავეში მარტო ფიზიკური გარეგნობა არ გვიგულისხმია), მაგრამ საშუალო სუმოისტი ოთხ საშუალო სტატისტიკურ იაპონელზე მეტს რომ იწონის, ეს უკვე ბევრი რამის მთქმელია...**

სუმოს წარმოშობის ზუსტს კი არა, მიახლოებით თარიღსაც ვერავინ დაგისახელებთ. თავად იაპონელები კი გეტყვიან, რომ მათი ნაციონალური ორთაბრძოლა ჯერ კიდევ ძველიაპონური ლიტერატურის პირველ წყაროში (ძვ. წ. აღ. 712), სინთოისტურ სამწიგნეში, „კოძიკიშია“ მოხსენიებული. კიდევ ერთი ეპიზოდი სხვა წერილობით წყაროში, „ნიხონ სიოკიშია“ აღწერილი. აქ ნაამბობია, როგორ შეერკინა ერთმანეთს ორი მძლეოსანი. ყველაზე ძლიერმა მეტოქე მოკლა. მას ჯილდოდ დამარცხებულის ქონება და იმპერატორის კარზე სამსახური უბოძეს, სიკვდილის შემდეგ კი მოჭიდავეთა მფარველ ღვთაებად აღიარეს. ეს ორივე ეპიზოდი უფრო ლეგენდა უნდა იყოს, ვიდრე ისტორიული ფაქტი. თავად სიტყვა „სუმო“ (სუმაჰი) პირველად „ნიხონ სიოკიში“ გვხვდება და ძველიაპონური „სუმაფიდან“ („ღონეში გაჯიბრება“) მოდის. ასეული წლის განმავლობაში ჯერ „სუმაის“ ამბობდნენ, მერე კი „სუმოს“. ბევრის აზრით, ეს ორთაბრძოლა იაპონიაში კორეიდან მოხვდა. ეს არც არის გასაკვირი, იაპონიის სახელმწიფო ხომ კორეის მაგალითზე შენდებოდა.

იმპერატორის სასახლეში ჩემპიონატების გამართვის ტრადიცია იაპონიის რენესანსს (794-1192) ემთხვევა. უძლიერესთა ასარჩევად მეფის დიდებულები ჯერ კიდევ გაზაფხულიდან მიემგზავრებოდნენ ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში, რომ შემოდგომაზე მოჭიდავეები „მსოფლიოსა და სიმშვიდის დედაქალაქში“ ხეიანეში (კიოტო) შეერკინებოდნენ ერთმანეთს.

მსაჯები მაშინ არ ჰყავდათ, ორთაბრძოლას სასახლის დაცვის სამხედრო პირები ადევნებდნენ თვალს, რომ არ დაეშვათ აკრძალული ილეთის გამოყენება (თავის დარტყმა, წაქცეულისთვის ფეხის ჩარტყმა, თმით დათრევა და ა.შ.). თუ შედეგი სადავო იყო, განსასჯელად რომელიმე არისტოკრატს მიიწვევდნენ. თუ ისიც შეყოყმანდებოდა, არბიტრი თავად იმპერატორი ხდებოდა, — მისი გადაწყვეტილება საბოლოო იყო. გამარჯვებულს ჩემპიონის ტიტულსა და ძვირფას საჩუქრებს უბოძებდნენ. რადგან ტურნირში სხვადასხვა ფენის მოჭიდავეები მონაწილეობდნენ, პარადოქსული სიტუაციაც ბევრი იყო. მაგალითად, გლეხი მოჭიდავეები ტურნირის გამო, რომელიც მოსავლის აღებას ემთხვეოდა, ყანებში ვერ მუშაობდნენ, ამიტომაც კანონის თანახმად, შინ დაბრუნებისთანავე პატიმრობა ელოდათ. ისჯებოდნენ ის გუბერნატორებიც, რომლებმაც რეკომენდაცია გაუწიეს გლეხ მოჭიდავეებს სატურნიროდ.

უკანასკნელი ტურნირი 1147 წელს ჩატარდა, სამურაების ხელისუფლების დამყარებამდე ცოტა ხნით ადრე.

რამდენიმე ასეული წლის განმავლობაში სუმო თითქოს მიივიწყეს, მაგრამ კულტურისა და ტრადიციების ერთგულებამ თავისი ქნა და ისევ აღორძინდა. შუა საუკუნეებში თითქმის ყველა დიდ ფეოდალს ჰყავდა საუკეთესო



სუმოს სკოლაში სწავლას ბავშვობიდანვე იწყებენ. კლუბებში 10 წლის ბიჭებს იღებენ...



მოქმედ ჩემპიონს რიტუალური სინთოისტური თოკი — მავნე სულების განმდევნი იოკოძუნა აქვს წელზე მოხვეული

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბრძოლის დაწყების წინ სუმოტორები ხელი ხელს შემოჰკრავენ და ფეხებს, რაც შეიძლება მაღლა სწევენ, მერე კი მთელი ძალით ურტყამენ იატაკს.

მოჭიდავეები მამულში და დროდადრო ტურნირებსაც ატარებდნენ. სწორედ მაშინ გაჩნდნენ პროფესიონალი სუმოტორები რონინების ფენიდან – უპატრონოდ დარჩენილი სამურაებიდან.

მე-18 საუკუნის დამდეგს ტოკუგავას სიოგუნების ხელისუფლების დამყარებასა და ქვეყნის იზოლაციას ხალხური ხელოსნობის, ნატიფი და სანახაობრივი ხელოვნების განვითარება მოჰყვა. მოჭიდავეების სახელებს მთელ ქვეყანაში იცნობდნენ, კაბუკისა და ნოოს თეატრების მსახიობების დარად. საქმე იქამდე მივიდა, რომ ტიპოგრაფიებმა დაიწყეს მოჭიდავეთა, მათი ტიტულებისა და თავისებურებების (ბანძუკე) სიების გამოქვეყნება. გრავიურები, რომლებზეც ცნობილი სუმოტორები იყვნენ გამოსახული, უზარმაზარი ტირაჟებით იბეჭდებოდა და თვალის დახამხამებაში იყიდებოდა. სუმოს ოქროს ხანა დაუდგა. თითქმის საბოლოოდ ჩამოყალიბდა ორთაბრძოლის ჩატარების წესებიც, რანგების სისტემა და ჩემპიონების ტიტულები, რაც ზოგიერთი დამატებით დღემდე არსებობს. იოკოძუნას ტიტული ესიდა ოიკაძემ შემოიღო, როგორც საუკეთესოთა შორის საუკეთესოს აღმნიშვნელი. ტოკუგავას პერიოდშივე დამტკიცდა სუმოს 72 კანონიკური ილეთი, რომელთაც სიმარიტე ეწოდება.

ქვეყნის რეფორმირებისა და ვესტერნიზაციის შემდეგ, მგონი, მხოლოდ სუმოტორებს არ დაუკარგავთ თვითმყოფადობა და საუცხოო სამურაული ვარცხნილობა ტემაგე. რეფორმირების ზოგიერთი თავგადაკლული მიმხრე ცდილობდა, აეკრძალა სუმო, როგორც სამურაული იაპონიის გადმონაშთი, მაგრამ საბედნიეროდ, ეს ვერ მოახერხეს. ხელისუფლებაში მოსული იმპერატორ მუცუჰიტოს მხარდაჭერით, გაუქმების ნაცვლად, 1909 წელს დაწესდა ყოველწლიური ჩემპიონატების ჩატარება. ამისთვის უზარმაზარი კომპლექსი კოკუჰიკანიც აშენდა.

თანამედროვე იაპონიაში სუმო კულტურის განუყოფელი ნაწილია. ნამდვილმა სუმოტორიმ დიდებამდე ძალზე ძნელი გზა უნდა გაიაროს, რომლის დაძლევა ბევრს არ შეუძლია. ის, ვინც გადაწყვეტს მოჭიდავე გახდეს, ამ საქმეს მთელი სიცოცხლე უნდა მიუძღვნას. პროფესიული სუმოს ფედერაციის წევრთა ცხოვრება მკაცრად რეგლამენტირებულია და უფრო სამხედრო პირისას ჰგავს, ვიდრე სპორტსმენის. უმაღლესი ლიგის სუმოტორი რომ გახდე, წლების განმავლობაში ქანცგამომცლელი ვარჯიში და მიზნისკენ სწრაფვაა საჭირო. სუმოტორიმ, უპირველეს ყოვლისა, ორ, ერთი შეხედვით, შეუსაბამო რამეზე უნდა იფიქროს: მოქნილობის გამომუშავებასა და წონის მომატებაზე. და ამას აღწევენ კიდეც, – ყველა სუმოტორი, ისინიც კი, ვინც 300 კილოგრამს იწონიან, საოცრად მკვირცხლი და მოქნილი არიან. ასე რომ, გამარჯვებისთვის მთავარია არა მხოლოდ წონა, არამედ მოქნილობაც და გამჭრიახობაც. თავად განსაჯეთ: 1999 წელს, მსოფლიოს მე-8 ჩემპიონატის ერთ-ერთ ორთაბრძოლაში 105-კილოგრამიანმა ფალავანმა 350-კილოგრამიანი სუმოისტი დაამარცხა.

სუმოს სკოლაში სწავლას ბავშვობიდანვე იწყებენ. კლუბებში 10 წლის ბიჭებს იღებენ. მომავალი სუმოისტი ახალ მეტსახელს იღებს (სიკონა), რომლითაც შემდგომში შეჯიბრებებში გამოვა.

სპეციალური დიეტისა და დღის განრიგის წყალობით ახალბედები სწრაფად სუქდებიან. დილაადრიან დგებიან და უზმოზე ვარჯიშს იწყებენ. ვარჯიში შუადღემდე გრძელდება, რომლის შემდეგ ყველა აბაზანას იღებს და სასაუზმოდ მიდის. ჭამენ განუსაზღვრელი რაოდენობით. ყოველდღიურ რაციონში შედის საგანგებო კერძი – ტიანკო, რომელიც დიდ ქვაბში მზადდება პირდაპირ მაგიდაზე. მიირთმევენ ღორის, ძროხისა და ფრინველის ხორცს, სხვადასხვა სანელებლით შეზავებულ ბულიონში მოხარშულ კრევეტებს ან მოლუსკებს. გარნირად სოკოს, ტოფუს (სოიის ხაჭოს), ხახვს, ბოლოკს, ჩინურ კომბოსტოს, კვერცხებს, ცხარე კორეულ სტაფილოს, ატრიას, ბრინჯსა და ბრინჯის ლავაშებს. სურვილისამებრ სვამენ საკეს და ლუდს, რაც მაღალკალორიულ დიეტასთან ერთად ახალბედებს სწრაფად ასუქებს.

შეჯიბრების წინ სუმოტორები, რადგან ძალზე ცრუმორწმუნენი არიან, საქონლისა და ღორის ხორცს ქათმისას ამჯობინებენ. ღორები და ძროხა ოთხფეხები არიან და სუმოტორის დამარცხებულ მოჭიდავეს ახსენებენ, ქათამი კი, როგორც ნამდვილი სუმოტორი, სულ ორ ფეხზე დგას.

იერარქიული კიბის ქვედა საფეხურზე მყოფი მოჭიდავეები მწვერვალისკენ სვლას იწყებენ და ყოველწლიურად მონაწილეობენ პროფესიულ, ეგრეთ წოდებულ ოოძუმოში – „დიდ სუმოში“. მიუხედავად იმისა, რომ აქ არ არსებობს მკაცრად განსაზღვრული წონითი კატეგორიები, შეჯიბრებაზე დაიშვებიან მხოლოდ წონით 70 კილოგრამს ზემოთ და სიმაღლით არანაკლებ 173 სმ-ის მოჭიდავეები.

სუმოს ექვსი ჩემპიონატიდან (ჰომბასე) თითოეული დაუვიწყარი და ლამაზი სანახაობაა. აქ ყველა მოქმედება ძველთაგანვე დამკვიდრებულ რიტუალს ემორჩილება. ჩემპიონატის დაწყებამდე 13 დღით ადრე იაპონიის სუმოს ფედერაცია აქვეყნებს ბანძეკუს (რანგების ტაბელს), რომელშიც დაწყებული დაბალი რანგიდან, ჩამოთვლილია ყველა სუმოტორი. ამ დოკუმენტს ხელით ხატავენ, განსაკუთრებული შრიფტით, ამასთან, რაც უფრო დამსახურებულია სუმოტორი, მით მსხვილად იწერება მისი სახელი. დამწყებთა სახელებს სულ პაწაწინა ასოებით წერენ. დოკუმენტის გამოქვეყნებამდე ინფორმაცია მკაცრად გასაიდუმლოებულია, ის პირები კი, რომლებიც მასზე პასუხს აგებენ, „შინაპატიმრობაში“ არიან.

ტურნირის, რომელიც 15 დღეს გრძელდება, ყოველი დღე იწყება რინგზე წელზე საცერემონიო ქამრებშემორტყმული მოჭიდავეების გამოსვლით. ფიცარნაგზე ორივე მხრიდან შემოდიან სუმოტორები და საათის ისრის საწინააღმდეგოდ შემოუვლიან გარს, თან მავნე სულების დასაფრთხობად ტაშს უკრავენ. ყველაზე საინტერესო მომენტია, როცა იოკოძუნა-ირი – მოქმედი ჩემპიონი გამოჩნდება, მდიდრული ცერემონიული ქამრით, რომელსაც თან მთავარი რეგალია – რიტუალური სინთოისტური თოკი – მავნე სულების განმდევნი იოკოძუნა („თოკი გვერდით“ – აქედან მოდის ტიტულის სახელწოდებაც) აქვს წელზე.

ოოძეკის რანგის ორ მოჭიდავესა და მთავარი მსაჯის თანხლებით ჩემპიონი ას-



თუ სუმოტორი ჩემპიონატის დაწყებამდე რინგის დატოვების სურვილს გამოთქვამს, შეჯიბრების შემდეგ მას საზეიმო ვითარებაში შეჭრიან თმის ბლუჯას.

რულებს რიტუალური მოძრაობის კომპლექსს, რაც რინგს უწმინდურებისგან წმენდს და ღმერთების ყურადღებას მიაქცევს ტურნირისკენ.

უმაღლესი დივიზიონის სუმოტორებს (მაკუტი) რამდენიმე პრივილეგია აქვთ: თავისუფლდებიან სამეურნეო სამუშაოებისგან, წვრთნის შემდეგ პირველები იღებენ შხაპს, პირველები ჭამენ, უფლება აქვთ წვრთნების დროს „ღმერთეულობითი მიზნით" ბამბუკის ხელჯოხი იხმარონ, ჰყავთ მცველები, რომლებიც ადიუტანტების ფუნქციას ასრულებენ. გარდა ამისა, მაკუტი წვიმისას ქოლგით დადის, რისი უფლებაც არ აქვს უფრო დაბალი რანგის მოჭიდავეს და ბოლოს, უფლება აქვთ ავტოგრაფი გასცენ ხელისგულის ანაბეჭდის სახით და ჰქონდეთ გულშემატკივართა კლუბი.

თავდაპირველად, რინგზე (დოჰიო) ორი სუმოტორი და ერთი რეფერი (გიოძი) გამოდიან. კიდევ 4 მსაჯი (სიმპანი) შეჯიბრებას თვალს ოთხი მხრიდან ადევნებს, ოღონდ რინგსგარეთ. ჩემპიონების შერკინებას მთავარი რეფერი (ტატე-გიოძი) განსჯის.

ორთაბრძოლის წინ ორივე მოჭიდავე ერთდროულად ასრულებს „განწმენდის" რიტუალს, შემდეგ საწყის პოზიციაში დგებიან სასტარტო ხაზზე. ფეხები ფართოდ აქვთ გაშლილი, ხელები ჩამოშვებული, მუშტად შეკრული და დაჟინებით შესცქერიან ერთმანეთს, ცდილობენ ფსიქოლოგიურად დაამარცხონ მეტოქე ჯერ კიდევ შერკინებამდე. გასულ საუკუნეებში ფსიქოლოგიური ორთაბრძოლა შეიძლებოდა განუსაზღვრელი დროით გაგრძელებულიყო, ყოფილა შემთხვევა, რომ მეტოქეთაგან ერთი უბრძოლველად დანებებულა.

შერკინება რეფერის ნიშანზე იწყება. მოჭიდავეებმა ბრძოლა ერთდროულად უნდა დაიწყონ, რინგზე ხელის შეხებისთანავე. ფალსტარტის შემთხვევაში (თუ ერთ-ერთი მათგანი რინგს არ შეეხო ხელით) ყველაფერი თავიდან იწყება, დამნაშავეს კი აჯარიმებენ —






მარცხნიდან მეოთხე ქართველი სუმოტორი კოკაი, რომელმაც უცხოელის კვალობაზე, მით უფრო ევროპელის, ძალიან მაღალ შედეგებს მიაღწია.

500-დან 1.000 დოლარამდე.

როგორც კი შერკინების შედეგი ცხადი გახდება, რეფერი მარაოს ასწევს და წარმოთქვამს „სიობუ ატა" („შერკინების დასასრული") და ამის შემდეგ აცხადებენ გამარჯვებულსა და შედეგს, გამოყენებული ილეთიურთ, ამასთან, სუმოტორის სახელის ნაცვლად ასახელებენ იმ მხარეს, საიდანაც გამოვიდა გამარჯვებული — „დასავლეთს" ან „აღმოსავლეთს" (ეს ჩვეულება ჯერ კიდევ ედოს ისტორიული პერიოდიდან მოდის, როცა მოჭიდავეთაგან ერთი ქვეყნის დასავლეთიდან (ოსაკიდან ან კიოტოდან), მეორე კი აღმოსავლეთიდან (ტოკიოდან) იყო).

დამარცხებული რინგს ტოვებს, გამარჯვებული კი სონკეს პოზაში დგება, მარჯვენა ხელს მარცხენა მხარზე მიიდებს, მერე კი მარჯვენა ფეხზე დაირტყამს და მიდის.

პროფესიული სუმო 6 დივიზიონად იყოფა: ძიო-ნო კუტი, ძიონიდანი, სანდამე, მაკუსტა, ძიურე და უმაღლესი — მაკუტი, მასში მაეჰასირას, კომუსუბის, სეკივაკესა და ოოძეკის რანგის მოჭიდავეები გამოდიან. ყველა წოდებას ჩემპიონატებზე ანიჭებენ, რომელიც წელიწადში ექვსჯერ ტარდება: სამჯერ ტოკიოში და თითოჯერ — ოსაკაში, ნაგოიასა და კუნძულ კიუსიუზე. აბსოლუტური ჩემპიონის (იოკოძუნის) წოდებას იაპონიის სუმოს ასოციაციის წარდგინებით ძალზე იშვიათად, ისიც მხოლოდ ძალზე წარმატებულ სუმოტორის ანიჭებენ, მას, რომელმაც ზედიზედ ორჯერ მოიპოვა ოოძეკის ტიტული და ამხანაგების კეთილგანწყობაც დაიმსახურა. ეს ტიტული სამუდამოა, მაგრამ მის მფლობელს მთელი სიცოცხლის განმავლობაში მოუწევს თაყვანისმცემლების გახარება ლამაზი და დაუმარცხებელი გამოსვლებით. იაპონიის ისტორიაში ეს წოდება მხოლოდ რამდენიმე ათეულმა კაცმა დაიმსახურა.

ტურნირში უმაღლესი ლიგის მოჭიდავეები დღეში ერთ ორთაბრძოლას ატარებენ, დაბალი დივიზიონების სუმოტორები კი შვიდს. რაიმე პრიზი რომ მოიპოვო, თითოეულმა სუმოტორიმ რვიდან ოთხამდე მეტოქე უნდა დაამარცხოს. არსებობს პრიზები ტექნიკური ოსტატობისათვის, საბრძოლო შემართებისათვის, საუკეთესო მაჩვენებლებისათვის. ყველა პრიზს ფულადი ჯილდოც ახლავს, რაც დაახლოებით 20.000 დოლარის ეკვივალენტია. უმთავრესი პრიზია 30-კილოგრამიანი საიმპერატორო თასი, ფულადი ჯილდოთურთ (დაახლოებით 100.000 დოლარი). გამარჯვებულს თასი დროებით გადაეცემა, შემდეგ ტურნირამდე, მას კი მისი მომცრო ასლი რჩება. გათვალისწინებულია საჩუქრები სპონსორებისგანაც. თუ ორთაბრძოლაზე ფსონი დაიდო, რეფერი გამარჯვებულს ფულს მარაოზე დადებულს მიართმევს.

მოყვარულთა სუმო ტრადიციულზე არანაკლებ პოპულარულია. იაპონიაში არის სუმოს ფედერაციაც, რომელიც აერთიანებს მთელი ქვეყნის სუმოს მოყვარულებს. წელიწადში ფედერაცია 40 ტურნირს ატარებს. შემოსავალი სუმოს განვითარებასა და პოპულარიზაციას ხმარდება.

მოყვარულთა სუმოს განმასხვავებელი თავისებურებებია: სპორტსმენების წონით კატეგორიებად დაყოფა და ტრადიციული რიტუალების საკმაოდ ზერელე დაცვა. სპორტსმენ მოყვარულებს სხვა ორთაბრძოლების პრინციპით — დანებად ყოფენ. და თუმცა მათ შორის უმაღლესად ითვლება მე-10 დანი, მე-5-ს ზემოთ თანრიგი არ ენიჭებათ. თავად მოყვარულები კი პროფესიონალებს „ადარებენ" თავს და სურთ მათაც ეწოდებოდეთ სეკი-ვაკე, ოოძეკი და იოკოძუნა.

ამ ორგანიზაციაშივე შედის სუმოს ქალთა კლუბები — „სინძუმო". მის წარმოშობაზე ლეგენდები დადის, რომელთაგან ერთ-ერთი გვიამბობს, რომ ქალებში მამაკაცურად ძალის გამოცდა კვარტალ ოსივარაში დაიბადა, სადაც ასეული წლების განმავლობაში ცხოვრობდნენ მსუბუქი ყოფაქცევის ქალები. კლიენტის დასათრევად ერთმანეთს თავდაუზოგავად ბეგვავდნენ. სეირის მაყურებლები კი შეძახილებით ამხნევებდნენ, ურჩევდნენ სუმოს წესებით ბრძოლას...

თამამად შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოში ცნობილ ორთაბრძოლებს შორის სუმო ყველაზე სანახაობრივია. მიუხედავად მისი ღრმა კულტურული თვითმყოფადობისა, ჩვენს პლანეტაზე, ალბათ, არ მოიპოვება სხვა ასე პოპულარული და მიმზიდველი ჭიდაობის სახეობა. და მაინც, ბევრისათვის სუმო იდუმალი და ამოუხსნელი მოვლენაა. ისევე აუხსნელი, როგორიც ევროპელებისათვის ამომავალი მზის ქვეყანა.

**ჯერ კიდევ უძველეს დროში გაუჩნდა ადამიანს ისეთი აბსოლუტური იარაღის შექმნის სურვილი, რომლისგანაც მოწინააღმდეგე თავს ვერაფრით დაიცავდა.**



# „ბერძნული ცეცხლის“ საიდუმლოება გამოუცნობი რჩება

ერთ-ერთი ასეთი საშუალება გახდა დანამულ ჩალაში არეული მყრალი ნივთიერების დაწვა, რომლის დახმარებითაც ბერძნები და რომაელები ქალაქების აღებას ან პირიქით, დაცვას ცდილობდნენ, მაგრამ ეს ნივთიერება ჯერ კიდევ „ბერძნული ცეცხლი“ არ იყო.

„ბერძნული ცეცხლის“ მსგავსი ნივთიერებები პირველად საბერძნეთში, პელოპონესის ომის დროს (ჩვენს წელთაღრიცხვამდე 431-404 წლები) გამოჩნდა. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 429 წელს, ქალაქ პლატეის ალყის დროს, სპარტანელებმა დამცველთა წინააღმდეგ გოგირდისა და ფისის ნარევი გამოიყენეს.

ომის უშუალო მონაწილის, ბერძენი ისტორიკოს თუკიდიდეს აღწერით, წვით წარმოქმნილ კვამლსა და მყრალ სუნს ქალაქის დამცველებზე უნდა ემოქმედა და ფარ-ხმლის დაყრა აეძულებინა.

ცეცხლგამჩენი ნივთიერების გამოყენების პირველი შემთხვევა ისევ პელოპონესის ომს უკავშირდება. ჩვ.წ.აღ.-მდე 424 წელს დელიონის ბრძოლაში ათენელები დამარცხდნენ, როცა მოწინააღმდეგემ გამოღრუტნული ხის მორიდან გაურკვეველი ნივთიერებების წვით წარმოქმნილი ცეცხლის ნაკადის გამტყორცნი იარაღი გამოიყენა. ცეცხლის გამოტყორცნას თან გამაყრუებელი ხმაური ახლდა და მისი მოქმედება 5-10 მეტრზე ვრცელდებოდა.

გადმოცემით ნარევში შედიოდა: საკმეველი, თივა, წიწვნარის ნახერხი და ფისი. უცნობია თავად ცეცხლსატყორცნის კონსტრუქცია, – ერთჯერადი იყო თუ შიგნიდან ლითონის ფურცელი ჰქონდა გამოკრული.

დაახლოებით ჩვ.წ.აღ.-მდე 357-355 წლებში სტრიმფალიიელი ენეას ტაქტიკი ცეცხლოვანი ნაკადის გამოსაყენებელ რჩევებს იძლეოდა ტრაქტატში „ალყისათვის წინააღმდეგობის გაწევა“. ავტორი წერს, რომ მოწინააღმდეგის ხომალდების დასაწვავად უნდა გამოიყენონ ცეცხლმოდებული ფისის, გოგირდის, ძენძის, საკმევლისა და ზეთოვანი ხის ნახერხის ნარევი.

სირიული წარმომავლობის ბიზანტიელი ისტორიკოსი იოანე მალალა „მსოფლიო ქრონიკაში“ იმპერატორ ანასტას I ბიზანტიელის წინააღმდეგ 514-516 წლებში ვიტალიანეს მოწყობილ აჯანყებაზე წერს, რომ იმპერატორმა აჯანყებულთა წინააღმდეგ გაგზავნა ფლოტი, რომელიც ათენელი ფილოსოფოს პროკლოსის ცნობით, გოგირდის საფუძველზე დამზადებული თხევადი ცეცხლით მომარაგდა.

აჯანყებულებს კარგად მომზადებული ჯარი ჰყავდათ და ხომალდებზე ჰუნებისა და გოთების შეიარაღებული რაზმები დასხეს. მიზანი კონსტანტინოპოლის აღება იყო.

ორივე ფლოტი ერთმანეთს ბოსფორში, ბუტარიონის რაიონში დაუპირისპირდა. ვიტალიანეს ხომალდს მოულოდნელად ცეცხლი მოედო და ჩაძირვა დაიწყო. ბრძოლაში ბევრი ჰუნი, გოთი თუ სკვითი დაიღუპა. იოანე მალალა აზუსტებს, რომ აჯანყებულთა ხომალდების ნაწილმა ანაპლუსში გაღწევა მაინც შეძლო...

ამის შემდეგ „ბერძნული ცეცხლი“ ერთხანს დავიწყებას მიეცა და მისი ხელმეორედ „დაბადება“ არაბების გამოჩენას უკავშირდება. VII საუკუნეში არაბებმა ძლიერი სახალიფო შექმნეს და ისლამის გავრცელებისა და „ურწმუნოებთან წმინდა ომის“ მოწოდებებით ბიზანტიის წინაალმდეგ დიდი ომი წამოიწყეს.

არაბები წინ მოიწევდნენ და ბიზანტიას ხმელეთსა თუ ზღვაზე ავიწროებდნენ. დაიკავეს ეგვიპტე, სირია, პალესტინა და კონსტანტინოპოლს მიუახლოვდნენ.

ბიზანტიის დედაქალაქისაკენ უწყვეტ ნაკადად მიემართებოდნენ ქრისტიანი ლტოლვილები. მათ შორის იყო ვინმე კალინიკოსი არქიტექტორი ჰელიოპოლიდან (ახლანდელი ბალბეკი, ლიბანი).

კალინიკოსი პიროტექნიკის კარგი მცოდნე გამოდგა. კონსტანტინოპოლში ის იმპერატორ კონსტანტინე IV პოღინატს შეხვდა და ცეცხლგამჩენი ახალი საბრძოლო საშუალება უჩვენა, რომელიც მისი აზრით, არაბთა შემოტევის შეჩერებაში დაეხმარებოდა. ახალგაზრდა მონარქმა სათანადოდ შეაფასა კალინიკოსის გამოგონება და დამზადება-გამოცდაში ყოველნაირი დახმარება აღუთქვა.

მალე არაბები მცირე აზიის სანაპიროზე გადმოვიდნენ და 670 წელს ქიზიკუსი, ხოლო ორი წლის შემდეგ სმირნა დაიკავეს. 673 წლის ზაფხულში კონსტანტინოპოლს ურიცხვი მტერი მოადგა. არაბებს მრავალრიცხოვანი ფლოტი ჰყავდათ და ბიზანტიელებთან შეტაკებები ხშირად უხდებოდათ. საზღვაო ბრძოლები გვიან შემოდგომამდე გაგრძელდა, ზამთრის დადგომასთან ერთად არაბებმა ფლოტი გამოსაზამთრებლად კიზიკუსში შეიყვანეს. გაზაფხულზე საზღვაო შეტაკებები ისევ გაგრძელდა.

არაბ ქრონიკოსთა აღწერით ბიზანტიელთა ხომალდები ახლო მანძილზე გაუგებარი ხელსაწყოებიდან ცეცხლოვან ნაკადს აფრქვევდა, რომელიც წყალზეც იწვოდა. ცეცხლისა და წყლის – ორი შეუსაბამო სტიქიის შესახებ საუკუნეების მანძილზე დამკვიდრებული აზრი შეირყა. ამის შემყურე და შეძრწუნებული არაბები ბრძოლას გაურბოდნენ. ისინი გვიან მიხვდნენ, რომ „ბერძნულ ცეცხლს“ უფრო ფსიქოლოგიური ზემოქმედება ჰქონდა, ვიდრე ეფექტი. საკმარისი იყო 30-40 მეტრით დაშორება და ბიზან-

ტიელები უპირატესობას კარგავდნენ, მაგრამ მაშინდელი საზღვაო ბრძოლების ბედი აბორდაჟულ შეტაკებებში წყდებოდა, რისთვისაც ბორტის ბორტზე მიდგომა იყო საჭირო.

კონსტანტინოპოლის აღების მცდელობა არაბების სრული მარცხით დასრულდა და მას 30-წლიანი დაზავება მოჰყვა.

არაბთა ფლოტის იალქნიანი გემები დჰაუ — სწრაფსვლიან და კარგი საზღვაოსნო თვისებების მქონე ხომალდად ითვლებოდა. წყალწყვა საშუალოდ 300 ტონას არ აღემატებოდა და ორი-სამი სამკუთხა აფრის გამოყენებით დაცურავდა. დჰაუ უფრო სავაჭრო-სატვირთო ხომალდი იყო, ვიდრე საბრძოლო და არანაირი შეიარაღება არ ჰქონდა.

მისგან განსხვავებით ბიზანტიას ძლიერი სამხედრო ფლოტი ჰყავდა, რომლის მთავარი ძალა დრომონები, უგემბანო ხომალდები იყო. ბიზანტიური წყაროების მიხედვით, არსებობდა დრომონების სულ ცოტა სამი სახეობა: უსიაკო, პამფილოსი და კიდევ ერთი სახეობა, რომლის სახელწოდება არ შემორჩენილა.

უსიაკო წარმოდგება ბერძნული სიტყვისგან „უსია“ და ნიშნავს 100-კაციან რაზმს, ეკიპაჟს. უსიაკოზე 50 მენიჩბე იყო, ხოლო 50 კი ზღვაზე გადასვლისას მენიჩბისა და ბრძოლის დროს საბორდაჟო გუნდის მოვალეობას ასრულებდა. უსიაკოს მთლიანი გემბანის მაგივრად სამი ფენილი ჰქონდა, საიდანაც ორი მენიჩბეთა ზემოდან იყო დაგებული და ერთი ცენტრალური სიმეტრიის ღერძზე გადიოდა. ჰქონდა 1-2 ანძა ლათინური აფრებით.



ბიზანტიური დრომონი

უსიაკოები კონსტანტინოპოლისა თუ ეგეოსის ზღვის აუზის საიმედო დაცვის გარანტიას არ იძლეოდა და საჭირო გახდა უფრო დიდი ხომალდების აგება.

ასე გაჩნდა ორიარუსიანი ხომალდი — პამფილოსი, სადაც ეკიპაჟი 120-160 კაცამდე გაიზარდა და მენიჩბეები ორ იარუსად ისხდნენ. სხვა მხრივ პამფილოსი უსიაკოს ჰგავდა.

ბიზანტიელი გემთმშენებლები 50 მეტრი სიგრძის დიდ დრომონებსაც აგებდნენ, რომლის სახელი შემორჩენილი არ არის. ეკიპაჟი 200 კაცს ითვლიდა, საიდანაც 50 ნიჩაბს ერთ კაცი და 100 ნიჩაბს კი ორი კაცი ემსახურებოდა, ხოლო 50 საზღვაო ქვეითი იყო.

დრომონების შეიარაღებაში შედიოდა ტარანი, სატყორცნი მანქანები ბალისტა და კატაპულტა, „ბერძნული ცეცხლის“ სატყორცნი საშუალებები და სხვა.

დრომონები საზღვაოსნო-საბრძოლო თვისებებით დჰაუს აღემატებოდა, მაგრამ არაბებს კომპენსირებას რაოდენობა უკეთებდა. თუმცა არაბებს რაოდენობამ არც კონსტანტინოპოლზე მეორე ლაშქრობის დროს უშველა.

717 წლის ზაფხულში არაბთა ცნობილმა სარდალმა მასლამმა 120-ათასიანი არმია 1800 ხომალდით დარდანელის სრუტეზე, თრაკიაში გადაიყვანა. 1-ელ სექტემბერს კონსტანტინოპოლს არაბების მრავალრიცხოვანი ფლოტი მოადგა. ხომალდების დიდმა ნაწილმა ბოსფორის სრუტე მშვიდობიანად გაიარა, მაგრამ ბოლო 20 ხომალდს ბიზანტიელები დაესხნენ და დაწვეს.

ამჯერად კონსტანტინოპოლი ალყაში ხმელეთიდან და ზღვიდან მოექცა. მასლამის არმიის მომარაგება მთლიანად ზღვაზე დამოკიდებული აღმოჩნდა. 718 წლის გაზაფხულზე არაბებს ეგვიპტიდან ერთი ესკადრა იარაღითა და პურით, მეორე კი — აფრიკიდან სურსათით დატვირთული მოუვიდათ, მაგრამ ბიზანტიელთა ცეცხლსატყორცნი ხომალდების შიშით ბოსფორის სრუტეში შესვლას ვერ ბედავდნენ.

იმპერატორმა ლეონ III-მ არაბების გაუბედაობა შეამჩნია და შეტევაზე გადავიდა. ბიზანტიელთა ხომალდების სიფონებით გასროლილი ცეცხლი არაბთა ხომალდებს წვავდა და ანადგურებდა. ფლოტის დაკარგვით არაბთა არმიაში შიმშილი დაიწყო და მასლამი იძულებული გახდა, ალყა მოეხსნა.

ბიზანტიელთა საიდუმლო იარაღი ერთხელ მოწინააღმდეგეს ხელში აღმოჩნდა, მაგრამ მის გამოყენებაზე არაფერია ცნობილი. 812 წელს ბულგარელებმა ხან კრუმის სარდლობით შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ქალაქი მესიმვრია (ახლანდელი ნესებირი) აიღეს, სადაც ხელთ ბიზანტიელთა სამხედრო მარაგი და ჭურვები ჩაუვარდათ. მათ შორის იყო კარგად დაცული „ბერძნული ცეცხლის“ გასასროლი 36 სპილენძის სიფონი.

ბიზანტიელებს „ბერძნულმა ცეცხლმა“ 822 წლის გაზაფხულ-ზაფხულში კიდევ ერთი კარგი სამსახური გაუწია აჯანყებულ თომა სლავის ფლოტის განადგურების დროს.

„ბერძნული ცეცხლის“ ძალა იწვნიეს კიევის თავად იგორის მოლაშქრეებმაც. 941 წლის 11 ივნისს დაახლოებით 40 ათასი მეომარი 1000 ლაზიერით ბოსფორის სრუტეში შევიდა. იმპერატორმა რომან I-მა დიდ ძალებს მოუყარა თავი და ბიზანტიის ფლოტმა „ბერძნული ცეცხლით“ მოწინააღმდეგეს დიდი ზიანი მიაყენა.

1043 წელს კონსტანტინოპოლის აღება იაროსლავ ბრძენის უფროსი შვილის, ვლადიმირის, მოლაშქრეებმა სცადეს. ამ დროს ბიზანტიელთა ცეცხლსატყორცნი ხომალდები ბიზანტიის სანაპიროს გასწვრივ იყო მიმოფანტული. მოხერხდა რამდენიმე სატვირთო გემისა და სამხედრო ხომალდის მოგროვება. დრომონებზე გამოცდილი მეომრები დასხდნენ და „თხევადი ცეცხლი“ ბლომად მოიმარაგეს.

ბრძოლის წინ ორივე ფლოტი ერთმანეთის პირისპირ მოეწყო. ბიზანტიელების მწყობრს ორი ყველაზე დიდი ხომალდი გამოეყო. დრომონები „ლადიების“ ალყაში მოექცნენ და მასში მსხდომი მეომრები ხომალდების კორპუსის გახვრეტას ცდილობდნენ. ბიზანტიელები ზემოდან შუბებსა და ქვებს ესროდნენ, რასაც მალე „თხევადი ცეცხლი“ მიაყოლეს. ბევრი ვარიაგი წყალში გადახტა. სხვები სასოწარკვეთილებას მიეცნენ და არ იცოდნენ, თავი როგორ გადაერჩინათ.

იმპერატორის მეორე ნიშანზე ბიზანტიელთა დანარჩენი ხომალდები შეტევაზე გადავიდნენ და მომხდურთა განადგურება დაასრულეს.

დღემდე „ბერძნული ცეცხლის“ შემადგენლობა უცნობია, სხვადასხვა წყაროს განსხვავებული შემადგენლობები მოჰყავს.

1193 წლით დათარიღებულ ერთ-ერთ არაბულ ხელნაწერში დასახელებულია ნავთობი, გოგირდი, ფისი და კუპრი.

XIII საუკუნის ალქიმიკოს ვინცეტიუსის რეცეპტით საჭირო იყო თანაბარი რაოდენობის გაცხელებული გოგირდი, ოპოპონაქსი (მცენარეული ზეთის ერთ-ერთი სახეობა), კუპრი და მტრედის სკორე. ყველაფერი ეს კარგად უნდა გაშრეს, გაიხსნას სკიპიდარში ან გოგირდმჟავაში. ამის შემდეგ უნდა შევინახოთ მინის მჭიდროდ დახურულ ჭურჭელში და ღუმელში 15 დღე გავაცხელოთ. მიღებული მასა ღვინის სპირტის მსგავსად უნდა გამოიხადოს და

ის გამოყენებისათვის მზად არის.

მარკო გრეკოს თხზულებაში „წიგნი ცეცხლის შესახებ“ ვკითხულობთ: „აიღეთ 1 წილი კანიფოლი, 1 წილი გოგირდი, 6 წილი გვარჯილა და წვრილად დაფქვილი სელის ან დაფნის ზეთში გახსენით. შემდეგ ჩაასხით მილში ან ხის გამოღრუტნულ მორში და ცეცხლი წაუკიდეთ. მუხტი მზად არის იმ წუთში აფრინდეს და ყველაფერი ცეცხლით გაანადგუროს“.

ვერანაირი გოგირდი, ხის ნახშირი ან ნავთობი წვისათვის აუცილებელ და საკმარის ჟანგბადს ატმოსფეროდან ვერ მიიღებდა. ამის ერთადერთი საშუალება გვარჯილა იყო, რომელიც ბუნებაში აზოტმჟავას მარილების – ნატრიუმის, კალიუმის, კალციუმის, ბარიუმის ან ამონიუმის სახით გვხვდება. კალიუმის გვარჯილა ორგანული ნივთიერებების დაშლით მიიღება და ამისათვის თბილი კლიმატი და ხანგრძლივი მშრალი სეზონია საჭირო, როგორიც ჩრდილო აფრიკაში, ინდოეთში თუ სამხრეთ ჩინეთშია. გვარჯილა ცეცხლგამჩენი ნარევისათვის კარგი შემადგენელია, მაგრამ ამისათვის ქიმიის ცოდნაა აუცილებელი. გვარჯილის ცეცხლგამჩენ თვისებებს პირველად ჩინეთში მიაგნეს, სადაც გოგირდისა და ნახშირის საფუძველზე დამზადებული ცეცხლგამჩენი ნარევი 600 წელს გამოჩნდა. კალიუმის გვარჯილა შავი დენთის ერთ-ერთი შემადგენელი ნივთიერებაა.

„ბერძნული ცეცხლის“ სროლისათვის სხვადასხვა საშუალება გამოიყენებოდა. ერთ შემთხვევაში ცეცხლგამჩენ ნარევს უსვამდნენ ლითონის შუბს, რომელსაც მექანიკური სატყორცნი მანქანები გაისროდა. შუბი სწრაფად და ელვისებურად მიფრინავდა, გამოსცემდა ქუხილის მაგვარ ხმას და ღორისთავიან დრაკონს ჩამოჰგავდა. ასე დაამახსოვრდა ერთ-ერთი ბრძოლის მონაწილეს შუბის ფრენა.

მეორე შემთხვევაში საწვავი ნივთიერება თიხისნახვრეტებიან ჭურჭელში თავსდებოდა, რომელიც ერთგვარი ამპულის როლს თამაშობდა და ცეცხლმოდებული პატრუქები ჰქონდა. ბალასტიდან ან სხვა სატყორცნი მანქანებიდან გასროლილი ქოთანი მოწინააღმდეგის მხარეს მიფრინავდა. დაცემის ადგილზე სითხე იღვრებოდა, ცეცხლი ედებოდა და წყლით მისი ჩაქრობა შეუძლებელი იყო.

ბიზანტიელები ქოთნებით შხამიან გველებსა და მორიელებსაც ისროდნენ, რაც მოწინააღმდეგის ხომალდების ეკიპაჟებში პანიკას იწვევდა.

დიდი ხომალდები „ბერძნული ცეცხლის“ სატყორცნი მილებით იყო აღჭურვილი. მისი მუშაობის პრინციპი ძალიან წააგავდა XX საუკუნის პირველი ნახევრის ცეცხლსატყორცნების მოქმედებას.

გადმოცემით, გაზების წვით წარმოქმნილი ენერგიის ხარჯზე მილებიდან „ბერძნული ცეცხლი“ ნაკადის სახით გაიტყორცნებოდა, რასაც თან დიდი ხმაური ახლდა.

შემორჩენილია ასეთი დანადგარის აღწერა: „თითოეული ხომალდის ცხვირზე იყო საშინელი შესახედაობის ბრინჯაოსაგან ან რკინისაგან დამზადებული და მოოქრული ლომის ან სხვა ხმელეთის ცხოველის თავი, რომელსაც მოწინააღმდეგეში შიში უნდა გამოეწვია. თავი ისე იყო მოწყობილი, რომ მისი გახსნილი ხახა ცეცხლს აფრქვევდა“.

ცეცხლის ნაკადის გამოფრქვევა საჭირო წნევის შექმნას მოითხოვდა. ყველაზე მარტივი გზა მილში მოძრავი დგუში ან ჰაერით გაბერილი ტყავის ტიკი იქნებოდა.

არსებობდა ბერძნული ცეცხლის გამოყენების ტაქტიკა, რომლის ავტორია იმპერატორი ლევ IV. ის წერდა: „ხომალდის ცხვირზე უნდა იყოს დამაგრებული სპილენძის მილი, რომელიც ცეცხლს მოწინააღმდეგისკენ ისვრის. ცხვირის ორი მენიჩბიდან ერთი მილს უნდა ემსახურებოდეს“.

იყო სროლის კიდევ ერთი მეთოდი: ანძაზე მაგრდებოდა გრძელი ჭოკი ხის კასრით ან ქოთნით, რომელშიც ცეცხლგამჩენი სითხე ესხა და პატრუქზე ცეცხლი ეკიდა. ჭოკის დატრიალებით კასრი მოწინააღმდეგის ხომალდის ბორტზე უნდა დაცემულიყო.

დიდ დრომონებზე, ალბათ, ერთდროულად რამდენიმე ცეცხლგამჩენ საშუალებას იყენებდნენ.

მაშინდელ საზღვაო ბრძოლებში საკმაოდ მრავალრიცხოვანი ფლოტები მონაწილეობდნენ, რაც ბოლოს აბორდაჟულ შეტაკებებში გადადიოდა და „ბერძნული ცეცხლის“ გამოყენებას ბევრად აადვილებდა. ხის ხომალდებისათვის ხანძარი მეტწილად გამანადგურებელი შედეგით მთავრდებოდა.

უცნობია „ბერძნული ცეცხლის“ გატყორცნის მანძილი. სპეციალისტთა შეფასებით, ალბათ, 25 მეტრამდე იქნებოდა. დაახლოებით ასეთივე მანძილზე მოქმედებდა მეორე მსოფლიო ომისდროინდელი ცეცხლსატყორცნები.

ნარევის გატყორცნის დაბალი საწყისი სიჩქარე სროლის მანძილზე გავლენას ახდენდა, ხოლო სროლის სიზუსტეზე ხომალდის რყევა და ქარი მოქმედებდა. ცეცხლმოდებული ხომალდი ხანძრის საფრთხეს მეტისმეტად ახლოს მყოფ ბიზანტიელთა ხომალდებსაც უქმნიდა. არანაკლებ საფრთხეს შეიცავდა გასატყორცნი საშუალების ცეცხლგამჩენი სითხით შევსებისა და პატრუქისათვის ცეცხ-



ლის მოკიდების პროცესი.

„ბერძნულ ცეცხლს“ წყალი არ აქრობდა, პირიქით, ტემპერატურის აწევას იწვევდა, ხოლო სიმსუბუქის გამო წვას წყლის ზედაპირზე აგრძელებდა. ეს მოწინააღმდეგეს აშინებდა და აკვირვებდა, ამიტომ ეგონათ, ზღვა იწვოდა. ცეცხლის ჩაქრობა მხოლოდ ქვიშით ან ძმრით ხერხდებოდა.

დიდი რაოდენობით „ბერძნული ცეცხლის“ დამზადება „ქარხნული“ წარმოების დონეზე აყვანას მოითხოვდა, რასაც ბიზანტიელებმა თავი შესანიშნავად გაართვეს.

დამზადების ტექნოლოგიური პროცესი კარგა ხანს და იმდენად გასაიდუმლოებული იყო, რომ ბიზანტიამ „ბერძნული ცეცხლის“ გამოყენებით მტრების შემოტევას თითქმის ხუთ-ნახევარი საუკუნე გაუძლო.

1139 წელს კათოლიკურმა ეკლესიამ „ბერძნული ცეცხლი“ არაადამიანურ იარაღად ჩათვალა და მისი გამოყენება აკრძალა.

1203 წლის 23 ივნისს ჯვაროსანთა ფლოტი კონსტანტინოპოლს მიადგა. იმ დროისათვის ბიზანტიელებს „ბერძნული ცეცხლის“ დამზადების რეცეპტი დავიწყებული ჰქონდათ. იმპერატორმა ალექსი III-მ ძველი 20 ხომალდი გაარემონტა ბრანდერებად გამოსაყენებლად, მაგრამ კონსტანტინოპოლი ჯვაროსნებს მაინც ვერ გადაურჩა.

XII საუკუნის დასაწყისში „ბერძნული ცეცხლი“ კვლავ ფართოდ გამოიყენებოდა. ამავე დროს ევროპული ქვეყნების არმიებში ზარბაზნებიც გამოჩნდა, რომლებიც ეფექტიანობით „ბერძნული ცეცხლს“ ბევრად აღემატებოდა.

*თემურ ჩაჩანიძე*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სპარსეთის ყურე: შესაძლო ომის სცენარი



**თანამედროვე ეკონომიკის განვითარების ტემპებს ბევრად განსაზღვრავს ენერგორესურსები და განსაკუთრებით ნავთობი, რომლის მარაგის შემცირება საწვავზე ფასების მომატებას იწვევს. ერთი ბარელი ნავთობის ფასი 100 დოლარს მიუახლოვდა და კიდევ უფრო გაძვირებას არ არის გამორიცხული.**

ნავთობის მსოფლიო მარაგის დაახლოებით 55%, ანუ 728 მილიარდი ბარელი სპარსეთის ყურეშია თავმოყრილი, რეგიონში, რომელიც პოლიტიკური სტაბილურობით არ გამოირჩევა, რაც ნავთობის ფასზე დიდ ზეგავლენას ახდენს. უახლეს მომავალში თურქეთის არმია ნავთობით მდიდარი ერაყის ქურთისტანში შეჭრასა და სამხედრო ოპერაციის ჩატარებას გეგმავს. ნავთობის ერთ-ერთ მთავარ ექსპორტიორ ქვეყანასთან — ირანთან ვერ ხერხდება ბირთვული პროგრამის თაობაზე შეთანხმება და სამხედრო მოქმედებათა დაწყების საშიშროება კვლავინდებურად არსებობს.

1980 წლის სექტემბერში ირანსა და ერაყს შორის დაწყებულმა ომმა ნავთობის ტრანსპორტირებას ისეთი პრობლემა შეუქმნა, რომ მსოფლიო ეკონომიკას კრიზისი დაემუქრა.

სუნიტური და შიიტური მიმდინარეობის ორი მეზობელი მუსლიმი სახელმწიფო ომამდე პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა თუ იდეოლოგიური სახის წინააღმდეგობებმა მიიყვანა, ხოლო მიზეზი მდინარე შატ-ელ-არაბის სასაზღვრო რაიონებზე დავა გახდა.

ერაყმა 1981 წლის მაისში სპასეთის ყურის ჩრდილოეთი ნაწილი, სადაც ირანის პორტები ბანდარ-ჰამეინი და ბანდარ-მაჰშაჰრია, აკრძალულ ზონად გამოაცხადა. 1984 წლის მარტიდან აკრძალვა შეეხო კუნძულ ხარკის გარშემო 50 მილი რადიუსის რაიონსაც და ირანისათვის იქ მდებარე ტერმინალიდან ნავთობის ექსპორტი სათუო გახდა.

საპასუხოდ თეირანმა სპარსეთის ყურე კომერციული ნაოსნობისათვის დახურა, ხოლო მთავარ სამიზნედ ქუვეითისა და საუდის არაბეთის პორტებიდან გამოსული ნავთობით დატვირთული ტანკერები გაიხადა. ორივე არაბული ქვეყანა ნავთობიდან მიღებულ შემოსავალს ერაყს გადასცემდა.

სპარსეთის ყურეში მიმდინარე ომი ნავთობის ფასზე მოქმედებდა და მდგომარეობა უფრო გართულდა მას შემდეგ, რაც ორივე მხარე ტანკერების წინააღმდეგ მიზანმიმართულ თავდასხმაზე გადავიდა.

ნავთობით დატვირთულ გემებზე თავდასხმები ისტორიაში „სატანკერო ომის“ სახელით შევიდა და მასში ბევრი ქვეყნის სამხედრო თუ სამოქალაქო ფლოტი აღმოჩნდა ჩათრეული.

გაეროს მონაცემებით, 1980 წლის სექტემბრიდან 1988 წლის აგვისტომდე, სანამ ქვეყნები დაზავებას შეძლებდნენ, სპარსეთის ყურეში თავდასხმების მსხვერპლი დაახლოებით 400-მდე გემი გახდა (საერთო ტონაჟით 30 მილიონი ბრუტო რეგისტრირებული ტონა).

„სატანკერო ომმა“ განსაკუთრებით დიდი გაქანება 1984 წლის აპრილსა და 1987 წლის დეკემბერში მიიღო, როცა ყოველ სამ დღეში ერთხელ სატელეგრაფო სააგენტოები მორიგი მსხვერპლის შესახებ ცნობას ავრცელებდნენ.

სულ 451 თავდასხმა დაფიქსირდა, სა-

იდანაც 168 ირანის სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალებზე მოდის. დაზიანებული 340 გემიდან 11 ჩაიძირა. დაზიანებულ ტანკერებს დიდი მოცულობის ტანკები უმეტეს შემთხვევაში ცურვადობას უნარჩუნებდა და ეკიპაჟები უახლეს პორტამდე მიღწევას ახერხებდნენ.

ორივე მხარე „სატანკერო ომში" წყალზედა ხომალდებს, ავიაციას, სანაპირო-სარაკეტო და საარტილერიო დანადგარებს იყენებდა.

ირანის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი შემტევი ძალა სარაკეტო, სატორპედო, საარტილერიო და ნაღმსატყორცნებით აღჭურვილი კატარღები იყო. შედარებით იშვიათი ხასიათი ჰქონდა საესკადრო ნაღმოსნების, ფრეგატებისა თუ კორვეტების კლასის ხომალდების მოქმედებებს.

ირანული კატარღების დიდი და მრავალფეროვანი ფლოტილიიდან თანამედროვედ 1973-81 წლებში აგებული „კომბატანტ-2" ტიპის 12 სარაკეტო კატარღა ითვლებოდა. თითოეული ოთხ-ოთხი ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტა „ჰარპუნს" (ფრენის სიშორე 110 კილომეტრი, საბრძოლო ნაწილი 227 კილოგრამი), 76 მმ-იან და 40 მმ-იანი საარტილერიო სისტემებს ატარებდა.

საარტილერიო-საპატრულო კატარღების კლასი 1 ტონიდან 100 ტონამდე წყალწყვის დაახლოებით 150-200 კატარღას აერთიანებდა მრავალფეროვანი შეიარაღებით: 23 მმ-იანი საზენიტო დანადგარები ЗУ-23-2, შეწყვილებული 12,7 მმ-იანი და 20 მმ-იანი დანადგარები, 106 მმ-იანი ბაზუკები, 107 მმ-იანი უმართავი რაკეტების გამშვები დანადგარები, 324 მმ-იანი და 533 მმ-იანი სატორპედო აპარატები, ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარსატყორცნები РПГ-7 და სხვა.

კატარღები ბაზირებისათვის ჰორმუზის სრუტეში, ბანდარ-აბასის მთავარ სამხედრო-საზღვაო ბაზას, სპარსეთის ყურის აღმოსავლეთ ნაწილში – ბანდარ-ჰამეინის, ბუშეჰრისა და ბანდარ-ლენგეს სამხედრო-საზღვაო ბაზებს იყენებდნენ. ბაზირების დროებით პუნქტებად ნავთობმომპოვებელი პლატფორმები და ომანის ყურეში მშენებარე ჩაჰბაჰარის სამხედრო-საზღვაო ბაზა გამოიყენებოდა.

საზღვაო ძალების ამგვარი დისლოკაცია ირანს სპარსეთის ყურეში ნავთობის სატრანსპორტო მარშრუტების მთელ სიგრძეზე გაკონტროლების საშუალებას აძლევდა.

კატარღები ცალ-ცალკე ან მცირე ტაქტიკურ ჯგუფებად მოქმედებდნენ და უპირატესობა „ჩასაფრების" ან „თავისუფალი ნადირობის" მეთოდებს ენიჭებოდა. დიდი გემების აღმოსაჩენად ვიზუალური საშუალებები საკმარისი იყო. ცალკეულ



სარაკეტო კატარღა „მერაჯი" სპარსეთის ყურეში პატრულირებისას

შემთხვევაში სამიზნეებზე კატარღების გაყვანას სანაპირო ან ხანდახან ნავთობმომპოვებელ პლატფორმაზე დაყენებული რადიოლოკაციური სადგურები უზრუნველყოფდა.

ორივე მხარე სამხედრო ხომალდების დაცვის ქვეშ მყოფ სატვირთო გემებზე თავდასხმებს ერიდებოდა და დაუცველ გემებზე შეტევას ამჯობინებდა. თავდასხმისათვის ხელსაყრელ დროდ დილა, დაბინდების ჟამი ან იშვიათად ღამე ითვლებოდა. დავალების შესრულებისთანავე კატარღები რაიონის მაქსიმალური სიჩქარით დატოვებას ცდილობდნენ.

1984 წლის 13 ივლისს ირანულმა თვითმფრინავებმა ქუვეითიდან ბაჰრეინისაკენ მოცურავე ტანკერ „უმ კუასბახს" შეუტიეს. სამი დღის შემდეგ ასეთივე თავდასხმის მსხვერპლი საუდის არაბეთის ტანკერი „იანბუ პრაიდი" აღმოჩნდა. საპასუხოდ, საუდის არაბეთის F-15 ტიპის ავიაგამანადგურებლებმა სპარსეთის ყურის თავზე რეგულარული ფრენები დაიწყეს და ერთ-ერთი პატრულირებისას, 1984 წლის 5 ივნისს, ჰაერში ირანელთა 2 „ფანტომს" დაუპირისპირდნენ. შეხვედრა საჰაერო ბრძოლამდე მივიდა, რომელიც ორივე „ფანტომის" სპარსეთის ყურის წყლებში ჩამოვარდნით დასრულდა.

რამდენიმე შემთხვევაში საზღვაო სამიზნეთა წინააღმდეგ ირანმა სანაპირო-სარაკეტო და საარტილერიო ბატარეები გამოიყენა. 1987 წლის 15 ოქტომბერს აშშ-ის ტანკერ „სუნგარის", რომელიც ლიბერიის დროშით დაცურავდა, ფაოს ნახევარკუნძულთან რაკეტა „ჰაი ჯი" მოხვდა. მომდევნო დღეს იმავე რაიონში სანაპირო რაკეტებმა ტანკერი „სი აილ სიტი" დააზიანეს და ეკიპაჟის 18 წევრი დაიჭრა. ამის შემდეგ გემები საშიში რაიონისათვის გვერდის ავლას ცდილობდნენ.

საზღვაო კომუნიკაციებზე თავდასხმებში ირანელთა სანაპირო ბაზირების შვეულმფრენებიც მონაწილეობდნენ. 1986 წლის აგვისტოში ორმა შვეულმფრენმა რაკეტა AS-12-ით (ფრენის სიშორე 10 კილომეტრი, საბრძოლო ნაწილი 28 კილოგრამი) ბერძნულ ტანკერს შეუტია. რაკეტები ტანკერს კი მოხვდა, მაგრამ არ აფეთქდა. ერთი თვის შემდეგ ისევ ორმა შვეულმფრენმა იმავე რაკეტებით ბრიტანულ გემ „პონის" ზედნაშენი დაუზიანა. დაიჭრა რამდენიმე მეზღვაური.

AS-12 ტიპის რაკეტები შვეულმფრენებისათვის არის განკუთვნილი და ფრანგული პირველი თაობის ტანკსაწინააღმდეგო რაკეტა SS-12-ის საფუძველზეა შექმნილი. სერიული წარმოება 1965 წელს დაიწყო და ირან-ერაყის ომის დროს მოძველებულ საშუალებად ითვლებოდა.

1987 წლის გაზაფხულიდან ირანი საზღვაო კომუნიკაციების დანაღმვაზე გადავიდა. სადესანტო ხომალდები და სატრანსპორტო თვითმფრინავები ლუზიან მოძველებულ საკონტაქტო ნაღმებს სპარსეთის ყურის საკვანძო რაიონებში: ელ-ქუვეითის მისადგომებთან და ომანის ყურეში კუნძულ ფარსის სიახლოვეს აყენებდნენ. ნაღმების აფეთქებამ 10 გემს კორპუსის წყალქვეშა ნაწილი ძალზე დაუზიანა. დაზიანების ხარისხი წყალწყვასა და დაზიანების ადგილზე იყო დამოკიდებული. აფეთქებას თან ახლდა გემის ტიხრებისა და მილგაყვანილობის ნგრევა, მექანიზმების მოგლეჯა, ხელსაწყოების მწყობრიდან გამოსვლა და ა.შ.

1987 წლის 24 ივლისს აშშ-ის დროშით მცურავი ქუვეითის 401382 ტონა წყალწყვის ტანკერი „ბრიჯტონის" ცხვირის ნაწილი აფეთქდა ნაღმზე. დაზიანებულმა „ბრიჯტონმა" ნელი სვლით ქუვეითამდე მიღწევა შეძლო, სადაც მყვინთავებმა გემის კორპუსში დაახლოებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

50 კვადრატული მეტრის დაზიანება ნახეს.

დაზიანება ძველი, 1908 წლის მოდელის ნაღმმა გამოიწვია და აფეთქებას იმდენად დიდი ძალა ჰქონდა, რომ საესკადრო ნაღმოსნის ან ფრეგატის კლასის ხომალდის ჩაძირვისათვის სავსებით საკმარისი იყო.

ომმა იმდენად უაზრო სახე მიიღო, რომ ირანმა თავისი ნავთობის გატანაც კი საფრთხის წინაშე დააყენა, როცა 1987 წლის 11 აგვისტოს ირანული ნავთობით დატვირთული ამერიკული ტანკერი „ტეხაკო“ ირანულ ნაღმზე აფეთქდა.

1987 წლის სექტემბერში ამერიკულმა შვეულმფრენებმა ირანელთა სადესანტო ხომალდებსა და სატრანსპორტო თვითმფრინავებს შეუტიეს და ამის შემდეგ დანაღმვა შეწყდა.

ნაღმების ბოლო მსხვერპლი ამერიკული ფრეგატი „სამუელ გ. რობერტსი“ გამოდგა. ხომალდი კატარის სანაპიროსთან, 1988 წლის 14 აპრილს აფეთქდა და ეკიპაჟის 10 წევრი დაიჭრა. ხომალდი დაღუპვისაგან მხოლოდ სასწაულმა იხსნა.

ირანის ბირთვული პროგრამა დასავლეთის ქვეყნებში დიდ შეშფოთებას იწვევს, მაგრამ მისი დაძლევისათვის მიმდინარე მოლაპარაკებები, ჯერჯერობით, შედეგს არ იძლევა. ვითარების გამწვავების შემთხვევაში, არ არის გამორიცხული, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საბრძოლო მოქმედებები დაიწყოს.

ასეთ შემთხვევაში ირანი ჰორმუზის სრუტის ბლოკირებას, სპარსეთის ყურიდან ნავთობის გამოტანის შეწყვეტას შეეცდება და ამისათვის ავიაციას, სანაპირო-სარაკეტო დანადგარებს, სწრაფსვლიან კატარღებს, წყალქვეშა ნავებს, ნაღმებსა და ტორპედოებთან ერთად თვითმკვლელთა რაზმებს გამოიყენებს.

ირანი იმუქრება, რომ თავდასხმას 11 ათასი რაკეტის დარტყმით უპასუხებს.

2007 წლის აგვისტოში ირანის ისლამური რევოლუციის დამცველთა კორპუსის უფროსი გენერალი იაჰია რაჰიმ საფარი კორპუსის საზღვაო კომპონენტის გაზრდილ სიძლიერეზე ალაპარაკდა. მისი თქმით, სანაპირო ბატარეებს სპარსეთის ყურის სიგრძე-სიგანეზე დაცხრილვა შეუძლია და ყურეში რაკეტების სამოქმედო ზონის გავლის გარეშე ვერც ერთი ხომალდი ვერ შეაღწევს. მზადყოფნაშია თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ათასამდე სწრაფმავალი კატარღა თვითმკვლელთა ეკიპაჟებით.

ირანს კარგად განვითარებული სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი აქვს, რომელიც დამოუკიდებლად ამზადებს ცეცხლსასროლ იარაღს, ტანკებს, ჯავშანტრანსპორტიორებს, სწრაფმავალ კატარღებს, საბრძოლო და სატრანსპორტო თვითმფრინავებს, სხვადასხვა დანიშნულების რაკეტებსა და საბრძოლო მასალებს. პროდუქციის ნაწილი სხვა ქვეყანაში იყიდება.

ბოლო ორი წლის მანძილზე თითქმის ყველა დიდ სამხედრო სწავლებაზე თეირანი შეიარაღების ახალი ნიმუშების დემონსტრირებას ახდენს. მათ შორის იყო: მობილური და სტაციონარული ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტები — ფრენის სიშორით 170-დან 350 კილომეტრამდე, ტორპედო — წყალქვეშა სიჩქარით 100 მეტრი/წამში, კორექტირებადი ავიაბომბები, ავიაგამანადგურებლები და სხვა.

შეიარაღების ბევრი ნიმუში ჩინური, ჩრდილოკორეული თუ საბჭოთა ანალოგების საფუძველზეა შექმნილი.

შედარებით მეტ საფრთხეს ავიაცია ქმნის, რომლის პოტენციალის ზრდაში რუსეთმა დიდი როლი ითამაშა. რუსეთ-ირანის სამხედრო თანამშრომლობა 1989 წლის ნოემბერში დაიწყო და პირველი მნიშვნელოვანი გარიგება საბრძოლო თვითმფრინავების შესყიდვას შეეხებოდა.

დღეისათვის ირანს 30 საფრონტო ბომბდამშენი Су-24 МК და 25 ავიაგამანადგურებელი МиГ-29 ჰყავს. რუსეთმა ასევე გადასცა ის საბრძოლო მასალები, რომლებიც ამ ტიპის თვითმფრინავების შეიარაღებაში შედის.



ირანელთა შეტევის ერთ-ერთი საშუალება „კილოს“ ტიპის წყალქვეშა ნავი „ნოორია“

1991 წელს, ერაყის წინააღმდეგ ომის დაწყებისას, ერაყელთა ავიაციის 7 მოიერიშე Су-25 ირანში გადმოფრინდა. ირანელ სამხედროებს Су-25-ები მოეწონათ და თბილისის საავიაციო გაერთიანებასთან მოლაპარაკებები დაიწყეს, მაგრამ ამერიკის ადმინისტრაციის ჩარევის შემდეგ გარიგება არ შედგა.

ავიაციის დიდ ნაწილს გასული საუკუნის 70-იანი წლების დამდეგს მიღებული გამანადგურებელ-ბომბდამშენები 65 F-4D/E „ფანტომ II“ და 60 F-5E/F „თაიგერ II“ შეადგენს. პირველს 6 ტონაზე მეტი და მეორეს კი 3,2 ტონამდე ბომბების, უმართავი რაკეტული ჭურვებისა და „ჰაერი-ხომალდის“ კლასის რაკეტების ტარება შეუძლია.

ორივე თვითმფრინავი საკმაოდ მოძველებულია და თეირანი თავისი ძალებით ცდილობს მდგომარეობის შეცვლას.

2007 წლის აგვისტოს დასაწყისში გამოცდა ჩაუტარდა ავიაგამანადგურებელ „აზარაქშს“, რომელიც სამამულო ტექნოლოგიების გამოყენებით F-5E „თაიგერ II“-ის საფუძველზე აიგო. მანამდე, 2006 წლის სექტემბერში, ორი ახალი საბრძოლო თვითმფრინავი „საგეჰი“ გამოიცადა. ირანელი სამხედროების მტკიცებით, „საგეჰი“ საბრძოლო მახასიათებლებით F/A-18-ს აღემატება.

მომავალში ირანელი კონსტრუქტორები მეხუთე თაობის ავიაგამანადგურებლების მშენებლობაზე გადასვლას გეგმავენ.

ცოტა ხნის წინ ცნობილი გახდა, რომ ახალი თვითმფრინავებისათვის საჭირო ძრავებს ირანი რუსეთიდან მიიღებს.

ჰორმუზის სრუტის სანაპირო ირანს ხომალდსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსებით აქვს დაცული. ისლამური რევოლუციის დამცველთა კორპუსის შემადგენლობაში შემავალი ბრიგადა „ჰაიჯი-2“ С-201 ტიპის ფრთოსანი ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტების გამშვები 8-12 დანადგარით არის აღჭურვილი.

ჩინური С-201 საბჭოთა П-15-ის ანალოგია. რაკეტის სასტარტო წონა 3000 კილოგრამი, საბრძოლო ნაწილი 513 კილოგრამი და ფრენის სიშორე 95 კილომეტრია.

საზღვაო ძალების შემადგენლობაში შემავალ სანაპირო დაცვის სამ სარაკეტო ბრიგადა „იანცზი-2“-ს С-802 ტიპის ფრთოსანი ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტის გამშვები 15-25 დანადგარი აქვს.

„იანგ ჯი 2“ С-802 ტიპის რაკეტები (წონა 715 კილოგრამი, საბრძოლო ნაწილი 165 კილოგრამი, ფრენის სიშორე 120 კილომეტრი) ჩინეთის არმიამ შეიარაღებაში 1991 წელს მიიღო.

საზღვაო ძალების შემტევ ძალას ათ-



თვითმკვლელთა რაზმებში ასეთი წყალქვეშა დივერსანტები მსახურობენ

ათი „კომბატანტ II“-სა და „ჰუდონგ ჩინოზის“ ტიპის სარაკეტო კატარღები ქმნის. თითოეული ოთხ-ოთხი ჩინური C-802 ტიპის ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტით არის აღჭურვილი.

რაკეტა C-802-ს ბგერამდე სიჩქარე აქვს და განსაკუთრებული ტექნოლოგიური სიახლეებით არ გამოირჩევა. ძლიერი რადიოწინააღმდეგობების პირობებში მოხვედრის ალბათობა 75%-ს არ აღემატება. მიუხედავად ამისა, რაკეტა C-802 თავდასხმის ერთ-ერთ საშიშ საშუალებად მაინც რჩება და ამის დასტურია გასული წლის ზაფხულის მოვლენები. კერძოდ, ლიბანში, ისრაელის არმიის ოპერაციის მსვლელობისას, 2006 წლის 15 აგვისტოს, ისრაელის ფლოტის კორვეტ „ჰანითს“ (აგებულია აშშ-ში „საარ IV“ პროექტით და მწყობრში 1995 წლის 7 თებერვალს ჩადგა) ლიბანის სანაპიროდან 16 კმ-ში პატრულირებისას ლიბანში მოქმედი რადიკალური პალესტინური ორგანიზაცია „ჰესბოლაჰის“ მებრძოლებმა რაკეტა C-802 მოარტყეს.

რაკეტის ფრენას „ჰესბოლაჰის“ მებრძოლები ბეირუთის პორტის რადარებითა და ირანელი სპეციალისტების ტექნიკური დახმარებით უზრუნველყოფდნენ, C-802-მა სტარტი ბეირუთის ერთ-ერთი საცხოვრებელი რაიონიდან აიღო.

აფეთქებამ ხომალდი მძიმედ დააზიანა და 4 მეზღვაური იმსხვერპლა. „ჰანითმა“ პატრულირება შეწყვიტა და სასწრაფოდ ბაზაში დაბრუნდა.

„ჰანითი“ ბოლო თაობის ხომალდებს მიეკუთვნება. აქვს C-802-ისა და სხვა მსგავსი რაკეტებისაგან დაცვის ისეთი სისტემები, როგორიც არის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი „ბარაქ-2“ (რეაქციის დრო 6 წამი), ექვსლულიანი 20 მმ-იანი საზენიტო-სარაკეტი კომპლექსი „ვულკან-ფალანქსი“ (წუთში 4500 გასროლა) და ორი საარტილერიო 25 მმ-იანი „სი ვულკანის“ ტიპის დანადგარი. ამის მიუხედავად, კორვეტი „ჰესბოლაჰის“ რაკეტას მაინც ვერ გადაურჩა.

წყალქვეშა ძალები ირანის ფლოტის შედარებით ახალგაზრდა სახეობაა. რუსეთმა 1991-96 წლებში თეირანს 877ЭКМ პროექტის 3 წყალქვეშა ნავი გადასცა. ცოტა ხნის წინ ისინი ყველაზე თანამედროვე და ნაკლებხმაურიანი დიზელის ძრავის მქონე სუბმარინებად ითვლებოდა. თითოეული მათგანი აღჭურვილია 533 მმ-იანი 6 სატორპედო აპარატით, ხომალდსაწინააღმდეგო აკუსტიკური და ტელემართვადი 18 ტორპედოთი, ან ტორპედოების მაგივრად 24 ნაღმის მიღება შეუძლია. საჰაერო თავდაცვისათვის წყალქვეშა ნავებზე საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი „სტრელა-3М“ არის დაყენებული.

წყალქვეშა ნავებს ექსპლუატაციისშემდგომი რემონტი-მოდერნიზაცია რუსეთში არ ჩასტარებიათ, ამდენად მათი ამჟამინდელი მდგომარეობა უცნობია.

2007 წელს ირანმა წარმოადგენა 100 ტონა წყალწყვის ჯუჯა წყალქვეშა ნავი „შადირი“, რომელსაც ტორპედოებთან ერთად წყალქვეშა დივერსანტების გადაყვანა შეუძლია. არსებული მონაცემებით, ფლოტის განკარგულებაში უკვე 3 ჯუჯა წყალქვეშა ნავი უნდა იყოს.

კვლავინდებურად დიდი საფრთხეს ქმნის ნაღმები. საამისოდ ირანის ფლოტის 14 სადესანტო ხომალდს შესაბამისი მოწყობილობები აქვს, ხოლო ფლოტის არსენალში საკმარისი რაოდენობით არის ლიბიიდან, სირიიდან, ჩრდილო კორეიდან და იუგოსლავიიდან მიღებული საბჭოთა წარმოების ნაღმები „კრაბი“, АМА-1, М-70, М-08 და ა.შ..

მსოფლიო თანამეგობრობა, ალბათ, ყველანაირად შეეცდება ირანის პრობლემის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტას და სპარსეთის ყურეში ახალი ომის დაწყებას არ დაუშვებს.

*თემურ ჩაჩანიძე*

# სამხედრო ლექსიკონი

მოგეხსენებათ, ხშირია შემთხვევა, როდესაც ქართველი სამხედრო თუ სამოქალაქო პირები რუსულ სამხედრო ტერმინოლოგიას იყენებენ. ეს იმიტომ ხდება, რომ მათ ამ სიტყვების ქართული შესატყვისი არ იციან. ამ ხარვეზის გამოსასწორებლად „არსენალი“ აგრძელებს რუსული სამხედრო ტერმინების ქართული შესატყვისების გამოქვეყნებას.

Накатник – სასრიალო მოწყობილობა
накидка – მოსასხამი
накидка зашитная – დამცავი მოსასხამი
накладка ствольная – ლულის ზესადები
наконечник – ბუნიკი
наконечник бронебойный – ჯავშანგამტანი ბუნიკი
налёт – თავდასხმა
налёт воздушный – საჰაერო თავდასხმა
налёт огневой – ცეცხლით თავდასხმა
налётчик – თავდამსხმელი
нанесение – აღნიშვნა
нанесение обстановки на карту – რუკაზე ვითარების აღნიშვნა
нанесение удара – დარტყმის განხორციელება, დარტყმა
нападающий – თავდამსხმელი
нападение – თავდასხმა
нападение внезапное – უეცარი თავდასხმა
наплавной – მოტივტივე
направление – მიმართულება
направление главного удара – მთავარი დარტყმის მიმართულება
направление противотанковое – ტანკსაწინააღმდეგო მიმართულება
направление связи – კავშირგაბმულობის მიმართულება
направляющий – მიმმართველი
нарез – ხრახნილი
нарезка – კუთხვილი
нарезной – დაკუთხვილი
нарочный – დამტარებელი, შიკრიკი
нарушитель – დამრღვევი
нарушитель границы – საზღვრის დამრღვევი
нарушитель дисциплины – წესრიგის დამრღვევი
наряд – განწესი
наряд вне очереди – რიგგარეშე განწესი

# XXI საუკუნის პარტიზანები

**ესპანეთის საგანგებო ოპერაციების დანაყოფების მეთაურთა კურსებს გასულ წელს 50 წელი შეუსრულდა. ნახევარსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე მის კედლებში დაახლოებით 1500 ესპანელი და უცხოელი მებრძოლი გაიწვრთნა.**



## შექმნის ისტორია

სასწავლო ცენტრის შექმნის იდეა 1956 წლის ოქტომბერში, ნავასერადაში თავმოყრილ ოფიცრებს დაებადათ. შეკრების მიზანი იყო განეხილათ ინფორმაციული პარტიზანული კურსის მოდერნიზების შესაძლებლობები, რომელიც კურსანტებს რთულ პირობებში მოქმედებას შეასწავლიდა. უპირველეს ყოვლისა, დღის წესრიგში დადგა პარტიზანულ ბრძოლაში სპეციალიზებული პირადი კადრებისა და დანაყოფების შექმნის საკითხი. იდეას ფრთა იმავე წლის დეკემბერში შეესხა, როდესაც სახმელეთო ჯარების სამინისტროს ოფიციალურ ბიულეტენში საჯაროდ გამოქვეყნდა ინფორმაცია პარტიზანული ქვედანაყოფების მეთაურთა კურსების გახსნის თაობაზე. მიუხედავად იმისა, რომ კურსის პირველი ნაკადისათვის სწავლება ექსპერიმენტული იყო, დაახლოებით თხუთმეტმა სამხედრო მოსამსახურემ გამოთქვა მასში მონაწილეობის სურვილი. სასწავლო წლის დასრულებისთანავე ცხადი გახდა, რომ ექსპერიმენტმა გაამართლა.

სწავლის ხარისხი ზრდიდა სასწავლებლის პრესტიჟს ისე, რომ სულ ცოტა ხანში აქ არა მხოლოდ ესპანელი, არამედ არგენტინელი, ინგლისელი, იტალიელი და პორტუგალიელი სამხედრო მოსამსახურეებიც სწავლობდნენ. კურსებისათვის განსაკუთრებით ღირსშესანიშნავ თარიღად ითვლება 1960 წელი, როდესაც სახმელეთო ჯარის სამინისტროს №131 ოფიციალურ ბიულეტენში გამოქვეყნდა მოთხოვნები კურსდამთავრებულთათვის და პარტიზანთა განმასხვავებელი ნიშანი: ორი ოქროსფერი მუხის ფოთლით მორთულ მაჩეტე. ცოტა ხნის შემდეგ ამ ნიშანს მწვანე ბერეტი და ოფიციალური ფორმაც დაემატა. 1960 წლის ზაფხულში მასწავლებლების, მეთაურთა შემადგენლობისა და კურსანტებისაგან ფორმირებულმა პარტიზანთა ქვედანაყოფმა მონაწილეობა მიიღო ერთობლივ ტაქტიკურ სწავლებაში, სახელწოდებით „ოპერაცია ალბასეტე“. ქვედანაყოფმა მაქსიმალურად გამოავლინა თავისი შესაძლებლობები და საკმაოდ კარგი შეფასებაც დაიმსახურა. სწავლება საპარაშუტო დესანტის გადასროლითა და შეტევით დაიწყო. სამწუხაროდ, მოქმედებების მსვლელობას უბედური შემთხვევის გარეშე არ ჩაუვლია: რამდენიმე გაუმართავი ხელყუმბარის აფეთქების შედეგად დაიღუპა ლეიტენანტი ანხელ ხიმენეს ბარანდა.

მიღებულმა გამოცდილებამ, კურსანტთა მუდმივმა მატებამ, სპეციალიზაციის ზრდამ, ამოცანათა რაოდენობამ და შინაარსმა, საგანგებო ოპერაციების დანაყოფების გამოყენების სამომავლო პერსპექტივამ მოითხოვა სასწავლო კურსის სტრუქტურის შეცვლა, სწავლების ეტაპებისა და შინაარსის გაფართოება. ამ გარემოებამ განაპირობა მისი სახელწოდების შეცვლაც, რომელიც შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: საგანგებო ოპერაციების ქვედანაყოფების მეთაურთა კადრების მოსამზადებელი კურსი.

სასწავლებლის არსებობის მეთორმეტე წელს დაიწყო კურსანტების გაცვლა გერმანიაში განთავსებულ აშშ-ის სპეციალური ძალების ქვედანაყოფებთან. ჩატარდა სასწავლო წვრთნები ბედ ტოლზსა და ფუენტევენტურას უდაბნოში.

1971 წლის თებერვალში გატარდა მორიგი რეორგანიზაცია და შეიქმნა საგანგებო ოპერაციების ქვედანაყოფების მეთაურთა კადრების მოსამზადებელი უმაღლესი კურსი, რომელიც ოფიცრებისათვის იყო განკუთვნილი. სასწავლებელმა გადაწყვიტა წელიწადში ორჯერ გამოეცხადებინა მიღება საბაზო მოსამზადებელ კურსზე უნტერ-ოფიცრებისა და უფროსი კაპრალებისათვის. ამავე წლიდან კურსანტებისა და სახმელეთო ჯარის აერომობილური ძალების ინტერესების გათვალისწინებით სწავლებაში ინტენსიურად დაიწყეს შვეულმფრენების ჩართვა. სასწავლო მიზნებისათვის ამ ტიპის სამხედრო შეიარაღების მუდმივმა გამოყენებამ საგრძნობლად გაზარდა ამოცანათა რაოდენობა და შინაარსი. ახლა კურსანტებს უწევდათ ისეთი ოპერაციების ჩატარება, როგორიცაა: რეკოგნოსცირება, კავშირის დამყარება, პირადი შემადგენლობების გადაყვანა, საპარაშუტო დესანტის გადასროლა, სამაშველო სამუშაოების ჩატარება და მოსახლეობის ევაკუაცია.

1975 წელს ცენტრმა სამთო-ქვეითთა და საგანგებო ოპერაციების სამხედრო სასწავლებლის სახელწოდება შეიძინა, მის ემბლემაზე კი პარტიზანთა მაჩეტე გამოსახეს. აშშ-ის სპეციალურ ქვედანაყოფებთან თანამშრომლობის შემდგომ საგანგებო ოპერაციების კურსმა საზღვარგარეთ ჩატარებულ მრავალ სხვადასხვა სამხედრო სწავლებაში მიიღო მონაწილეობა, მათ შორის საფრანგეთშიც, რომლის სამხედრო მოსამზადებელ ცენტრთანაც დღემდე აგრძელებს თანამშრომლობას.

1981 წელს პარტიზანთა მოსამზადებელი კურსების 25-ე წლისთავთან დაკავშირებულ საზეიმო მიღებაზე, რომელსაც ესპანეთის მონარქიც კი ესწრებოდა, უამრავი კურსდამთავრებული და ვეტერანი შეიკრიბა. ამავე წელს ასრულდა მათი სანუკვარი ოცნება — შეიქმნა საგანგებო ოპერაციების ასეული სასწავლო ქვედანაყოფის შემადგენლობით. სამხედრო სას-



წავლებლისათვის მორიგი მნიშვნელოვანი მოვლენა გახლდათ 1990 წლის 1-ელ სექტემბერს წარმოებული საგანგებო ოპერაციების მზვერავთა რაზმის წვრთნა. მიუხედავად იმისა, რომ მასში მონაწილეობდნენ გერმანელი, ბულგარელი, ესპანელი, ფრანგი, ბერძენი, ჰოლანდიელი, იტალიელი, პორტუგალიელი და ბრიტანელი სამხედრო მოსამსახურენი, სწავლება არ ატარებდა შეჯიბრების ხასიათს. წვრთნა იყო რთული და მიმდინარეობდა თითქმის ნულოვან მერიდიანზე. მისი ხანგრძლივობა შეადგენდა 48 საათს, სწავლების ამოცანა იყო გუარის მთიანი სისტემისა და კანიონების მარშით, ხოლო მედანოსა და ელ გადოს ჭაობების გასაბერი ნავებით გადალახვა. სახმელეთო მარშის განფენილობამ 65 კმ, ნავით გადაადგილებამ 35 კმ, ხოლო ცურვით წყლის გადალახვამ 2,5 კმ შეადგინა.

დღეს, ისევე როგორც მრავალი წლის წინ, სამთო-ქვეითთა და საგანგებო ოპერაციების სამხედრო სასწავლებელი ხაკას მუნიციპალიტეტშია განლაგებული. 205-დღიანი კურსი მიზნად ისახავს მეთაურთა კადრებისათვის ისეთი სწავლების შეთავაზებასა და თვისებების გამომუშავებას, რომელიც აუცილებელია საბრძოლო ამოცანების შემუშავების, დაგეგმვისა და შესრულებისათვის. ამასთან, მისი მიზანია გაზარდოს კადრების კვალიფიკაცია ოპერატიულ და სტრატეგიულ დონეებზე, ზემდგომ რგოლებში შემუშავებული, დაგეგმილი და წარმოებული ამოცანების შესრულებისას მეთაურობისათვის დახმარების აღმოსაჩენად.

თანამედროვე ბრძოლის წარმოების მანერამ, საბრძოლო მოქმედებების მრავალფეროვნებამ და რისკმა, რომელიც მუდმივად ემუქრება ჯარს, გაზარდა საგანგებო ოპერაციების ჩატარების მნიშვნელობა და ამავე სახელწოდების მატარებელი ქვედანაყოფების გამოყენების აუცილებლობა.

ესპანეთში მოქმედი სახმელეთო ჯარის დოქტრინაში საგანგებო ოპერაციების ქვედანაყოფის მნიშვნელობა განსაზღვრულია, როგორც „ქვედანაყოფი, რომელიც შექმნილი, აღჭურვილი და გაწვრთნილია ისეთი ამოცანების შესასრულებლად, რომლის მიზნიდან, მეთოდიდან, შესაძლებლობიდან და ხასიათიდან გამომდინარე არ შეიძლება დაევალოს სხვა დანაყოფებს“. დოქტრინაში ასევე მითითებულია, რომ ამოცანათა მრავალფეროვნებისა და სირთულის გამო ქვედანაყოფს უნდა ჰყავდეს კარგად მომზადებული პირადი შემადგენლობა.

საგანგებო ოპერაციები ტარდება მშვიდობიან პერიოდში, კრიზისის ან ომის დროს; ჩვეულებრივ, სტრატეგიულ ან ოპერატიულ რგოლებში, გამონაკლის შემთხვევებში, შეიძლება ჩატარდეს ტაქტიკურ რგოლშიც. აქედან გამომდინარე, საგანგებო ოპერაციების ქვედანაყოფის მეთაურთა კურსს დიდი მნიშვნელობა აქვს.

კურსი, რომელიც წელს ორმოცდამეთერთმეტედ გაიხსნა და სადაც სწავლებას ესპანეთის სახმელეთო ჯარის, საზღვაო და საჰაერო ძალების, სამოქალაქო გვარდიის ოფიცრები და უნტერ-ოფიცრები გადიან, ცოდნას ეწაფებიან ასევე ჩილეს, კოლუმბიის, გონდურასის, ნიკარაგუის, დომინიკელთა რესპუბლიკისა და ვენესუელის სამხედრო მოსამსახურენი. ეს კიდევ ერთხელ ცხადყოფს ამ სასწავლებლის პრესტიჟულობასა და პოპულარობას.

## სწავლება

საგანგებო ოპერაციების ქვედანაყოფის მეთაურთა კურსებზე სწავლება სამ ძირითად საფეხურად იყოფა: საბაზო, სპეციალური და პრაქტიკული ეტაპები.

საბაზო ეტაპი ტექნიკურ სწავლებას ითვალისწინებს, რაც საშუალებას იძლევა მოამზადონ და გამოარჩიონ ის კურსანტები, რომლებიც სპეციალური ოპერაციების ქვედანაყოფის წევრები იქნებიან. ეს ეტაპი ყოველდღიურად 11,5-საათიანი დატვირთვით თვრამეტ კვირას გრძელდება. დილის, დღისა და საღამოს საათებში (პროპორციით 22% და 78%; 73% და 27%) ისწავლება ტოპოგრაფია, შეიარაღება და საცეცხლე მომზადება, ასაფეთქებელ ნივთიერებებთან მუშაობა, აეროფოტოგადაღება, კავშირგაბმულობა და დაზვერვა, პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა. ასევე ინტენსიურად მიმდინარეობს ფიზიკური მომზადება, ხელჩართული ბრძოლის დახვეწა, პარაშუტით ხტომის შესწავლა, წყალზე და ზამთრის პირობებში მთაში გადაადგილება და ბრძოლაში გაწვრთნა.



ტოპოგრაფია ისწავლება ოთხი კვირის განმავლობაში. კურსანტები სწავლობენ დღისა და ღამის პირობებში რუკასთან მუშაობის წესებს, ადგილზე ორიენტირების

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშუალებებს. ამ ერთი თვის მანძილზე პრაქტიკულად სწავლობენ დღისითა და ღამით ინდივიდუალურად გადაადგილებას (წვრთნის საწყის ეტაპზე კურსანტები წყვილად მოქმედებენ). ერთი კვირის განამვლობაში ისწავლება კლდეზე ცოცვა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დამხმარე საშუალებებით სხვადასხვა მთიან ზედაპირზე ასვლისა და ჩამოსვლის, ალპინიზმის უმთავრესი ელემენტების შესწავლას. პირველ ეტაპზე სწავლება დაბრკოლებათა მთელი წყების პრაქტიკული გადალახვით სრულდება, რომლის დროსაც კურსანტმა შეძენილი ცოდნა და თვისებები მაქსიმალურად უნდა გამოავლინოს. გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში მას ეძლევა ჩათვლა და მეორე ეტაპზე გადასვლის უფლება.

საცეცხლე მომზადება შვიდი კვირის მანძილზე ძალზე აქტიურად მიმდინარეობს ბატიელიას სასროლ მოედანზე. თავდაპირველად, კურსანტები იმეორებენ სხვადასხვა სახის იარაღთან დაკავშირებულ თეორიულ მასალას და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებენ მათი მოხმარების შესწავლას. არსებობს თანმიმდევრობაც, რომლის თანახმადაც კურსანტი ჯერ პისტოლეტის, მერე კი ავტომატური და სნაიპერული შაშხანის სროლას სწავლობს. სასროლ მოედანზე ჯარისკაცის რეაქციას მოულოდნელი სამიზნეების გამოჩენით ავარჯიშებენ, — ინსტრუქტორი კურსანტებს უხვევს თვალებს და დეზორიენტაციისათვის სხვადასხვა მოძრაობის შესრულებას სთხოვს (რამდენიმე ბრუნი ადგილზე, ზურგით წინ სირბილი, ხოხვა და სხვ.).

ამგვარად, სწავლების პირველ ეტაპზე დასრულებისას კურსანტები ცეცხლსასროლი იარაღის ინდივიდუალურად გამოყენებას ეუფლებიან.

ორი კვირა ეთმობა ასაფეთქებელ ნივთიერებებთან მუშაობას, ღობურებისა და ხლართების მოხსნის, ასაფეთქებელი საშუალებებით გადალახვისა და სხვადასხვა ჭურვის მომზადების შესწავლას.

ხუთკვირიანი პარაშუტებით ხტომის შემსწავლელი კურსი „მენდეს პარადას" სადესანტო აკადემიაში მიმდინარეობს, რომლის დროსაც თითოეულმა კურსანტმა დღისითაც და ღამითაც ოცდახუთი ნახტომი უნდა შეასრულოს.

კურსის პირველ ეტაპზე განსაკუთრებული ინტენსიურობით ისწავლება კავშირგაბმულობა, მაღალსიხშირიანი გადამცემი ხელსაწყოების მოხმარება.

როგორც წესი, დეკემბერსა და იანვარში, ხუთი კვირის მანძილზე, სასწავლებელი ატარებს მთიან რეგიონში გადაადგილებისა და ბრძოლის შემსწავლელ წვრთნებს. კურსანტები სწავლობენ თოვლით თავდაცვითი ნაგებობების აგებას, თხილამურებით სრიალს, საცეცხლე მომზადებას, ტაქტიკურ გაშლას, კავშირგაბმულობის საშუალებების მოხმარებას, დაღუპულებისა და დაჭრილების აღმოჩენასა და ევაკუაციასთან დაკავშირებული ამოცანების შესრულებას.

ხელჩართული ბრძოლის შემსწავლელი კურსი კურსანტებს მოწინააღმდეგესთან შეტაკებისას ნებისმიერი სიტუაციიდან ღირსეულად გამოსვლის საშუალებას ასწავლის, მით უმეტეს, თუკი საშტატო იარაღის გამოყენება შეუძლებელია მისი გაუმართაობის ან დასახული ამოცანის ხასიათის გამო.

ამ საფეხურის წარმატებით დასრულების შემდეგ კურსანტები გადადიან მომზადების სპეციალურ ეტაპზე, რომელიც თებერვალში იწყება და ათ თვეს გრძელდება. მისი მიზანია კურსანტს მისცეს დამატებითი ცოდნა, რომელიც აუცილებლად დასჭირდება სპეცოპერაციული ამოცანების შესრულებისას. კერძოდ, ბრძოლის წარმოებასთან დაკავშირებული საშუალებების, სადაზვერვო მოქმედებების, დასახლებულ პუნქტებში ტაქტიკური მოქმედებებისა და ამოცანების დასახვის, საჰაერო დესანტის შემადგენლობაში საომარი მოქმედებებისა და თავის გადარჩენის მეთოდების შესწავლა.

ომის წარმოების საშუალებებისა და სადაზვერვო მოქმედებების ჩატარების სამკვირიანი ინტენსიური სწავლება მოიცავს სამ მიმართულებას: 1) იმ ვითარებასა და მდგომარეობასთან შეგუება, რომლებშიც მოუწევს მოქმედება სპეციალური ოპერაციების ამოცანების შესრულებისას ჯარისკაცს; 2) დამოუკიდებლად თუ გუნდურად ბრძოლის წარმოების შესაძლებლობების გამომუშავება; 3) მოწინააღმდეგის რიგებში შეღწევის დაგეგმვის, მომზადებისა და ამოცანათა შესრულების შემდეგ უკან დაბრუნების შესწავლა. ამავე დროს მუშავდება მოწინააღმდეგის კონტროლირებადი ტერიტორიის შეუმჩნევლად გადალახვის შესაძლებლობები, იმ პირობებში, როდესაც ეს უკანასკნელი ყველაზე თანამედროვე ამომცნობი და სათვალთვალო აპარატურით არის აღჭურვილი. ესენია: ინფრაწითელი, რადიოლოკაციური და სენსორული ხელსაწყოები. ამ დაბრკოლებათა გარდა მზვერავებმა უნდა გადალახონ სხვადასხვა წინაღობა, რომელთაც განგებ უქმნიან წვრთნისა და მიღებული ცოდნის მაქსიმალურად გამოვლენის მიზნით.

კურსი, რომელიც ეხება ქალაქის პირობებში საომარ მოქმედებებს, სპეციალურ პოლიგონზე იმართება და მიზნად ისახავს კურსანტებისათვის შენობების სახურავებიდან, შახტებიდან და კოლექტორებიდან აღების, ელექტროგადამცემ ბოძებზე მოძრაობის, მოწინააღმდეგის ცეცხლის დროს ქუჩის გადაკვეთისა და სხვა მანევრების შესრულების შესწავლას. თითოეული ამოცანის დაგეგმვა და შესრულება, საგანგებო ოპერაციების ჩასატარებლად საშუალებების შერჩევა მიმდინარეობს ტაქტიკური მომზადების ჩარჩოში. ეს გულისხმობს ჯარისკაცთა ბაზაში მისასვლელ პერიოდსა და შემდგომ იქ განთავსებას. სახმელეთო ჯარის აერომობილური ძალების ბაზაში განლაგების შემდეგ გამოიყენება ადგილზე არსებული შესაძლებლობები და შეიარაღება, კურსანტები სწავლობენ სპეციალური და აერომობილური ოპერაციების დაგეგმვას, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ამოცანათა შესრულებისას. კურსის სწრაფად ასათვისებლად კურსანტებს მოეთხოვებათ ე.წ. „თემა ნულის" შესრულება.

კომპლექსურ სწავლებას დაასრულებს მესამე ეტაპი, რომლის დროსაც კურსანტები პრაქტიკულად ამუშავებენ საგანგებო ოპერაციების ამოცანათა მთელ რიგს, ბრძანების მიღების მომენტიდან ამოცანის შესრულების შემდეგ ოპერატიულ ბაზაში დაბრუნებამდე.

კურსანტები ეცნობიან სხვადასხვა სამოქალაქო თუ სამხედრო ობიექტს, რათა ერთი მხრივ, გაეცნონ ქვედანაყოფებს, რომელთაც მსგავსი თავისებურებები აქვთ, მეორე მხრივ კი თვალნათლივ დაინახონ, როგორ მუშაობს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის სამხედრო თუ სამოქალაქო ობიექტების თავდაცვის სისტემა (ბირთვული ელექტროსადგურები, ნავთობგადამამუშავებელი ქარხნები, შტაბები, სამეთაურო პუნქტები, ბაზები და ა.შ.), რომლებიც შესაძლოა თავდასხმის ობიექტებად იქცნენ.

სწავლების ბოლო ეტაპზე, რომლის ხანგრძლივობა ათ კვირას შეადგენს და მაისიდან ივლისის ჩათვლით გრძელდება, ისწავლება წყალზე ბრძოლის წესები; გასაბერი, ძრავიანი თუ ნიჩბიანი ნავების მართვა, სროლა და ასაფეთქებელი ნივთიერებების გამოყენება, სრული აღჭურვილობით ცურვა, ავტონომიური საყვინთი მოწყობილობის გამოყენება. კურსს ასევე ემატება სანაპიროზე განლაგებული ობიექტის შტურმით აღების სწავლება, რომლის დროსაც პარაშუტით ღია ზღვაში გადასმული მზვერავთა რაზმი გასაბერი ნავების მეშვეობით მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე შედის, ხოლო ამოცანის შესრულების შემდეგ ხომალდზე ბრუნდება, რომელიც ზღვაში უცდის.

ესპანეთის საგანგებო ოპერაციების ქვედანაყოფის მეთაურთა მომზადება საკმაოდ მაღალ დონეზე რომ მიმდინარეობს, ამის დასტურია საერთაშორისო ექსპერტების შეფასებაც. ამგვარად, „XXI საუკუნის პარტიზანები" (ასე უწოდებენ ხოლმე კურსდამთავრებულებს) ნებისმიერი სირთულის სამხედრო ამოცანის შესრულებისათვის მუდმივად მზად არიან.

# არსენალვორდი



**თარაზულად:** 1. მექსიკური ავტომატური შაშხანა; 5. ღამის ფრინველი; 6. მთავარი როლის შემსრულებელი ფილმში „ჯარისკაცის მამა“; 9. სამაგიეროს მიზღვა ბრძოლაში დამარცხებისათვის; 10. ჩილელი დიქტატორი; 13. უკრაინის დედაქალაქი; 14. ესპანელი ჩოგბურთელი; 15. „ფოლკსვაგენის“ მოდელი; 18. დიდი ხვლიკი; 19. მაჰმადიანთა რელიგია; 20. იტალიის ფეხბურთის გუნდი; 22. „ჰაერი-ჰაერი“-ს ტიპის ფრანგული საავიაციო რაკეტა; 25. მონღოლეთის არმიის ჯარისკაცი; 26. ინდური საშუალო სიშორის ბალისტიკური რაკეტა; 28. პაკისტანის გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი; 29. ინგლისის XVII საუკუნის ბურჟუაზიული რევოლუციის ლიდერი; 30. რევოლუციონერ ერნესტო გევარას მეტსახელი; 31. მუსიკალური ნოტი; 32. იაპონური პისტოლეტი; 33. დედმამიშვილი.

**შვეულად:** 1. იარაღის მწარმოებელი გერმანული ფირმა; 2. ცივი იარაღი; 3. პირველი რუსი კოსმონავტი; 4. ქართული მინერალური წყალი; 7. ციხის გალავანი; 8. ფრანგული ავტომობილი; 10. ნორვეგიული გემსაწინააღმდეგო რაკეტა; 11. მხეცი; 12. აშშ-ის კოსმოსური ხომალდის „შატლის“ სახეობა; 13. დიდი სწრაფმავალი სამხედრო გემი; 16. ინგლისური რევოლვერი; 17. გერმანული რევოლვერი; 21. იტალიური პისტოლეტი; 23. დამუხტული ნაწილაკი; 24. აშშ-ის საზღვაო-ქვეითი ჯარების ავიაბაზა; 26. არგენტინული პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი; 27. კატისებრთა ოჯახის მტაცებელი; 28. საბრძოლო ნადავლი.

---

*ჟურნალის წინა ნომერში გამოქვეყნებული „არსენალვორდის“ პასუხები:* **თარაზულად:** 1. მანიუფრანსი; 6. ტერნე; 7. კორვეტი; 8. დენთი; 10. მიჩმანი; 12. ბრიგადირი; 16. ბერსა; 17. რეალი; 18. ოდესა; 19. ამური; 20. ორიონი; 23. კოკი; 25. სიათა; 26. ინფანტერია; 28. იგლი; 29. ბარი; 30. ოპელი; 31. უნო; 32. ნაგი; 33. აჯიტი. **შვეულად:** 1. მატადორი; 2. ნარინი; 3. ურეკი; 4. არავა; 5. სოლტამი; 9. აჩა; 11. აბერდინი; 12. ბარბაროსი; 13. ივაკუნი; 14. ამიტი; 15. ბატალია; 21. ოზარიო; 22. ინტერესი; 23. კარაბინი; 24. კვადრიგა; 27. ნაგანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საშინელი დაბომბვის გამოძახილი

**2007 წლის 1-ელ ნოემბერს კოლამბუსში, ოჰაიოს შტატში, 92 წლის ასაკში გარდაიცვალა ამერიკელი პილოტი პოლ ტიბეტსი, რომელმაც ჰიროსიმაში ატომური ბომბი ჩამოაგდო, სამი წლით ადრე კი გენერალი სუინი, რომელმაც ნაგასაკი დაბომბა...**

გენერალმა ტიბეტსმა, ისევე როგორ სხვა ოფიცრებმა, რომლებიც იაპონიის ატომურ დაბომბვაში მონაწილეობდნენ, ხანგრძლივი სიცოცხლე განვლეს, კარგი (თუმც არა თავბრუდამხვევი) კარიერა გაიკეთეს და თადარიგში აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების ბრიგადის გენერლების წოდებით გავიდნენ. სიცოცხლის ბოლომდე ტიბეტს ეჭვი არ შეჰპარვია იმაში, რომ სწორად მოიქცა.

მსოფლიოში ყველაზე ცნობილი მფრინავის სიკვდილმა მსოფლიოს კვლავ გაახსენა ის ერთადერთი ოპერაცია, რომელმაც უკვდავყო მისი სახელი. ინტერესი მით უფრო დიდია, რამდენადაც ჰიროსიმისა და ნაგასაკის დაბომბვა პირველი, და ჯერჯერობით უკანასკნელი, შემთხვევაა ბირთვული იარაღის გამოყენებისა.

ჰიროსიმის დაბომბვის წინა პირობები 1942 წლის სექტემბერში წარმოიშვა, როცა აშშ-ში სტარტი აიღო „მანჰეტენის პროექტმა“, რომლის ჩარჩოში მიმდინარეობდა ბირთვული იარაღის შემუშავება. პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი იყო რობერტ ოპენჰაიმერი, კურატორი და ორგანიზატორი კი გენერალი ლესლი გროუვზი, რომელსაც შეუზღუდავი უფლებამოსილება ჰქონდა მინიჭებული (მოგვიანებით ეს სქემა გადმოიღო საბჭოთა კავშირმაც, სადაც პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელობა იგორ კურჩატოვს დაეკისრა, საორგანიზაციო და საკონტროლო ფუნქციები კი ლავრენტი ბერიას).

„მანჰეტენის პროექტზე“ მუშაობდა გამოჩენილი მეცნიერების მთელი პლეადა: ედვარდ ტელერი, ენრიკო ფერმი, ლეო სცილარდი, ჯონ ფონ ნეიმანი და სხვები. სხვათა შორის, მიუხედავად გავრცელებული შეხედულებისა, ალბერტ აინშტაინი პროექტში არ მონაწილეობდა. არადა, მისი, ლეო სცილარდისა და სხვა მეცნიერების ერთობლივი წერილი რუზველტისადმი, რომელიც ჯერ კიდევ 1939 წელს დაიწერა, პროექტის ამოსავალი წერტილი იყო. მიუხედავად ამისა, აშშ-ის სპეცსამსახურები არ ენდობოდნენ მეცნიერს, — ის არაკეთილსაიმედო პირად მიაჩნდათ. თავად აინშტაინს კი მთელი სიცოცხლე აწუხებდა კითხვა ბირთვული იარაღის გამოყენების მორალურობაზე.



პოლ ტიბეტსი

1944 წლის შუა ხანებში ნათელი შეიქნა, რომ ეფექტიანი ბირთვული მუხტის შექმნა უახლოეს თვეებში დასრულდებოდა და აშშ-ის არმიის მეთაურობამ დაიწყო ახალი იარაღის პრაქტიკულად გამოყენებისთვის მზადება. პირველი სამხედრო ნაწილი, რომელსაც უნდა გამოეყენებინა ატომური ბომბი, 509-ე შერეული საავიაციო ჯგუფი იყო, რომელიც დიდი სიმძლავრის საავიაციო ბომბების გამოცდისათვის და გამოყენებისათვის შეიქმნა. არჩევანი შეჩერდა სტრატეგიულ ბომბდამშენ B-29-ზე, რომელსაც იმ დროისათვის უნიკალური საფრენი თვისებები ჰქონდა. რომელი ქალაქები — გერმანული თუ იაპონური — გახდებოდნენ სამიზნე, ჯერ კიდევ უცნობი იყო. პროექტის მონაწილენი ჩქარობდნენ — 1944 წლის შემოდგომაზე ვარაუდობდნენ, რომ გერმანელები, რომლებმაც თავის დროზე აღმოაჩინეს ურანის ბირთვის დაშლის ჯაჭვური რეაქცია, ბირთვული იარაღის შემუშავების დამამთავრებელ ეტაპზე იყვნენ.

ბომბდამშენების გარდა, 509-ე ავიაჯგუფის შემადგენლობაში შეიყვანეს სატრანსპორტო თვითმფრინავები C-54-ები, რამაც განაპირობა მისი, როგორც „შერეულის“ კლასიფიკაცია. ახალი სამხედრო ნაწილი 1944 წლის 9 დეკემბერს ჩამოყალიბდა და საბრძოლო მზადებას 17 დეკემბერს შეუდგა, შტატ იუტას ავიაბაზა უენდოვერში. B-29-ები, რომელთაც ჯგუფი იყენებდა, პროექტ SILVERPLATE-ის მიხედვით იყო მოდერნიზებული.

ორიგინალური თვითმფრინავებისგან ისინი განსხვავდებოდნენ ბომბლიუკის გაზრდილი ზომითა და ბომბდამჭერების გაძლიერებული საკეტებით. გარდა ამისა, თვითმფრინავები აღჭურვილი იყო აფეთქების შედეგის მაფიქსირებელი კამერებით, კაბინის მინებსა და ბლისტერებზე კი ფარდებით, რაც ეკიპაჟს აფეთქების დამაბრმავებელი ნათებისგან იცავდა. გარეგნულად ატომური ბომბების მატარებელი თვითმფრინავები „თანამოძმეთაგან“ ხასხასა შეფერილობით გამოირჩეოდა — მათ ღია ფერებით — თეთრით, ვერცხლისფრითა და ცისფრით ღებავდნენ. რამდენიმე კი საერთოდ არ შეღებილა და მზის სხივებზე პოლირებული დიურალით ბრწყინავდა.

1945 წლის აპრილში 509-ე ავიაჯგუფის შემადგენლობაში 14 მომზადებული ეკიპაჟი იყო, რომელთაგან თითოეულმა არანაკლებ 50 სასწავლო გაფრენა შეასრულა ინერტული საბრძოლო მასალის ჩამოგდებით.

ამ დროისათვის უკვე ნათელი იყო, რომ ატომური ბომბების სამიზნე იაპონიის ქალაქები იქნებოდა. აშშ-ის ჯარები განთავსდნენ კუნძულ ტინიანზე, ხმელეთის პატარა ნაგლეჯზე,



B-29 „ბოქსკარი“




B-29 „ენოლა გეი“



ბომბი „პაწაწინა"



ბომბი „სქელუნა"

რომელიც მარიანის არქიპელაგში შედიოდა.

ამასობაში აშშ-ში გამოცადეს DEVICE – ასე უწოდეს პირველ ბირთვულ საბრძოლო მასალას. DEVICEააფეთქეს ალამოგორდოს პოლიგონზე, შტატ ნიუ-მექსიკოში, 1945 წლის 17 ივლისს. პოტსდამში მყოფმა ამერიკის პრეზიდენტმა ჰარი ტრუმენმა ჩერჩილსა და სტალინს აუწყა წარმატებული გამოცდის შედეგი. ტრუმენი, რომელმაც „მანჰეტენის პროექტის" დანიშნულება რუზველტის გარდაცვალების შემდეგ შეიტყო, იმედოვნებდა, რომ სტალინი დაფრთხებოდა, მაგრამ მას წარბიც არ შეუხრია. მიულოცა ამერიკელი მეცნიერების წარმატება და თავის რეზიდენციაში გაემგზავრა. კურჩატოვის პატაკებიდან მან უკვე იცოდა, რაც იმალებოდა „დიდი გამანადგურებელი ძალის მქონე ბომბის" მიღმა, საბჭოთა დაზვერვა კი ინტენსიურად მუშაობდა „მანჰეტენის პროექტის" შემსრულებლების გადაბირებაზე.

16 ივლისს ბომბი კრეისერ „ინდიანაპოლისზე" მოათავსეს, რომელიც დაუყოვნებლივ გავიდა ზღვაში. 26 ივლისს მან კუნძულ ტინიანზე ჩაიტანა პირველი ბირთვული ბომბი „პაწაწინა". 1945 წლის 28 ივლისსა და 2 აგვისტოს ტინიანზე თვითმფრინავებით ჩაიტანეს ბომბ „სქელუნას" კომპონენტებიც.

1945 წლის მაის-ივნისში სამიზნეების შერჩევის კომისიამ ვაშინგტონში შესაძლო სამიზნეებად კიოტო, ჰიროსიმა, ნიიგატუ და კოკურის არსენალი დაასახელა. კომისიამ უარყო ამ იარაღის წმინდა სამხედრო მიზნით გამოყენება, რადგან „ეს გააქარწყლებდა აფეთქების ფსიქოლოგიურ ეფექტს, რომელიც მოწინააღმდეგეზე უნდა მოეხდინათ". გენერალი გროუვზი ძირითად სამიზნედ კიოტოს განიხილავდა, რადგან „მას მილიონზე მეტი მოსახლეობა ჰყავდა, რაც აფეთქების კარგ ეფექტს გვპირდება; გარდა ამისა, მას უზარმაზარი ფართობი უჭირავს, რომელზეც თავისუფლად თავსდება განადგურების ზონის სავარაუდო დიამეტრი". მიუხედავად ამისა, აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ჰენრი სტიმსონმა კიოტო სიიდან ამოიღო მისი კულტურული მნიშვნელობის გამო და სიაში პირველი ადგილი ჰიროსიმამ დაიკავა.

5 აგვისტოს პოლკოვნიკმა ტიბეტსმა თავისი მანქანა „მონათლა" – B-29-ს ჯგუფის მეთაურის დედის პატივსაცემად „ენოლა გეი" დაარქვეს. 1945 წლის 6 აგვისტოს, 2სთ-სა და 45 წთ-ზე, სათადარიგო თვითმფრინავის, სამი სადაზვერვო და ორი საკონტროლო თვითმფრინავების თანხლებით „ენოლა გეი" ნორტ ფილდის აეროდრომიდან აფრინდა და იაპონიისკენ აიღო გეზი.

დაახლოებით 7.15 სთ-ზე თვითმფრინავები იაპონიის ჰაერსაწინააღმდეგო რადარებმა შენიშნეს, მაგრამ იაპონელებმა შემადგენლობის სიმცირის გამო ივარაუდეს, რომ B-29 სადაზვერვო მისიას ასრულებდა და გამანადგურებლები გზის გადასაჭრელად აღარ გაუშვეს (ამ დროისათვის იაპონიის სამხედრო-საჰაერო ძალებში საწვავის მწვავე დეფიციტი იყო). 8.00 სთ-ზე ჰიროსიმაში გააუქმეს საჰაერო განგაში – რადიოთი გამოაცხადეს, რომ თვითმფრინავების გამოჩენისთანავე საჭირო იყო თავშესაფრებში დამალვა, თუმც ისინი უფრო სადაზვერვო მისიას ასრულებენ და დაბომბვისა არ უნდა გვეშინოდესო.

7.45 საათზე აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების კაპიტანმა უილიამ სტერლინგ პარსონსმა – ბირთვული ბომბის ექსპლუატაციის მთავარმა ტექნიკურმა სპეციალისტმა – ბომბის ელექტრულ ჯაჭვში დამცავები დააყენა და კვება ჩართო. ბომბიანი თვითმფრინავის დაბრუნება შეუძლებელი შეიქნა. 14:17 სთ-ზე ლიუკი გაიხსნა და ბომბი ჩამოაგდეს, რის შემდეგაც ტიბეტსმა თვითმფრინავი შემოაბრუნა და მაქსიმალური სიჩქარით დატოვა ბომბის ჩამოგდების ადგილი. 15:02 საათზე, ჰიროსიმის ცენტრიდან 600 მეტრში, ერთ-ერთი ხიდის თავზე აფეთქდა ატომური ბომბი. აფეთქების სიმძლავრე 30 კილოტონას უტოლდებოდა, სრული განადგურების რადიუსი 1,6 კილომეტრს, ხანძრების ფართობი კი 11,4 კილომეტრს. ჰიროსიმის შენობათა 90% დაინგრა ან ძალზე დაზიანდა. მსხვერპლის რაოდენობამ, 255-ათასიანი მოსახლეობიდან, დაახლოებით 80 ათასი კაცი შეადგინა. ნგრევა მით უფრო ძლიერი იყო, რომ იაპონური შენობები იოლად ემორჩილებოდა ცეცხლს და სრულიად ვერ უძლებდა დარტყმის ტალღას. ჰიროსიმის ადგილას სხვა ევროპული ქალაქი რომ ყოფილიყო, შენობათა განადგურების პროცენტი გაცილებით ნაკლები იქნებოდა. მოგვიანებით მსხვერპლის რაოდენობა გაიზარდა სხივური დაავადების გამო, რამაც სულ 140 ათასი კაცი შეადგინა.

„საშინელი აფეთქების" შესახებ ცნობამ იაპონიის გენშტაბი ჩიხში შეიყვანა – გენერალიტეტმა იცოდა, რომ ჰიროსიმა არ იყო მძლავრი თავდასხმის ობიექტი, იქ ასაფეთქებელი საბრძოლო მასალების საწყობები არ ჰქონდათ, რომ დივერსიის გამო, თავად აფეთქებულიყო. მომხდარის ნამდვილი მიზეზი აფეთქებიდან 16 საათის შემდეგ გაირკვა – ვაშინგტონმა ახალი იარაღის წარმატებით გამოყენების შესახებ გააკეთა განცხადება.

რადგან იაპონია კაპიტულირების სურვილს არ ამჟღავნებდა, 9 აგვისტოს მეორე სამიზნის რიგი დადგა. ამჯერად მსხვერპლი ნაგასაკი შეიქნა. ამ გაფრენაში პოლკოვნიკი ტიბეტსი არ მონაწილეობდა. დარტყმა ქალაქს მიაყენა „ბოქსკარმა", რომელსაც ჩარლზ სუინი მართავდა.

ნაგასაკის ბირთვულმა დაბომბვამ 74 ათასი კაცი იმსხვერპლა. მოგვიანებით ეს რიცხვი გაიზარდა სხივური დაავადებით დაღუპულთა გამო. ამ დროისათვის იაპონიის ხელისუფლებამ უკვე სავსებით გააცნობიერა მომხდარის მასშტაბი – იაპონელმა ფიზიკოსებმა სათანადო ანგარიშიც წარუდგინეს მთავრობას, ამასთან, მანჯურიაში საბჭოთა ჯარები შეტევაზე გადმოდიოდნენ, და იმპერია იძულებული შეიქნა, კაპიტულაცია გამოეცხადებინა...

**P.S.** პოლკოვნიკმა ტიბეტსმა სამსახური გააგრძელა აშშ-ის არმიის საავიაციო კორპუსში, რომელიც 1947 წელს აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალებად გადაკეთდა. 1959 წელს ბრიგადის გენერლის წოდება მიიღო. 60-იანი წლების დასაწყისში დაინიშნა სამხედრო ატაშედ ინდოეთში, მაგრამ მოვალეობის შესრულებას ვერ შეუდგა საპროტესტო გამოსვლების გამო. 1966 წელს ტიბეტსი თადარიგში გავიდა.

ბომბდამშენი „ენოლა გეი" ამჟამად აშშ-ის ავიაციისა და კოსმონავტიკის ნაციონალურ მუზეუმშია. კრეისერ „ინდიანაპოლისს" ყველაზე ძვირად დაუჯდა იაპონიის ქალაქების დაბომბვაში მონაწილეობა, 1945 წლის 30 ივლისს ვეტერანი კრეისერი იაპონურმა წყალქვეშა ნავმა ჩაძირა. კრეისერის 1196-კაციანი ეკიპაჟიდან ოთხი დღის სამაშველო სამუშაოების შემდეგ მხოლო 316 გადაარჩინეს. დაღუპულთა უმრავლესობა ზვიგენების მსხვერპლი შეიქნა.

509-ე ავიაჯგუფის ოფიცერთა უმრავლესობას არასოდეს უნანია ის, რაც ჩაიდინეს. მხოლოდ „ენოლა გეის" ბომბარდირი ტომას ფერბი, რომელმაც უშუალოდ დააჭირა ხელი ბომბის ჩამოსაგდებ ღილაკს, გამოთქვამდა ზოგჯერ სინანულს დიდი მსხვერპლის გამო.

# „ტომი-განი"

## „მშრალი კანონის" მთავარი ატრიბუტი

ერთ-ერთი პირველი პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი დღესაც ასოცირდება გასული საუკუნის 30-იანი წლების ამერიკელ განგსტერებთან





სიმართლე გითხრათ, ნამდვილად არ მოველოდით თბილისში იმ იარაღის ნახვას, რომელიც 20 წლის წინ მძაფრსიუჟეტიან ფილმ „ერთხელ ამერიკაში" ვიხილეთ და მაშინდელი თინეიჯერების (ეს სიტყვა არც კი გვსმენოდა) აღტაცებას იწვევდა...

„არსენალმა" „ტომი-განს", ოფიციალურად M1A1 Thompson-ს, თბილისში ახალგახსნილ ერთ-ერთ იარაღის მაღაზიაში მიაგნო. „ტომი-განი" ვიტრინაში დევს და არასაბრძოლო მდგომარეობაშია (იარაღის შესახებ კანონის თანახმად იკრძალება გრძელლულიანი და მოკლელულიანი ავტომატური იარაღის გაყიდვა), მიუხედავად ამისა, მაინც საოცარ შთაბეჭდილებას ტოვებს, რადგან 70-იოდე წლის წინ სწორედ „ტომი-განი" იყო მთავარი იარაღი „მშრალი კანონის" დროს განგსტერულ გარჩევებში.

„ტომი-განის" პირველი მოდიფიკაცია ჯერ კიდევ 1921 წელს დამზადდა, მაგრამ მანამდე მისმა შემქმნელმა ჯონ ტომპსონმა სხვა ამერიკელისგან, ჯონ ბლიშისგან იყიდა პატენტი, სახელწოდებით „ხახუნის საშუალებით რაკეტის უკუსრიალის შემანელებელი სისტემა". ასეთ მექანიზმს იშვიათად ნახავთ პისტოლეტ-ტყვიამფრქვევებში.



საკეტის უკუსრიალის შენელება ხდება H-სახის საკეტის სამაგრის ხახუნით, რაც ლულის კოლოფის დახრილ ზედაპირთან ურთიერთმოქმედებისას წარმოიქმნება. საცემი მოძრავია, ვაზნის კაფსულის ინიცირება ხდება საკეტში არსებული სპეციალური ბერკეტის საშუალებით, რომელიც საცემთანაა შეერთებული. საკეტის შემაყენებელი სახელური ლულის კოლოფის ზემოთ, სახურავზეა განთავსებული, რაც ცაციასაც უადვილებს იარაღის გადატენას (ბოლო მოდიფიკაციაში M1A1-ში საკეტის შემაყენებელი სახელური ზემოდან მარჯვნივ გადმოიტანეს). სამაგიეროდ, ცეცხლის რეჟიმების გადამრთველი და სასხლეტი მცველი ლულის კოლოფის მხოლოდ მარცხენა მხარეზეა დამონტაჟებული, რაც ცაციისთვის ნაკლებად მოსახერხებელია.

პისტოლეტ-ტყვიამფრქვევის დასამიზნებელ მოწყობილობაში შედის ნიშანი და კომბინირებული სამიზნებელი ფიქსირებული V-სახის ფრილით, ასევე ზემოთ გადასაწევი რეგულირებადი დიოპტრი.

ძირითადად, „ტომი-განის" სამი მოდიფიკაციაა ცნობილი – 1921, 1928 და M1A1. 1928-ის საბრძოლო ნათლობა 30-იანი წლების შუახანებში ნიკარაგუაში შედგა, სადაც აშშ-ის მეზღვაურებმა საბრძოლო ოპერაცია ჩაატარეს.

„ტომი-განი" მეორე მსოფლიო ომის

**ჩვენი დოსიე:** Thompson-ის სამხედრო ვარიანტი M1A1 ვაზნების გარეშე 4,78 კგ-ს იწონის. მისი სიგრძე 811 მმ-ია. ლულის სიგრძეა 267 მ. სროლის ტემპი — დაახლოებით 700 გასროლა/წუთში. სროლის ეფექტიანი მანძილი 100-150 მეტრი. პისტოლეტ-ტყვიამფრქვევს აქვს 20 ან 30-ვაზნიანი მჭიდი, რომელშიც თავსდება 11,43 მმ კალიბრის პისტოლეტის ვაზნები.





ფრონტებზეც გამოჩნდა ამერიკული და ბრიტანული საექსპედიციო ჯარების შეიარაღებაში, მაგრამ ეს M1A1 მოდიფიკაცია იყო და წინამორბედებისგან იმით განსხვავდებოდა, რომ შემცირებული ჰქონდა სიგრძე და მასა, რაც მთავარია, დოლაურისმაგვარი მჭიდის ნაცვლად სექტორული სახისა უყენდებოდა.

ასეთი მოდიფიცირების ჩატარება აუცილებელი გახდა იმის გამო, რომ „ტომი-განი“ ძალიან მძიმე იყო. შეიძლება ეს იმ განგსტერისთვის, რომელიც ჩიკაგოს ქუჩებში ჯერს ჯერზე უშვებდა, სულერთი იყო, მის „ტომი-განს“ ხომ ასვაზნიანი მჭიდი ჰქონდა. ასეთი „ტომი-განი“ თითქმის 9 კგ-ს (!) იწონიდა (პისტოლეტ-ტყვიამფრქვევზე 4,9 კგ მოდიოდა, ასვაზნიანი დოლურაც არანაკლებს იწონიდა – 4 კგ-ს), რაც სრულიად მიუღებელი იყო ამერიკელი სამხედროებისთვის. ამიტომ კონსტრუქტორებს M1A1-ში იარაღის საერთო სიგრძე 852 მმ-დან 811 მმ-მდე შეამცირებინეს, ლულის სიგრძე (267 მმ) კი იგივე დარჩა. იარაღის სიგრძის შემცირებამ 120 გრამი მოაგებინა (4,78 კგ-მდე დავიდა პისტოლეტ-ტყვიამფრქვევის მასა ვაზნების გარეშე), ასვაზნიანი დოლურის ნაცვლად კი 20-ვაზნიანი (ზოგჯერ 30) სექტორული მჭიდი დაუყენეს.

მიუხედავად ასეთი ცვლილებებისა, „ტომი-განის“ მასა მაინც მნიშვნელოვანი იყო. მაგალითად, საბჭოთა პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი ППШ ვაზნების გარეშე 3,63 კგ-ს იწონიდა, გერმანული MP-40-ი 4,03 კგ-ს, ხოლო საბჭოთა ППС (სუდაევის პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი) კი მხოლოდ 3,04 კგ-ს. შესაძლოა, ამიტომაც იყო, რომ საბჭოთა არმიისთვის მცირე რაოდენობით მიწოდებული „ტომი-განები“ არ სარგებლობდა დიდი პატივით საბჭოთა ჯარისკაცებში. ამასთან, აღმოსავლეთ ფრონტზე ძალზე დიდი დეფიციტი იყო 45ACP (11,43 მმ კალიბრის) პისტოლეტის ვაზნები. მებრძოლებს მიაჩნდათ, რომ ППШ-დან და ППС-ით ნასროლი 7,62 მმ კალიბრის ტყვიები უკეთესად ანადგურებდა გერმანელებს, ვიდრე ამერიკულები.

არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ 11,43 მმ კალიბრის ტყვია 12-15 გრამს იწონიდა (მოდიფიკაციის მიხედვით) და 6-გრამიან 7,62 მმ კალიბრის TT-ს ტყვიასთან შედარებით ბევრად უფრო მაღალი შემაჩერებელი ენერგია რჩებოდა ადამიანის სხეულზე მოხვედრისას. ამას კი ახლო ბრძოლაში ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

„ტომი-განებმა“ კორეისა და ვიეტნამის ომებშიც მოასწრეს მონაწილეობა, თუმცა იქ ისინი უფრო ადგილობრივი პოლიციის შეიარაღებაში თუ ჩანდა, რადგან ამერიკულმა არმიამ უფრო ეფექტიანი ავტომატური იარაღი აირჩია.

საქართველოზე ვერ გეტყვით, მაგრამ რუსეთში „ტომი-განის“ სტრაიკბოლის ვარიანტი 330 დოლარამდე ღირს. ამ მოდელს ელექტრული ამძრავი აქვს და 60-ბურთულიანი მჭიდი მოჰყვება. დაახლოებით ათას დოლარად იყიდება „ტომი-განის“ მასაგაბარიტული მაკეტი. ეს მოდელი კონსტრუქციულად შეცვლილია, რათა სასროლად გამოუსადეგარი გამხდარიყო.

*ირაკლი ალადაშვილი*



არსენალი




ISSN 1987 - 5061